ISSN1512-4169

მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები

საერთაშორისო, რეცენზირებადი, რეფერირებადი სამეცნიერო შრომათა კრებული
გამოდის წელიწადში ორჯერ

MODERN ISSUES OF MEDICINE AND MANAGEMENT

International, Refereed, Peer-reviewed Collected Scientific Works
It comes out twice a year

СОВРЕМЕННЫЕ ПРОБЛЕМЫ МЕДИЦИНЫ И МЕНЕДЖМЕНТА

Международный, рецензированный, реферированный сборник научных трудов
Выходит два раза в год

ВыхВыодит два раза в год

№ 1(17) 2019
თბილისი

№1 (17) 2019 ISSN 15124169

მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები

საერთაშორისო, რეცენზირებადი, რეფერირებადი, სამეცნიერო შრომათა
კრებული
გამოდის წელიწადში ორჯერ

დამფუძნებელი და გამომცემელი შ.პ.ს. სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი.
მისამართი: 0114, თბილისი, საქართველო, მეფე სოლომონ II-ის ქ. № 4,
ელფოსტა: info@geomedi.edu.ge,
ვებგვერდი: https://geomedi.edu.ge ტელ.:(+99532)2752520, მობ.: (+995) 555257002

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი - ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
უნივერსიტეტ გეომედის რექტორი
ფირცხალავა მარინა
მთ. რედაქტორის მოადგილე -პროფესორი ოქროპირიძე თამარ
მთ. რედაქტორის მოადგილე - პროფესორი ამყოლაძე გურამი
პასუხისმგებელი რედაქტორი - ბოლოკაძე იოსები
დოქტორი აფხაზავა დავითი, პროფესორი თავხელიძე თეიმურაზი, პროფესორი ხუბუა გიორგი, პროფესორი კარბონი კლაუს, პროფესორი როსტოვცევ-პოპიელი ალექსანდრე (საფრანგეთი), პროფესორი ფრანკ-სკორჯი რეიმი (აშშ), დოქტორი ჯოვანი როვიელო (იტალია).

სარედაქციო საბჭო

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი ალექსიძე ნუგზარი, პროფესორი აფციაური ლელა, პროფესორი ქუთათელაძე რუსუდანი, პროფესორი ცერცვაძე არჩილი, პროფესორი ცერცვაძე მანანა, პროფესორი ხასია გურამი, ასოც. პროფესორი ველიჯანაშვილი მარიამი, ასოც. პროფესორი ტვილდიანი ხათუნა, ასოც. პროფესორი კაპანაძე არჩილი, ასოც. პროფესორი მოწონელიძე ეკატერინე, ასოც. პროფესორი ჯერვალიძე მაია, პროფესორი ვოლფ ქრისტოფერ იოჰანეს ალფრედი (გერმანია), პროფესორი უილლიამ ტოსკანო (აშშ).

Scientific Editorial Cooiegiums

Editor-in-Chief - Doctor of Biological Sciences, Professor, Rector of University Geomedi Marina Pirtskhalava
Deputy Editor-in-Chief - Professor Tamar Okropiridze
Deputy Editor-in-Chief - Professor Guram Amkoladze
Managing Secretary - Ioseb Bolokadze
Doctor Davit Apkhazava, Professor Teimuraz Tavkhelidze, Professor George Khubua, Professor Alexander Rostovtsev-Popiel (France), Professor Frank-Skorj Reim (USA), Doctor Giovani Roviello (Italy).

Editorial advisory board

Academician of the Georgian National Academy of Sciences, Professor Nugzar Aleksidze, Professor Lela Aptsiauri, Professor Rusudan Kutateladze, Professor Archil Tsertsvadze, Professor Manana Tsertsvadze, Professor Guram Khasia, Associate Professor Mariam Velijanashvili, Associate Professor Khatuna Tvildiani, Associate Professor Archil Kapanadze, Associate Professor Ekaterine Motsonelidze, Associate Professor Maia Gervalidze, Professor Alfred Christopher Johannes Wolf (Germany), Professor William Toscano (USA).

Редакционная коллегия

Главный редактор - Доктор биологических наук, профессор, ректор университета геомеди Марина Пирцхалава
Заместители гл. Редактора - Профессор Тамар Окропиридзе
Заместители гл. Редактора - Профессор Гурам Амколадзе
Ответственный редактор - Иосеб Болокадзе
Доктор Давид Апхазава, профессор ТеймуразТавхелидзе, профессор Хубуа Гиорги, профессор Александр Ростовцев-Попель (Франция), профессор Френк-Скордж Рейм (США), доктор Джовани Ровиело (Италия).

Редакционный совет

Академик Национальной Академии Наук Грузии, профессор Нугзар Алексидзе, профессор Лела Афциаури, профессор Арчил Церцвадзе, профессор Манана Церцвадзе, профессор Гурам Хасиа, ассоциированный профессор Мариам Велиджанашвили, ассоциированный профессор Хатуна Твилдиани, ассоциированный профессор Арчил Капанадзе, ассоциированный профессор Екатерине Моцонелидзе, ассоциированный профессор Майа Джервалидзе, профессор Альфред Кристофер Иоханес Вольф (Германия), профессор Уильям Тоскано (США).

მთავარი რედაქტორისაგან

ძვირფასო კოლეგებო!

შემოთავაზებული სამეცნიერო ნაშრომთა კრებული განკუთვნილია მედიცინის, ეკონომიკის, მენეჯმენტის, სპორტული მედიცინისა და სხვა დარგის სპეციალისტებისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემების კვლევითა და შესწავლით.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ავტორთა მიერ წარმოდგენილი შრომები ხელს შეუწყობს ამ მიმართულებათა სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერებას.

მარინა ფირცხალავა,
ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
უნივერსიტეტ გეომედის რექტორი

სარჩევი

1. ფლავონოიდების სამკურნალო თვისებები
   აფხაზავა დ., ფირცხალავა მ., ვახანია მ., კობიაშვილი მ., ნოზაძე მ. 5
2. ჯანდაცვის სისტემისათვის ჯანდაცვის მენეჯმენტის სპეციალისტების მოზადების პრობლემები
   ამყოლაძე გ., ჯოხაძე ხ., ... 13
3. Problems of humanization in Olympic and higher achievements of sport
   Vasil Bakashvili, ... 20
4. პასუხისმგებლიანი დაკრედიტება
   ლომაძე ი. 24
5. სპორტული კარიერა და სპორტსმენის სოციალური ადაპტაციის პრობლემები
   აფციაური ლ..... 33
6. გარემოს გავლენა საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი
   ბენაშვილი ი., ბენაშვილი მ. 38
7. ჯანდაცვის ობიექტებზე დაგეგმვის მეთოდების სრულყოფისათვის
   ლორთქიფანიძე რ. 46
8. სამუშაო ძალა და შრომის ბაზრის რეგულირება
   ლომსაძე-კუჭავა მ., წერეთელი თ., გიორგაძე ხ. 50
9. Social responsibility of an athlete
   Vasil Bakashvili. 55
10. სწავლა-განათლება საქართველოში 1918-1921 წლებში
    ჩიქოვანი პ..... 58
11. მართვის თანამედროვე მოდელები
    ლომსაძე-კუჭავა მ., გიორგიშვილი ნ., გიორგაძე ხ. 66
12. საქართველოში ბიზნესგარემოს განვითარება და მისი ხელშემწყობი ფაქტორები, ბიზნეს აქტივობის ინდექსი
    ლომსაძე-კუჭავა მ., ჭერეთელი თ., ფილიპიდისი ხ. 73

ფლავონოიდების სამკურნალო თვისებები

აფხაზავა დ.[1], ფირცხალავა მ.[2], ვახანია მ.[3], კობიაშვილი მ.[4], ნოზაძე მ.[5]

საქართველო, თბილისი, შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი[1-4], აშშ არმიის სამედიცინო კვლევითი დირექტორატი საქართველოში - ვოლტერიდის სამხედრო კვლევითი ინსტიტუტი[5]

შესავალი

ფლავონოიდები მიეკუთვნება მცენარეული წარმოშობის პოლიფენოლური ნაერთების კლასს. სიტყვა ფლავონოიდი ლათინური წარმოშობისაა, წარმოდგება სიტყვა flavus-დან რაც ნიშნავს ყვითელს, ვინაიდან ბუნებაში ეს ნივთიერებები ძირითადად ამ ფერისაა. ფლავონოიდები არა მარტო იღებენ მონაწილეობას მცენარეთა პიგმენტაციაში, არამედ ასრულებენ მნიშვნელოვან როლს უჯრედული სიგნალიზაციის პროცესებში. ფლავონოიდები ფენოლური ბუნების ნაერთებია, რომლებიც ძირითადად მოიპოვება თითქმის ყველა მცენარის სახეობაში. ისინი მოიხსენიებიან, როგორც „ფიტოსაკვები“,სპეციფიკურ გემოს ანიჭებენ ხილსა და ბოსტნეულს და იცავენ მათ ფერმენტებსა და ვიტამინებს, რაც კარგია მონელებისთვის. გარდა ამისა, მონაწილეობენ მცენარეთა რეპროდუქციაში კერძოდ, მტვრიანების განვითარების და ფუნქციონირების პროცესებში, ნექტარის დაგროვებაში, ნაყოფისა და თესლების მომწიფებაში.

ძირითადი ტექსტი

ახალი მონაცემები იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ ფლავონოიდებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ გენების ექსპრესიის პროცესებში, რეგულატორული ცილების აქტიურობის შეცვლაში, რომლებიც არსებით როლს ასრულებენ უჯრედულ დაყოფაში. მცენარეებში ფლავონოიდების ყველაზე კარგად გამოკვეთილი ფუნქცია არის მათი მონაწილეობა, გარემოს სხვადასხვა არახელსაყრელი პირობებისადმი მცენარეთა დაცვაში, როგორიც არის: ტემპერატურული სტრესი, ულტრაიისფერი სხივების მოქმედება, მძიმე მეტალების მომატებული კონცენტრაცია. ფლავონოიდები დიდ როლს ასრულებენ მცენარეთა დაცვაში ბაქტერიული, ვირუსული და სოკოვანი ინფექციების წინააღმდეგ.

ამჟამად მიმდინარეობს ფლავონოიდების თერაპიული თვისებების ინტენსიური კვლევები [1, 22].

ფლავონოიდები აუმჯობესებენ ადამიანის იმუნურ სისტემას. ღვინის შემადგენლობაში მყოფი ფლავონოიდები, როგორებიცაა კვერცეტინი, რუტინი, ვანილის მჟავა, გალის მჟავა და კაფეიკის მჟავა კარგი საშუალებებია პათოგენური მიკროორგანიზმების წინააღმდეგ [24].

აღსანიშნავია ფლავონოიდების ნეიროპროტექციული თვისებები, ვინაიდან მათ ახასიათებთ ანტიდეპრესანტული, ცოტოტოქსიკური და ანტისიმსივნური, ასევე, ანტიოქსიდანტური და ანტი-ანთებითი აქტივობა, რაც კარგი თერაპიული საშუალებებია რიგი ნეირონული დარღვევების წინააღმდეგ. ბოლო ხანებში გამოჩნდა მონაცენები, რომ

ფლავონოიდები ეფექტურად გამოიყენება ალცჰაიმერის დაავადების, იშემიური ინსულტის, პარკინსონისა და ეპილეფსიის წინააღმდეგ. ფლავონოიდების ერთ-ერთ საინტერესო თვისებას წარმოადგენს მათი სამკურნალო საშუალებად გამოყენების შესაძლებლობა, მათ შეუძლიათ ჰემატოენცეფალური ბარიერის გადაკვეთა. თავის ტვინის სხვადასხვა დაავადებების წინააღმდეგ გამოყენებული ფლავონოიდების რიცხვი დიდია. მათგან შეიძლება გამოვყოთ ისეთი ნაერთები, როგორებიცაა: რუტინი, კვერცეტინი, ლუტეოლინი, ვიტექსინი, მორინი, სილიბინინი, ნარინგინი, ბაიკალინი, გენისტეინი, აპიგენინი და ა.შ [25].

მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე დიდი ყურადღება ექცევა ე.წ. ხმელთაშუაზღვეთის დიეტას, რამაც გამოიწვია რეგიონის ზოგიერთ მოსახლეობაში გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა რიცხვის შემცირება. გარდა ამისა, შეინიშნებოდა ანთებითი [2] და ონკოლოგიურ [3] დაავადებათა შემცირება, მომატებული კოგნიტური უნარები, ალცჰეიმერის დაავადების განვითარების დაბალი რისკი. ყოველივე აღნიშნული აიხსნებოდა კვების თავისებურებებით [4;5].

2010 წელს იუნესკომ ხმელთაშუაზღვეთის დიეტა გამოაცხადა იტალიის, ესპანეთის, საბერძნეთისა და საფრანგეთის არამატერიალურ კულტურულ ძეგლად. ამ დიეტის განსაკუთრებული დამახასიათებელი ნიშანი იყო უჯერი ცხიმებისა და ვიტამინების მოხმარება. ზოგიერთი მკვლევარი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა პოლიფენოლური ნაერთების საკვებად გამოყენებას, რომლებიც წარმოდგენილია ზეითუნის ზეთში, ხილსა და წითელ ღვინოში [6]. მკვლევარებს შორის ჩამოყალიბდა მყარი აზრი, რომ მცენარეული პოლიფენოლების საკვებად გამოყენებას გააჩნდა უაღრესად დადებითი გავლენა, განსაკუთრებით კი ფლავონოიდებს.

ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია იძლევა რეკომენდაციას, რომ ადამიანებმა საკვებად გამოიყენონ დღის განმავლობაში არა ნაკლებ 400 გრამი ხილი და ბოსტნეული, რაც განაპირობებს წლიურად 2.7 მლნ-მდე სიცოცხლის გახანგრძლივება, რომლის შეწყვეტის მიზეზები არიან ზოგიერთი ტიპის სიმსივნე, გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიები, გაცხიმოვნება და შაქრიანი დიაბეტი.

ფლავონოიდები აღწერილია მრავალ სამეცნიერო სტატიაში, მათ უმრავლესობა ეძღვნება იმ ნაერთებს, რომლებიც გამოიყენება მედიცინაში. სწორედ ფლავონოიდების არსებობა ანიჭებს, ხშირ შემთხვევაში, მცენარეებს სამკურნალო თვისებებს. მიუხედავად მრავალრიცხოვანი კვლევებისა, დღემდე არ არსებობს არსებითად ნათელი წარმოდგენა ფლავონოიდების მექანიზმების შესახებ. აღსანიშნავია, რომ მეცნიერების ეს მიმართულება ჯერ კიდევ ფაქტობრივი მასალების დაგროვების პროცესშია.

ფლავონოიდებში ყველაზე კარგად შესწავლილია კატექინების ჯგუფი, რომლებშიც მათ სხვადასხვა ფორმებსა და ოლიგომერებს ახასიათებთ სხვადასხვა დაავადებების მიმართ პროფილქტიკური მნიშვნელობა. მაგალითად; ეპიგალოკატექინგალატი [EGCG], რომელიც ჩაის ფოთლებიდან არის გამოყოფილი, დიდი ალბათობით ხასიათდება ანტიკანცეროგენული თვისებებით [6], რაც გამოიხატება სწრაფი გამრავლებით სიმსივნურ უჯრედებში აპოპტოზის ინიცირებით [7]. შესაძლებელია, ეს მოქმედება

დაკავშირებული იყოს უჯრედების რეგულატორულ სისტემებზე, კერძოდ, თიროზინკინაზებზე [8;9].

დადგენილია, რომ EGCG-ს აქვს უნარი შეაფერხოს მრავალი პრეპარატისადმი მდგრადი სიმსივნური უჯრედების განვითარება, რომელიც ინიცირებულია P-გლიკოპროტეინით. EGCG ახდენს ამ ცილის ატფ-დამოკიდებული საიტის ბლოკირებას. შედეგად პრეპარატების კონცენტრაცია უჯრედებში საგრძნობლად იმატებს [10].

კატექინების ფერმენტაციული პროცესების შედეგად წარმოიქმნება თეაფლავინები და თეარუბიგინები, რაც შავ ჩაის ანიჭებს დამახასიათებელ გემოს და ფერს. თეაფლავინები კატექინების ოლიგომერებს წარმოადგენს და შესაძლოა ინარჩუნებდეს კატექინებისადმი დამახასიათებელ პროფილაქტიკურ და სამკურნალო თვისებებს. თეარუბიგინები უფრო მსხვილი პოლიმერული მოლეკულებია და შავი ჩაის პოლიფენოლების 70%-ს შეადგენს და შესწავლილია ნაკლებად.

მცენარეული ფლავონოიდები ანტიოქსიდანტური თვისებების მქონე სუბსტანციების დიდი წყაროა, ისინი ამცირებენ სიმსივნის, დაბერების და თავისუფალი რადიკალებით გამოწვეული პათოლოგიების განვითარების რისკებს, ხარისხს და ხელს უშლიან თავისუფალი რადიკალების წარმოქმნას, მაგ. რკინისა და სპილენძის იონების შებოჭვით „ქელატირებით“, სწორედ ამ თვისების გამო ისინი ამცირებენ სიმსივნის, ღვიძლის დარღვევების, გულის დაავადებებისა და დიაბეტის განვითარების რისკებს [23].

გავრცელებული აზრის მიხედვით, შავი ჩაის მოხმარება დადებითად მოქმედებს ორგანიზმში მიმდინარე მრავალ პროცესებზე, მათ შორის სიმსივნისადმი დაცვასა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების აცილებაში. ეს თვისებები თეაფლავინებს მიეწერება, რომლებიც შავი ჩაის ბიოაქტიური პოლიფენოლების მთავარი წარმომადგენლებია.

ვირთაგვების იზოლირებულ იშემიის შემდგომ გულზე, თეაფლავინების მოქმედებამ 10-40 ნმოლი/ლ-ზე კონცენტრაციით გამოავლინა კარდიოპროტექტული მოქმედება. ავტორთა აზრით, ეს მოქმედება კავშირშია მიტოქონდირაში კალიუმის ატფ-აზური არხის გახსნასთან და მიტოქონდრიული პორების ინჰიბირებით, რომლებიც მდებარეობს მიტოქონდრიების შიდა მემბრანაზე და პასუხისმგებელია უჯრედების აპოპტოზზე [11]. თეაფლავინები ახდენენ, როგორც ჰეპატოციტების უჯრედულ კულტურაზე, ისე მთლიანად ღვიძლზე ანტიოქსიდანტურ ანტი-ანთებით და ანტი-აპოპტოზურ მოქმედებებს [12].

ფლავონიდების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჯგუფია ფლავონები, რომლებიც ძირითადად მარცვლოვან კულტურებშია გავრცელებული. გარდა ამისა, ფლავონოიდებით მდიდარია ციტრუსების კანი, ოხრახუშის და სხვა მცენარეთა ფოთლები. დასავლეთის ქვეყნებში ფლავონების ყოველდღიური მოხმარება ჩვეულებრივ შეადგენს 20-50 მგ-ს [13]. ფლავონების შემცველი მცენარეა Scullaria baicalensis Georgi, რომელიც ტრადიციულ ჩინურ მედიცინაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მცენარეა. მას იყენებენ ანთებითი პროცესების, ჰიპერტონიის, გულ-სისხლძარღვთა, აგრეთვე ბაქტერიული და ვირუსული ინფექციების წინააღმდეგ [14]. ფლავონი ბაიკალეინი წარმოდგენილია მცენარის ფესვებში და შეუძლია შეაფერხოს ასაკობრივი

ნეიროდეგენერაციული დაავადებები (მაგალითად; ალცჰეიმერის დაავადება), უჯრედების დაღუპვისაგან დაცვის გზით. ოროქსილინი A არსებითად აუმჯობესებს კოგნიტურ ფუნქციებს, რაც გამოვლინდა ცხოველებზე ჩატარებული ცდებით. ფლავონი ვოგონინი ასტიმულირებს თავის ტვინის დაზიანების შემდეგ ქსოვილების რეგენერაციას. აღდგენის მექანიზმი მდგომარეობს უჯრედ-წინამორბედების დიფერენცირების დაჩქარებაში [15]. გარდა ამისა, ვოგონინი ხასიათდება ანტისოკოვანი აქტიურობით მაგ; სოკო Alternaria alternata-ს მიმართ, რაც არის რესპირატორული დაავადებების და, მათ შორის, ასთმის გამომწვევი [16].

ფლავონი აპიგენინი, წარმოდგენილია მრავალ ხილსა და ბოსტნეულში. აპიგენინი მთავარი კომპონენტია მაგ. ისეთ მცენარეში, როგორიც არის სამკურნალო გვირილა (Matricaria recutita). მას გააჩნია ანტი-ანთებითი და ანტიკანცეროგენული თვისებები [17].

ლუტეოლინი გამოყოფილია Reseda luteola-დან. გარდა ამისა, გვხვდება მრავალ ბოსტნეულში, ხილსა და ბალახეულში (სტაფილო, ბულგარული წიწაკა, პიტნა, როზმარინი, გვირილა და სხვა), აქვს ანტი-ანთებითი და ანტიკანცეროგენული თვისებები. ლუტეოლინი არა მხოლოდ აფერხებს სიმსივნის განვითარებას, არამედ აძლიერებს სხვა ანტისიმსივნური წამლების მოქმედებას სიმსივნური უჯრედების მიმართ და ასევე აქვს ციტოტოქსიკური მოქმედება.

კვერცეტინი და მისი გლიკოზიდი რუტინი, წარმოადგენენ ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და კარგად შესწავლილ ფლავონოიდებს, რომლებიც მცენარეულ სამყაროში ფართოდ არიან გავრცელებული. კვერცეტინს შეუძლია დადებითი გავლენის მოხდება მეტაბოლიზმზე და ამ გზით აფერხებს გაცხიმოვნებას. მოქმედების მექანიზმი დაკავშირებულია პრეადიპოციტების აპოპტოზის აქტივაციაზე. პრეადიპოციტები არიან ცხიმოვანი უჯრედების წინამორბედები. მოქმედების მოლეკულური მექანიზმის საფუძველია ადენოზინ-მონოფოსფატის გამააქტივებელი პროტეინკინაზის და მისი სუბსტრატის აცეტილ Co-A კარბოქსილაზას ფოსფორილირების აქტიურობის მომატება, შედეგად ირღვევა ადიპოციტების პროლიფერაციის რეგულაციის პროცესები [18].

ფლავონიდ მირიცეტინს შეიცავს წითელი ღვინო. ის არის ესტროგენის რეცეპტორის აგონისტი, რომელიც მკერდის კიბოს უჯრედებშია წარმოდგენილი და ხელს უშლის სიმსივნის უჯრედების პროლიფერაციას [20]. მირიცეტინი აძლიერებს ტამოქსიფენის ბიოშეღწევადობას. ტამოქსიფენი სამკურნალო პრეპარატია, რომელიც მოქმედებს სარძევე ჯირკვლების უჯრედების ჰორმონების რეცეპტორებზე [21].

აღსანიშნავია ფლავონოიდების ანტისიმსივნური თვისებები, მათ გააჩნიათ უნარი ებრძოლონ მკერდის, ფილტვის, კუჭის, ნაწლავის, ლარინგეალურ, პროსტატის, თირკმლის, თიროიდულ და ა.შ. სიმსივნეებს. აინჰიბირებენ რა პროტეინ კინაზებს ფლავონოიდები ახდენენ ანგიოგენეზის ინჰიბირებას, რაც ერთ-ერთი ეფექტური მიდგომაა სიმსივნის სამკურნალოდ. ფლავონოიდები გამოიყენება არა მარტო სიმსივნის თერაპიისათვის არამედ მისი პრევენციისთვისაც. ფლავონოიდ კვერცეტინს შეუძლია გამოავლინოს ანტიკანცეროგენული აქტიურობა ადამიანის ფილტვის კიბოს უჯრედების აპოპტოზის ინიცირებით, უშუალოდ აპოპტოზის გენის Bax-ის ინდუქციით [19, 26].

დასკვნა

ადამიანები ფლავონოიდებს იღებენ მთელი ევოლუციური განვითარების მანძილზე და ისინი არიან და იქნებიან ჩვენი ორგანიზმის მუდმივი კომპონენტები. მიუხედავად იმისა, რომ ფლავონოიდები არ არიან ისეთი აუცილებელი პროცესის მონაწილეები, როგორებიც, მაგალითად, ვიტამინებია (რომელთა ნაკლებობა იწვევს მძიმედ გამოხატულ დარღვევებს), მათი არსებობა აუცილებელია ძუძუმწოვრების ორგანიზმების ნორმალურად ფუნქციონირებისათვის.

მომავალში ფლავონოიდების კვლევა, საშუალებას მოგვცემს მრავალი საინტერესო აღმოჩენის შესაძლებლობას, რომლებიც, თავის მხრივ, ეფექტური სამკურნალო-პროფილაქტიკური პრეპარატების შექმნას დაედება საფუძვლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Gould, K. S., Lister, C. Flavonoid functions in plants, in Ande- sen, O. M., Markham, K. R. Flavonids. Chemistry, biochemistry and applica- tions, Boca Raton, 8, 397–441, 2006.
2. Urpi-Sarda, M., Casas, R., Chiva-Blanch, G., Romero-Mamani, E. S., Valde- ras-Martinez, P., Arranz, S., Andres-Lacueva, C., Llorach, R., Medina-Re- mon, A., Lamuela-Raventos, R. M., Estruch, R. Virgin olive oil and nuts as key foods of the Mediterranean diet effects on inflammatory bio- makers related to atherosclerosis, Pharmacol.Res., 65, 577–583, 2012.
3. Kontou, N., Psaltopoulou, T., Panagiotakos, D., Dimopoulos, M. A., Linos, A. The mediterranean diet in cancer prevention: a review, J.Med.Food, 14, 1065–1078, 2011.
4. Gu, Y., Luchsinger J. A., Stern, Y., Scarmeas, N. Mediterranean diet, inflammatory and metabolic biomarkers, and risk of Alzheimer's disease, J.Alzheimers.Dis., 22, 2010, 483–492.
5. Solfrizzi, V., Frisardi, V., Seripa, D., Logroscino, G., Imbimbo, B. P., D'Ono- frio, G., Addante, F., Sancarlo, D., Cascavilla, L., Pilotto, A., Panza, F. Mediterranean diet in predementia and dementia syndromes, Curr.Alzheimer Res., 8, 520–542, 2011.
6. Scoditti, E., Calabriso N., Massaro M., Pellegrino M., Storelli C., Martines G., De Caterina R., Carluccio M. A. Mediterranean diet polyphenols reduce inflammatory angiogenesis through MMP-9 and COX-2 inhibition in human vascular endothelial cells: a potentially protective mechanism in athe- rosclerotic vascular disease and cancer, Arch.Biochem.Biophys., 527, 81–89, 2012.
7. Yang, C. S., Wang, H. Mechanistic issues concerning cancer preven- tion by tea catechins, Mol.Nutr.Food Res., 55, 819–831, 2011.
8. Stuart, E. C., Scandlyn, M. J., Rosengren, R. J. Role of epigallo- catechin gallate (EGCG) in the treatment of breast and prostate cancer, Life Sci., 79, 2329–2336, 2006.
9. Kim, A., Chiu A., Barone, M. K., Avino, D., Wang, F., Coleman, C. I., Phung, O. J. Green tea catechins decrease total and low-density lipoprotein cholesterol: a systematic review and meta-analysis, J.Am.Diet.Assoc., 111, 1720–1729, 2011.
10. Larsen, C. A., Dashwood, R. H., Bisson, W. H. Tea catechins as inhi- bitors of receptor tyrosine kinases: mechanistic insights and human relevance, Pharmacol.Res., 62, 457–464, 2010.

11. Qian, F., We,i D., Zhang, Q., Yang, S. Modulation of P-glycoprotein function and reversal of multidrug resistance by (–)-epigallocatechin gallate in human cancer cells, Biomed.Pharmacother., 59, 64–69, 2005.
12. Ma, H., Huang, X., Li, Q., Guan, Y., Yuan, F., Zhang, Y. ATP-depen- dent potassium channels and mitochondrial permeability transition pores play roles in the cardioprotection of theaflavin in young rat, J.Physiol Sci., 61, 337–342, 2011.
13. Luo, X. Y., Takahara, T., Hou, J., Kawai, K., Sugiyama, T., Tsukada, K., Takemoto, M., Takeuchi, M., Zhong, L., Li, X. K. (2012) Theaflavin attenu- ates ischemia-reperfusion injury in a mouse fatty liver model, Bio- chem.Biophys.Res.Commun., 417, 287–293.
14. Cermak, R., Wolffram, S. The potential of flavonoids to influence drug metabolism and pharmacokinetics by local gastrointestinal mechanisms, Curr.Drug Metab, 7, 729–744, 2006.
15. Li-Weber, M. New therapeutic aspects of flavones: the anticancer properties of Scutellaria and its main active constituents Wogonin, Baicalein and Baicalin, Cancer Treat.Rev., 35, 57–68, 2009.
16. Gasiorowski, K., Lamer-Zarawska, E., Leszek, J., Parvathaneni, K., Yend- luri, B. B., Blach-Olszewska Z., Aliev, G. Flavones from root of Scutellaria baicalensis Georgi: drugs of the future in neurodegeneration? CNS.Neurol.Disord.Drug Targets., 10, 184–191, 2011.
17. Chaudhuri, P. K., Srivastava, R., Kumar, S., Kumar, S. Phytotoxic and antimicrobial constituents of Bacopa monnieri and Holmskioldia sanguinea, Phytother.Res., 18, 114–117, 2004.
18. Patel, D., Shukla, S., Gupta, S. Apigenin and cancer chemoprevention: progress, potential and promise (review), Int.J.Oncol., 30, 233–245, 2007.
19. Ahn, J., Lee, H., Kim, S., Park, J., Ha, T. The anti-obesity effect of quercetin is mediated by the AMPK and MAPK signaling pathways, Biochem.Biophys.Res.Commun., 373, 545–549, 2008.
20. Maggiolini, M., Recchia, A. G., Bonofiglio, D., Catalano, S., Vivacqua, A., Carpino, A., Rago, V., Rossi, R., Ando, S. The red wine phenolics piceatannol and myricetin act as agonists for estrogen receptor alpha in human breast cancer cells, J.Mol.Endocrinol., 35, 269–281, 2005.
21. Li, C., Lim, S. C., Kim, J., Choi, J. S. Effects of myricetin, an antican- cer compound, on the bioavailability and pharmacokinetics of tamoxifen and its main metabolite, 4-hydroxytamoxifen, in rats, Eur.J.Drug Metab. Pharma- cokinet., 36, 175–182, 2011.

22. Momina Hayat1, Maryam Abbas1, Faiza Munir et al., Potential of plant flavonoids in pharmaceutics and nutraceutics, Journal of biomolecules and biochemistry, 1(1): 12-17, 2017;.
23. Ajiboye TO, Salau AK, Yakubu MT, et al. Acetaminophen perturbed redox homeostasis in Wistar rat liver: protective role of aqueous Pterocarpus osun leaf extract. Drug Chem Toxicol. 33:77-87, 2010;.
24. Ma X, Zheng C, Hu C, et al. The genus Desmodium (Fabaceae)-traditional uses in Chinese medicine, phytochemistry and pharmacology. J Ethnopharmacol. 138:314-32, 2011.
25. Kwon JY, Jeon MT, Jung UJ, Kim DW, Moon GJ, Kim SR Adv Nutr. Perspective: Therapeutic Potential of Flavonoids as Alternative Medicines in Epilepsy. Sep 1;10 (5):778-790. 2019.
26. D. Veeramuthu, W. Raja T. Raja, N. Abdullah Al-Dhabi, Flavonoids: Anticancer Properties, book, 2017.

რეზიუმე

ფლავონოიდების სამკურნალო თვისებები

დავით აფხაზავა, მარინა ფირცხალავა, მალხაზ ვახანია, მარიამ კობიაშვილი, მაია ნოზაძე

ნაშრომში აღწერილია ფლავონოიდების ზოგიერთი წარმომადგენელი და მათი მედიცინაში გამოყენების პოტენციალი. ხაზი აქვს გასმული ფლავონოიდების, როგორც პოტენციური ქიმიოთერაპიული აგენტების როლს. ეს მიმოხილვა გვაძლევს განახლებულ ინფორმაციას ფლავონოიდების ანტი-ანთებითი, ნეიროპროტექციული, ანტიოქსიდანტური და ანტიბაქტერიული მოქმედების შესახებ; მცენარეული მედიცინის, კერძოდ ფლავონოიდების ნაერთების შესაძლებლობების მნიშვნელობას სხვადასხვა დაავადებების წინააღმდეგ, როგორებიცაა: ღვიძლის დარღვევები, II ტიპის დიაბეტი, ეპილეფსია, ალცჰაიმერისა და პარკინსონის დაავადებები, სიმსივნე და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: ფლავონოიდები, ანტიოქსიდანტები, ანტიანთებითი პრეპარატები, ანტისიმსვინური საშუალებები, კვერცეტინი, ლუტეოლინი, ფლავონები.

Summary

Medicinal properties of flavonoids

David Aphkhazava, Marina Pirtskhalava, Malkhaz Vakhania, Mariam Kobiashvili, Maia Nozadze

There is described some representatives of flavonoids and their potential to use in medicine. There is emphasized role of flavonoids as potential chemotherapeutic agents. This review presents an update on the anti-inflammatory, neuroprotective, antioxidant and antibacterial actions of flavonoids; the importance of possibilities of plant medicine, especially flavonoid compounds against several diseases like: liver disorder, type II diabetes, epilepsy, Alzheimer's disease, Parkinson's disease, cancer etc.

Keywords: flavonoids, antioxidants, anti-inflammatory drugs, anti-inflammatory agents, quercetin, luteolin, flavones.

Резюме

Лечебные свойства флавоноидов

Давид Абхазава, Марина Пирцхалава, Малхаз Вахания, Мариам Кобиашвили, Майя Нозадзе

В работе описаны некоторые представители флавоноидов и их потенциальное использование в медицине. Была подчеркнутароль флавоноидов в качестве потенциальных химиотерапевтических агентов. Этот обзор предоставляет обновленную информацию о противовоспалительной, нейропротекторной, антиоксидантной и антибактериальной активности флавоноидов; Важность фитотерапии, в частности соединений флавоноидов, против различных заболеваний, таких как: заболевания печени, диабет II типа, эпилепсия, болезнь Альцгеймера и Паркинсона, рак и т. д.

Ключевые слова: флавоноиды, антиоксиданты, противовоспалительные препараты, противовоспалительные средства, кверцетин, лютеолин, флавоны.

ჯანდაცვის სისტემისათვის ჯანდაცვის მენეჯმენტის სპეციალისტების მომზადების პრობლემები

ამყოლაძე გ., პროფესორი, ჯოხაძე ხ., პროფესორი

საქართველო, თბილისი, შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი

შესავალი

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ტალინის (2008) კონფერენციაზე მოხდა ჯანდაცვის სისტემის განსაზღვრის დაკონკრეტება და მისი დაზუსტებული განმარტება. ჯანმრთელობის დაცვის სისტემა მოიცავს: სამედიცინო მომსახურების მიწოდებას (პერსონალური და საზოგადოებრივი) პირველად და მეორად პროფილაქტიკას, მკურნალობას, ზრუნვას და რეაბილიტაციას, სამედიცინო მომსახურების მიწოდებისათვის მიმართულ ქმედებებს, განსაკუთრებით: დაფინანსების, რესურსების გენერირებისა და მართვის ფუნქციებს მმართველობით აქტივობებს სხვადასხვა სექტორში ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რელევანტურ ინტერვენციებზე გავლენის მიზნით, მიუხედავად იმისა არის თუ არა მათი პირველადი მისია ჯანმრთელობის გაუმჯობესება.

ჯანმოს განმარტებიდან გამომდინარე გამოვყოთ ჯანდაცვის განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულებები: სამედიცინო მომსახურების დაფინანსება და დაფინანსების წყაროები, საერთოდ რესურსების გენერირება და საქმიანობის მართვა, მმართველობითი აქტივობები და ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საჭიროა მეცნიერულად გამოკვლეული იყოს სამედიცინო მომსახურების ბაზარი, ადამიანური რესურსები (სამედიცინო, მენეჯერული, დამხმარე), სამედიცინო ტექნიკა და ტექნოლოგიები, სამკურნალწამლო საშუალებები, დაფინანსების წყაროები და სისტემა, ჯანდაცვის საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მმართველობა და ლიდერობა.

ძირითადი ტექსტი

ჯანმრთელობის დაცვის სრულყოფილი განვითარების საქმეში დიდი როლი ენიჭება კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების საკითხს. მრავალ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც, ჯანდაცვის სფეროში სპეციალისტების მომზადებაზე მთელი ყურადღება გადატანილია სამედიცინო პროფილის სპეციალისტების მომზადებაზე. მაშინ როდესაც მაღალგანვითარებულ სამედიცინო პერსონალს არანაკლებად სჭირდება ცოდნა, რომელიც მოიცავს ჯანდაცვის მენეჯმენტს, სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, საქმიანობაში დანახარჯების რაციონალურ გამოყენებას, მართვის პოლიტიკასა და ეთიკას. ცოდნის ეს სისტემა აუცილებლად ათვისებული უნდა ჰქონდეს სპეციალისტს, რომ მან თავისი პროფესიული საქმიანობა შეასრულოს ხარისხიანად, მაღალ პროფესიულ დონეზე. ერთი მიზნის ქვეშ

გაერთიანებული სამედიცინო პერსონალი მოცემულ ჯანდაცვის ობიექტებში თავისი პროფესიული საქმიანობის შესასრულებლად მოქმედებს ჯგუფური (გუნდური) მუშაობის პრინციპით და ამ შემთხვევაში მას აუცილებლად სჭირდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ძირითადი პრინციპებისა და მენეჯმენტის საფუძვლების ცოდნა, ხოლო რაც შეეხება ჯანდაცვის მენეჯმენტის სპეციალისტებს მათთვის აუცილებელია ჰქონდეთშეძენილი ცოდნა საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრინციპებსა და ჯანდაცვის ობიექტების სამედიცინო, მენეჯერული და დამხმარე მეურნეობების ერთობლივი საქმიანობის წარმართვაზე.

ჩვენი გამოკვლევით საქართველოში სამედიცინო კადრების მომზადება ითვლება პრიორიტეტულად, რაც შეეხება ჯანდაცვის მენეჯმენტის ანჯანდაცვის ადმინისტრირების სპეციალისტების მომზადება არ წარმოადგენს მნიშვნელოვანს. საქართველოში მოქმედ უმაღლესი დაწესებულებების რაოდენობა შეადგენს 55 ერთეულს, მათგან 15 უნივერსიტეტში მზადდება სამედიცინო სპეციალისტები, ხოლო მათგან 6 უნივერსიტეტში მზადდება ჯანდაცვის მენეჯმენტისა და ჯანდაცის ადმინისტრირების სპეციალისტები. საქართველოში ყოველწლიურად დაახლოვებით 40 000 აბიტურიენტი ხდება სტუდენტი და მათგან ჯანდაცვის მენეჯმენტის სპეციალობაზე სწავლის მსურველთა მხოლოდ მცირე ნაწილი რჩება დაკმაყოფილებულიო, რადგან ლიმიტი მათზე საკმაოდ დაბალია, არადა მოთხოვნა მაღალია.

მიდგომა იმისკენ, რომ მომზადდესმეტი კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი (ექიმები, მედდები) გამართლებულია, იმიტომ , რომ მოთხოვნა სამედიცინო მომსახურებაზე ყოველწლიურად იზრდება, მაგრამ ექიმთა და ექთანთა თანაფარდობა 2016წ. იყო 1:0,7; რაც შენარჩუნებულია დღესაც ხოლო სასწავლო დაწესებულებებში დიპლომირებული მედიკოსისა და საექთნო პროგრამებზე მიღებული აბიტურიენტების თანაფარდობა 2012წ. იყო 6:1, რაც არ შეცვლილა (საქართველოს პარლამენტი, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარების ხედვა 2030 წლისათვის გვ. 12-13).

საქართველოში ჯანდაცვის სისტემაში დასაქმებულთა რაოდენობა 90 000-მდეა და მათ შორის ექიმებისა და ექთნების რაოდენობა 44 000 (ო. გერზმავა. საზოგადოებრივი დანდაცვა და მენეჯმენტი). ჯანდაცვის ობიექტებში ძირითად მოქმედ ძალას ექიმი და ექთანი წარმოადგენს, მაგრამ მათი საქმიანობა ეფექტიანი ვერ იქნება, თუ არ იქნა გათვალისწინებული, მენეჯერთა და დამხმარე პერსონალის საქმიანობის მნიშვნელობა.

ჯანდაცვის სისტემის ობიექტებში მომუშავე ძირითად პერსონალს ექიმს უნდა გააჩნდეს უმაღლესი, ხოლო ექთნებს უმაღლესი ან საშუალო პროფესიული განათლება. რაც იძლევა დამოუკიდებელი საქმიანობის უფლებას.

ჯანდაცვის ობიექტებში საკმაოდ მრავალფეროვანია მენეჯერული, ტექნიკური, ეკონომიკური, საფინანსო, იურიდიული, საინჟინრო, კომპიუტერული და საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტები,სატრანსპორტო, ენერგეტიკული და სხვა სახის სპეციალისტები. მაგ. ფსიქოლოგები, ფარმაცევტები, სოციოლოგები.

მომავალში საქართველოს პარლამენტის მიერ ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარების ხედვაში პროგნოზირებულია 2030 წლისათვის ჯანდაცვის სისტემის საჭირო რაოდენობის მოტივირებული და კვალიფიციური სამედიცინო კადრებით უზრუნველყოფა, თუ ექიმთა და ექთანთა თანაფარდობა 2016 წ. იყო 1:7, 2030 წლისათვის გათვალისწინებულია 1:2 შეფარდების მიღწევა. (საქართველოს პარლამენტი, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარების ხედვა 2030 წლისათვის).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ისე როგორც მითითებული იყო, ასეთი ხედვა ექიმებისა და ექთნების პროგნოზირებული ზრდა და ეფექტიანად გამოყენება შეუძლებელია მენეჯერული და სხვა კადრების შესატყვისად მომზადებისა და გამოყენების გარეშე.

ჩვენი ხედვა და მიდგომა ჯანდაცვის მენეჯმენტის სპეციალისტების კვალიფიციურად მომზადებისათვის ეყრდნობა სასწავლო უნივერსიტეტ გეომედში აკრედიტებული ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს, რომელიც მოქმედებს 2008 წლიდან, ხოლო ახლად შექმნილი პროგრამები მოდიფიცირებულია სრულად და შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის სრულყოფილად ასათვისებლად უნივერსიტეტში მოქმედებს პრაქტიკის შემდეგი სახეები:

ა) პრაქტიკა სპეციალობაში - პრაქტიკული უნარები მენეჯმენტში, რომელიც ტარდება მესამე კურსის დამთავრების შემდეგ და მისი ხანგძლივობაა 100 საათი;

ბ) პრაქტიკა სპეციალობაში - წინასადიპლომო პრაქტიკა და მისი ხანგძლივობაა 400 საათი.

პრაქტიკული უნარები მენეჯმენტში სასწავლო პრაქტიკის მიზანია: ჯანდაცვის მენეჯმენტის სპეციალობის სტუდენტები, რომლებიც დაასრულებენ მესამე კურსს ერთი თვის განმავლობაში უნდა გაიარონ პრაქტიკა სპეციალობაში - პრაქტიკული უნარები მენეჯმენტში. პრაქტიკის პერიოდში შეძლებენ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებასა და განმტკიცებას. შეისწავლიან მენეჯმენტის ფუნქციების: დაგეგმვის, ორგანიზების, კონტროლისა და მოტივაციის შესრულებას. გაერკვევიან მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურაში, სამედიცინო ობიექტის შინა განაწესში, საქმიანობის წარმართვის საკითხებში, დიგნოსტიკისა და სამკურნალო ტექნოლოგიების გამოყენებასა და მუშაობაში.

მეოთხე კურსზე სასწავლო პრაქტიკის მიზანია სტუდენტებმა განავითარონ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. სამედიცინო ობიექტის სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის გაცნობა. თეორიული ცოდნის დაკავშირება სამედიცინო მომსახურების ბაზრებისა და ჯანდაცვის ობიექტების საქმიანობასთან. აუცილებელი ინფორმაციის მოძიება და ანალიზი. საქმიან ურთიერთობებში აქტიური მონაწილეობა. მენეჯერისთვის ახალი ცოდნის და მაღალი დონის პროფესიონალისათვის დამახასიათებელი კომპეტენციების და სხვა აუცილებელი უნარების დაუფლება.

რაც შეეხება პრაქტიკას მაგისტრატურაში, მისი მიზანია მაგისტრანტს განუვითაროს კვლევისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის შესახებ ათვისებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, შემდეგი მიმართულების მიხედვით:

- სამედიცინო მომსახურების მენეჯმენტი;
- სამედიცინო ობიექტის იერარქიული, მართველობითი სისტემა;
- მართვის სტრუქტურული ერთეულების ძირითადი ფუნქციები.
- სამედიცინო ობიექტების საქმიანობის ადმინისტრირება;
- სამედიცინო ობიექტების საქმიანობის კონტროლი.
- ჯანდაცვის ობიექტზე პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, განაწილებისა და სწავლების ორგანიზება.
- ფასწარმოქმნის პოლიტიკა, ტარიფების დადგენის მეთოდები.
- ჯანდაცვის ობიექტზე მომსახურე პერსონალის (საექიმო, მენეჯერული, დამხმარე) შრომის ანაზღაურება.
- ჯანდაცვის ობიექტის მარკეტინგული საქმიანობის ანალიზი.

სტუდენტი პროგრამის დაუფლების შემდეგ შეძლებს მიღებული ცოდნა ეფექტიანად დაგეგმოს და გამოიანგარიშოს ორგანიზაციის ეკონომიკური მაჩვენებლები: რენტაბელობა, გადახდისუნარიანობა, მოგება, შემოსავლიანობა და სხვა, შეაფასოს თითოეული მათგანი, ანალიზის შემდეგ და დაადგინოს მათი გამოყენების შესაძლებლობები, აღწეროს ორგანიზაციის დანახარჯები, შეაჯეროს მოგების რაოდენობასთან, დაადგინოს რენტაბელობის დონე, არსებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე დაამუშაოს და მიიღოს არგუმენტირებული გადაწყვეტილება, მონაწილეობა მიიღოს მის რეალიზაციაში.

ჯანდაცვის მენეჯმენტის პროგრამის სიღრმისეულად ასათვისებლად გამოიყენება სწავლისა და სწავლების შემდეგი მეთოდები: გუნდური მუშაობა, დისკუსია, ახსნა-განმარტება, ჯგუფური მუშაობა, ანალიზი, წიგნზე მუშაობა, სინთეზი, ზეპირსიტყვიერი (ლექცია, თხრობა, საუბარი).

მოცემული ჯანდაცვის მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც გათვლილია ოთხ წელზე, ძირფესვიანად და სიღრმისეულად მოიცავს ჯანდაცვის სისტემაში მოქმედი სამედიცინო ობიექტების ყველა იმ მოთხოვნას, რომელსაც უნდა ფლობდეს მენეჯერი.

დასკვნა

ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში სამედიცინო და სხვა პერსონალის მომზადებისა განვითარების საკითხები. მოცემულია ჩვენი გამოხმაურება საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წ. დამუშავებულ ხედვაზე (საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარების ხედვა 2030 წლისათვის). ჩვენ გამოვიყენეთ ამ ნაშრომის მონაცემები და დავუმატეთ ჩვენი მიდგომით დამუშავებული პროგრამა, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს ჯანდაცვის მენეჯმენტის სპეციალისტების ფართო მაშტაბით მომზადება, ეს კი არ არის

გათვალისწინებული საქართველოს პარლამენტის ხედვაში. არა და ვერცერთი ჯანდაცვის სისიტემის ობიექტებში მომუშავე ექიმისა და ექთნის საქმიანობა ვერ იქნება წარმატებული თუ არაა მენეჯმენტის გამართული მუშაობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს პარლამენტი, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარების ხედვა 2030 წლისათვის. თბილისი 2017 წ.
2. გერზმავა ო. - საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი, თბილისი 2019 წ.
3. ტულჩინსკი თ., ვარავიკოვა ე. - ახალი საზოგადოებრივი ჯანმრთელობა. თბილისი 2012 წ.
4. ამყოლაძე გ., ჯოხაძე ხ. - პირველადი ჯანდაცვის ობიექტების ეკონომიკისა და მართვის თავისებურებები. საერთაშორისო სამეცნიერო შრომათა კრებული, „მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები“, თბილისი. N3, 2018 წ.

რეზიუმე

გურამ ამყოლაძე, ხათუნა ჯოხაძე

ჯანდაცვის სისტემისათვის ჯანდაცვის მენეჯმენტის სპეციალისტების მომზადების პრობლემები

ნაშრომში განხილულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წ. დამუშავებული ,,საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარების ხედვა 2030 წლისათვის“. ასევე, მოცემულია ამ ხედვის ჩვენი კომენტარი. პროგრამის ამ ხედვაში პროგნოზით გათვლილია მხოლოდ სამედიცინო პერსონალის (ექიმი და ექთანი) მომზადების პერსპექტივები, მაგრამ არ არის გათვალისწინებული ჯანდაცვის სისტემის მენეჯმენტის სპეციალისტების მომზადება.

საერთოდ ცნობილია, რომ სამედიცინო პერსონალის ან ობიექტის საქმიანობა ვერ იქნება ეფექტიანი თუ არაა გამართული და მოქნილი მენეჯმენტი. ამ ნაკლის შესავსებათ ჩვენ განვავითარეთ პარლამენტის ხედვა და შევთავაზეთ ჩვენს მიერ მომზადებული პროგრამა ჯანდაცვის მენეჯმენტის სპეციალისტების მოსამზადებლად.

ჯანდაცვის მენეჯმენტის, ჩვენი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამა, სრულყოფილად ასახავს თანამედროვე ჯანდაცვის ობიექტების მენეჯმენტის ყველა მიმართულების საქმიანობას. პროგრამა აკრედიტებულია 2008 წლიდან და მასში გათვალისწინებულია ყველა მოთხოვნა და პირობა, რომელთა შესრულებაც მოეთხოვება მენეჯერს ჯანდაცვის ობიექტებში.

საკვანძო სიტყვები: საგანმანათლებლო პროგრამა, ჯანდაცვის მენეჯმენტი, პარლამენტის ხედვა, კვლევა, პერსონალი, მენეჯერული კადრების მომზადება,

Summary

Guram Amkoladze, Khatuna Jokhadze

Problems of preparing health management specialists for the health care system

The paper discusses the vision for the development of Georgia's health care system by 2030, elaborated by the Parliament of Georgia in 2017, And this article presents our approach to this vision. This program only covered prospects for training of medical staff (physician and nurse), but does not include training of health system management specialists.

It is generally known that the work of medical personnel or facilities may not be effective if the management is flexible and well-organized. To complement this shortcoming, we have eleborated the vision developed by Parliament and offered our program to train health care management professionals.

Our university's healthcare management curriculum perfectly reflects all aspects of modern healthcare facility management. The program has been accredited since 2008 and provides all the requirements and conditions required by a manager in a healthcare facility.

Keywords: educational program, health management, parliament vision, research, staff, managerial staff,

Резюме

Гурам Амколадзе, Хатуна Джохадзе

Проблемы подготовки специалистов управления здравоохранением для системы здравоохранения

Работа обсуждается Парламентом Грузии в 2017 году. Разработано Видение развития здравоохранения Грузии 2030 году, предоставлен наш комментарий к этому видению. Такое видение программы предсказывает только перспективы подготовки медицинского персонала (врача и медсестры), но не включает в себя подготовку специалистов по управлению системой здравоохранения.

Общеизвестно, что работа медицинского персонала или учреждений может быть неэффективной, если гибкое управление не поддерживается. Чтобы заполнить этот пробел, мы разработали видение парламента и предложили нашу программу по подготовке специалистов в области управления здравоохранением.

Учебная программа управления здравоохранением нашего университета прекрасно отражает все аспекты управления современным медицинским учреждением. Программа аккредитована с 2008 года и обеспечивает все требования и условия, требуемые менеджером в медицинском учреждениию.

Ключевые слова: образовательная программа, управление здравоохранением, видение парламента, исследования, персонал, управленческий состав,

Problems of humanization in Olympic and higher achievements of sport

Vasil Bakashvili, Doctor of pedagogical Sciences, Associate Professor

Tbilisi, Georgia, Georgian State Teaching University of Physical Education of Sports

Introduction. The Olympic movement occupies an important place in modern public culture and social life. Pierre de Coubertin and his associates, who at the head of this movement, wanted to create a sphere of activity that would be based on cooperation and on national values, but the development of the Olympic movement proceeded with obstacles. On the path of acquiring a planetary scale, its history is full of examples of compromises and concessions of its own principles.

Basic tecst: Despite the negative aspects, Olympism as a socio-cultural derivative is the spiritual basis of the sports movement, which includes such universal humane values, which are: the good will of man, their desire for peace, cooperation mutual understanding, human nature determines its essence – the service of man to society. Despite this, today Olympism is in essence consistent with the ideas with which its revival began. Olympic sport is more and more openly betting on the value of success career and at the same time developing in a professional direction. Often competition times and personalities are determined not to provide for the athlete and not to establish sports records, creating optimal conditions, but only for television and advertising companies. Gradually in the Olympic sport such anti-advertising of human tradition is approved such is rigid competition, hostility, the unfriendly relation, doping, different type of mechanization which in the essence contradict ideas of Olympism. But if these friends deepen then public opinion will cease to perceive the Olympic games and will deny the "new ideals" of Olympism. Modern sport is going through a crisis, although the whole modern culture is in crisis. A crisis in sport does not mean its destruction. Society and specialists must find ways out of this situation. They should offer innovative ideas, develop new technologies, change priorities in a word should offer us a perfect program for the development of modern sports. The modern history of Olympism is far from the old Olympic games, from their peaceful, sincere traditions, from the romanticism of Pierre de Coubertin and from amateur ideas. Social and Cultural reality dictates new rules of the game. Despite the crisis situation in the Olympic movement it can become the beginning of the recovery of the Olympic games, if we actively Wake up to work on the Olympic culture of man and the formation of their Olympic consciousness. Formed modern social Olympic mentality can lead modern sports and the Olympic movement on the path of commercialization, doping, unfair refereeing and other actions that destroy Olympism. The phenomenon of Olympic culture is the accumulated knowledge, norms, values necessary for the Olympic Charter, the developing complex of demonstrative behavior and the Olympic philosophy on the basis of which a human way of life is formed. This phenomenon works accumulated and growing humanity of the mechanism of the cultural values of the population is transferred from one generation to another. In order to form a modern social Olympic mentality, it is necessary that the latest pedagogical technologies should work an innovative approach of a social group should be used in the process of socialization with the condition of creating an

Olympic culture. Only knowledge of Olympic ideas and philosophy active development of sports practice, a condition of movement on the basis of sports habits is formed teachers, students and an adult population the Olympic culture. A team of like-minded people is able to form a social group with an Olympic culture. The Olympic mentality is the result of the formation of the Olympic culture in this society. It is important to remember that within the framework of traditional physical education it is difficult to cope with the existing task.

Conclusion. In connection with the question, the analysis of the scientific literature showed that, unlike physical education, the innovation of the process of formation of Olympic culture lies in its value and integration in the priority of the cultural potential of sports activities. The development of sports skills occurs together with the purposeful creation of humane qualities. On the basis of formation of Olympic culture there is a creation of preconditions for new education system and also preconditions for the solution of educational problems, physical, mental and spiritual beginnings are created.

References:

1. Allan Kennet, 2006. Contemporary Social and Sociological Theory: Visualizing Social Worlds. Thousand Oaks, CA: Pine Forge Press.
2. 2001, " Sport, Nation and Identity " In press Heinemann and Manfred Schubert Handbook of sport sociology. Schorondorf Hofmann.
3. Visitei N. Sociology of sport: course of lectures – Kiev: Olympic literature. 2005
4. Lubisheva L. Development of the value potential of physical culture and sports at the turn of the XXI century. Olympic movement and social processes. Krasnodar. 1996
5. Rodichenko V. Olympic movement of the eve of third thousandth anniversary: Krasnodar. 1996
6. Saraf M. Sport and culture of the XX century (Formation and development tends) Theory and practice of physical culture. 1997 N 7
7. Stoliarov V. Sport and modern cultural theory and practice of physical culture. 1997 N7

Summary

Problems of humanization in Olympic and higher achievements of sport

Vasil Bakashvili

Olympism as the spiritual basis of the sports movement is a socio-cultural education. This is a social phenomenon that contributes to the development of not only the state prestige of individuals, but also its psycho-pedagogical potential, determines the level of achievements of both the individual athlete and the whole team, as well as determines the attitude to sports in the field of social relations. Sports as an important social phenomenon, permeated all modern levels of society, which have a wide impact on a vital areas.

Key words: The Olympic ideals, Olympic culture, the philosophy of Olympism, Olympic mentality, Social phenomenon, Universal value, Modern society, Socialization of sport, Humanism

რეზიუმე

ჰუმანიზაციის პრობლემები ოლიმპიადისა და სპორტის უმაღლეს მიღწევებში

ვასილ ბაკაშვილი

ოლიმპიზმი, როგორც სპორტული მოძრაობის სულიერი საფუძველი, წარმოადგენს სოციალურ-კულტურული ბაზისს. იგი არის სოციალური ფენომენი, რომელიც ხელს უწყობს არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი პრესტიჟის ამაღლებას ინდივიდუალურად, არამედ განსაზღვრავს ფსიქო-პედაგოგიურ პოტენციალს, როგორც ცალკეული სპორტსმენის, ისე მთელი გუნდის მიღწევების დონეს, აგრეთვე იგი განსაზღვრავს საზოგადოების დამოკიდებულებას სპორტისადმი სოციალური ურთიერთობების სფეროში. სპორტი, როგორც მნიშვნელოვანი სოციალური მოვლენა, თანამედროვე საზოგადოების ყველა ფენაზე ახდენს ფართო გავლენას, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სპორტისა და საზოგადოების განვითარების ყველა დარგისათვის.

საკვანძო სიტყვები: ოლიმპიური იდეალები, ოლიმპიური კულტურა, ოლიმპიზმის ფილოსოფია, ოლიმპიური მენტალიტეტი, სოციალური ფენომენი, უნივერსალური ღირებულება, თანამედროვე საზოგადოება, სპორტის სოციალიზაცია, ჰუმანიზმი

Резюме

Проблемы гуманизации в олимпийских и высших спортивных достижениях
Васили Бакашвили

Олимпизм как духовная основа спортивного движения является социокультурным образованием. Это социальный феномен, который способствует развитию не только государственного престижа личности, но и его психолого-педагогического потенциала, определяет уровень достижений как отдельного спортсмена, так и всей команды, а также определяет отношение к спорту, в сфере общественных отношений. Спорт как важное социальное явление пронизывает все современные уровни общества, которые оказывают широкое влияние на жизненно важные сферы.

Ключевые слова: олимпийские идеалы, олимпийская культура, философия олимпизма, олимпийский менталитет, социальный феномен, общечеловеческая ценность, современное общество, социализация спорта, гуманизм.

პასუხისმგებლიანი დაკრედიტება

ლომაძე ი., დოქტორი ფინანსებში

თბილისი, საქართველო, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შესავალი

ეკონომიკაზე და საბანკო სექტორზე ამა თუ იმ გავლენის შეფასება კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. ფიზიკური პირების დაკრედიტების წინა პერიოდის პრაქტიკამ, ერთი მხრივ, გაზარდა საფრთხეები ფინანსურ სექტორში, ხოლო, მეორე მხრივ, მოსახლეობა მასობრივი სავალო წნეხის ქვეშ მოაქცია და მათ სოციალური პრობლე-მები შეუქმნა. როცა ფიზიკური პირების სამომხმარებლო დაკრედიტების ზრდის ტემპები ჯერადად უფრო ჩქარა იზრდება, ვიდრე მისი მომსახურეობის შესაძლებლო-ბები, საშუალოვადიან პერსპექტივაში, პრობლემას უქმნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობას და ეკონომიკურ ზრდას.

პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრაქტიკის და წესების შემოღება საერთაშორისო გამოცდილებისა (2014 წელს უნგრეთი იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც პასუხისმგებლიანი დაკრედიტების რეგულაციები შემოიღო) და ევროდირექტივების მოთხოვნაა. პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპები სისტემური პრობლემის პრევენციაა და სრულიად ჯდება ბაზელის საერთაშორისო კომიტეტის სტანდარტებსა და მოთხოვნებში.

ძირითადი ტექსტი

ეროვნული ბანკის მიერ ფიზიკური პირების საცალო დაკრედიტების რეგულაციების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები და პასუხისმგებლიანი დაკრედიტების მიმართულებით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის მოკლევადიან პერიოდში ვერ ექნებოდა პოზიტიური გავლენა, თუმცა სწრაფად უნდა გადადგმულიყო ის აუცილებელი ნაბიჯები, რომლებიც ჩვენამდე სხვა, უფრო განვითარებულმა ქვეყნებმა გადადგეს.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, საკრედიტო ზრდა ბოლო 3-5 წლის განმავლო-ბაში, საშუალოდ, წლიურად 20%-ზე მაღალი იყო. ტექნოლოგიურმა განვითარებამ, ე.წ. ,,ფინტექები''-ს ან/და ონლაინსესხების კომპანიების გამოჩენამ ბაზარზე და, შესაბამისად, ძალიან მარტივად ხელმისაწვდომმა კრედიტმა ბოლო პერიოდში საცალო დაკრედიტებაში დავალიანება მნიშვნელოვნად გაზარდა. ამასთან, ყურადსაღებია არა მარტო ამ დავალიანების მოცულობის ზრდა, არამედ ზრდის ტემპი. თუ დავალიანება უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მისი მომსახურების შესაძლებლობა, ეს რამდენიმე წელიწადში აუცილებლად იწვევს მძიმე პრობლემებს, როგორც მსესხებლებისავის, ასევე საფინანსო სექტორისათვის და მთლიანად ეკონომიკისათვის.

მიკროსაფინანსოებისა და ონლაინკომპანიების მხრიდან ტექნიკურად ადვილად ხელმისაწვდომი სესხების პირობებში, ბანკების მიმართ არსებულ ვალდებულებებს დაემატა მოკლე პერიოდისა და მაღალი საპროცენტო განაკვეთის მქონე გადახდის

სესხები. ამგვარი სესხების უპასუხისმგებლო[1] სტანდარტებით გაცემა, მომავალში დეფოლტის მაღალ დონეს იწვევს, რომელიც შესაძლოა სისტემურ კრიზისში გადაიზარდოს. თუ გავიხსენებთ 2014 -2015 წლის სიძნელეებს, რომელიც ეროვნული ვალუტის გაუფასურებასთან იყო დაკავშირებული, უცხოურ ვალუტაში არსებული იპოთეკური პორტფელის ხარისხის შენარჩუნება უმეტესწილად რესტრუქტურიზაციების, დაგრძელვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთების შემცირების ხარჯზე მოხერხდა. ეს უკანასკნელი ზომები შეიძლება ყოველთვის ვერ გატარდეს, რაც საფინანსო სექტორის სირთულეებს გამოიწვევს.

მაგალითად, სწრაფი სესხების საერთაშორისო კომპანია „ვივუს"-ი, რომელსაც, ძალიან მაღალი საპროცენტო განაკვეთები ჰქონდა, არ შედის ისეთ ბაზრებზე, სადაც მსგავსი რეგულაციები წლების წინ ამოქმედდა და ეტაპობრივად ამცირებს ოპერაციებს ან საერთოდ გამოდის იმ ბაზრებიდან, სადაც ბოლო წლებში ჩვენი რეგულაციების მსგავსი პრინციპები დაინერგა (მაგ. შვედეთი, ფინეთი, ლატვია, რუმინეთი). ასეთ სწრაფ სესხებზე, 2017 წლამდე მაქსიმალური წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ხშირ შემთხვევაში 3,000%-მდეც ადიოდა. საპროცენტო განაკვეთის 50%-მდე შეზღუდვამ ჩვენს ქვეყანაში ეს სქემები ეტაპობრივად დახურა და სხვა ისეთ ქვეყნებში გადაინაცვლა, სადაც მსგავსი რეგულაციები მხოლოდ ახლა ინერგება.

ასევე, საერთაშორისო კვლევა აჩვენებს, რომ გადახდისუნარიანობის შესწავლის გარეშე დაკრედიტების ბიზნეს მოდელი მსესხებელთა დიდი ნაწილის ფინანსურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად აუარესებს და ფინანსური სტაბილურობის რისკებს ზრდის. სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში უფრო რბილი მიდგომაა შემოსავლის დადასტურებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ბანკებს უფლება აქვთ, რეგულაციამდე არსებული პრაქტიკის მსგავსად, შემოსავალში გაითვალისწინონ არაფორმალური სექტორიდან მიღებული შემოსავლები, რაც საერთაშორისო პრაქტიკაში საკმაოდ იშვიათია.

ახალ გაცემულ იპოთეკურ სესხებში მკვეთრად გაზრდილია ლარის წილი, რაც მოსახლეობის მეტ დაცულობას უზრუნველყოფს. ამასთან, ბაზარზე გამოჩნდა ლარის იპოთეკური სესხები მკვეთრად შემცირებული საპროცენტო განაკვეთები. ასევე, აღარ გაიცემა შემოსავალთან არაპროპორციულად მაღალი ტვირთის მქონე ახალი სესხები, რომლებიც მოსახლეობისთვის ფინანსური პრობლემების მთავარი წყარო იყო. ყოველივე ამის შედეგად, მოსახლეობის დაკრედიტების ზრდის ტემპი ეტაპობრივად მდგრად დონეს მიაღწევს.

აღსანიშნავია, რომ უკვე მკაცრ რეგულაციას დაექვემდებარება და არავის არ ექნება უფლება ბანკის, მიკრო საფინანსო ორგანიზაციის და საკრედიტო კავშირის გარდა 20-ზე მეტი ადამიანისგან მოიზიდოს თანხა. ამ მოთხოვნების დარღვევა ფასდება როგორც კრიმინალიზებული ქმედება და სისხლის სამართლის დანაშაული. მეწარმეებს, რომლებიც ახორციელებენ ასეთ საქმიანობას და ექცევიან ამ რეგულაციის ქვეშ მიეცათ

[1] უპასუხისმგებლო დაკრედიტების მიზეზი, რასაც შეუძლია შეაფერხოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, ესენია: მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ მიერ შემოსავლების კონტროლის მინიმალური მოთხოვნა; მაღალი საპროცენტო განაკვეთები; სესხის გაცემის გამარტივებული პროცედურები; მომსახურებისა და სესხის გაცემის მაღალი საკომისიოები; ბიზნესსუბიექტის ზრდის საშუალებათა შეზღუდვა და მოკლევადიან ურთიერთობაზე ორიენტირებული პოლიტიკა.

განსაზღვრული ვადა რათა მიმართონ ეროვნულ ბანკს, გაიარონ რეგისტრაცია ან შესაბამისობაში მოიყვანონ თავიანთი საქმიანობა ამ საკანონმდებლო სიახლეებთან.

ბანკებისა და საფინანსოებითვის საკანონმდებლო ცვლილებებით დაწესებული მკაცრი მოთხოვნები ითვალისწინებს ინფორმაციის გამჟღავნებიდან, წინასწარი გადახდის საკომისიოების მოხსნას და ა.შ. პროცედურებსა და წესებს მომხმარებელთა ინტერესების დასაცავად. ყველა ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც ახდენს სესხის გაცემას, იქნება ეს ბანკი, მიკრო საფინანსო თუ სხვა იურიდიული პირი უნდა იყოს - პასუხისმგებლიანი დამკრედიტებელი და ეყრდნობოდეს ამ სტანდარტს.

ორგანიზაციები შისწავლიან მსესხებლის კრედიტუნარიანობას, მის შემოსავ-ლებს და რაც მთავარია, გადახდის უნარს, რამდენად შეუძლიათ მათ მოემსახურონ აღებულ სესხს. საბოლოო ჯამში ეს გამოიწვევს რისკების შემცირებას, როგორც მთლიანად საფინანსო სექტორში, ასევე პირველ რიგში, მოსახლეობისთვის .

საკანონმდებლო ცვლილება, მიკრო-საფინანსო ორგანიზაციების ბაზარს გახდის გამჭირვალეს და მინიმუმადე დაიყვანს რისკის დონეს, რაც თავისთავად გაზრდის ინვესტიციებს ამ ბაზარზე, მაშინ როცა დაცულია მომხმარებლის ინტერე-სიც და კონკურენციისთვის ველი არის აბსოლუტურად ფართო და ღია, როგორც ბანკებისთვის, ისე ამ ორგანიზაციებისთვის. საკანონმდებლო ცვლილებამ კომპანიები ინსტიტუციურად უნდა გამართოს, შესაბამისი კაპიტალით და მართვის ინსტრუმენ-ტებით რაც პირველ რიგში მოსახლეობის კეთილდღეობას უზრუნველყოფს.

“კომერციულ ბანკებში კრედიტების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულების დამტკიცების” 2018 წლის 17 მარტს გამოცემული ბრძანებით ძალაშია 2018 წლის 7 მაისიდან. ვფიქრობთ, ახალი საკანონმდებლო რეგულაციები უხრუნველყოფს მომხმარებელთა ინტერესების დაცვისა და კომერციულ ბანკებში ჯანსაღი საკრედიტო პოლიტიკსა და შედეგად ჯანსაღი პორტფელის ჩამოყალიბებას.

პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპების დამკვიდრებით ქვეყანაში, ხელი შეეწყო სესხების გადამისამართებას უფრო პროდუქტიულ სექტორებში, როგორე-ბიცაა მცირე და საშუალო მეწარმეობა და სხვა ბიზნეს სესხები[2] . შესაბამისად, ბიზნეს დაკრედიტების ხარჯზე სესხების ზრდას ეკონომიკის ზრდასა და დასაქმებაზე გაცილებით მაღალი ეფექტი ექნება, ვიდრე სამომხმარებლო სესხებისას. ასევე, ბიზნეს დაკრედიტების ზრდას ხელი შეუწყო კაპიტალის ადეკვატურობის კუთხით საბანკო სექტორში საკანონდმებლო ცვლილებებმა. ბანკებს შედარებით ნაკლები კაპიტალი სჭირდებათ იმისთვის, რომ დააკრედიტონ მცირე და საშუალო ბიზნესი, ვიდრე სამომხმარებლო სესხებისთვის.

ზემოაღნიშნული ღონისძიებები უზრუნველყოს ერთის მხრივ დაკრედიტების ტემპი არ შენელდეს და ეფუძნებოდეს ე. წ. ,,პასუხისმგებლიან დაკრედიტება’’-ს, რათა ამავდროულად არ მივიღოთ რისკები ჭარბ ვალიანობასთან დაკავშირებითაც.

ფიზიკური პირების პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ჩარჩოს დანერგვა უზრუნველყოფს ფინანსური სტაბილურობის რისკების შემცირებას და დადებითი

[2] ნებისმიერი საფინანსო ინსტიტუტის უპასუხისმგებლო დაკრედიტებამ შესაძლებელია გამოიწვიოს ბიზნესსუბიეტის (შპს; სს; ი/მ და სხვა) გაუთვალისწინებელ, ფორსმაჟორულ, კრიზისულ სიტუაციაში ჩაგდება, რისი შედეგიც ხშირ შემთხვევაში, არის ბიზნესსუბიექტის გადახდისუუნარობა და გაკოტრება.

გავლენა ექნება ეკონომიკაზე. აღნიშნული რეგულაცია შეამცირებს ჭარბ საკრედიტო ტვირთსა და გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებს, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას. აღსანიშნავია, რომ პასუხისმგებლიანი დაკრედიტების რეგულაცია ფინანსური სტაბილურობის რისკების შემცირების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას წარმოადგენს (მაგალითად, ბოლო წლებში მსგავსი რეგულაცია დანერგილ იქნა ისეთ ქვეყნებში როგორიცაა ესტონეთი, უნგრეთი, შვედეთი, დანია, ლიტვა, ჩეხეთი).

მნიშვნელოვანია, რომ მსესხებლის გადამხდელუნარიანობის შეფასების მოთხოვნა განსაზღვრულია ევროკავშირში მოქმედი იმ დირექტივით (მომხმარებელთა საკრედიტო შეთანხმებების 2008/48/EC დირექტივა), რომელიც, ასოცირების შესახებ შეთანხმებით, საქართველომ 2019 წლის სექტემბერამდე უნდა დანერგოს[3].

აღნიშნული ჩარჩოს ეფექტიანი მუშაობა მოითხოვს საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსა და შემოსავლების შემოწმების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, რაც გარკვეულ დროს საჭიროებს. იქედან გამომდინარე, რომ მიმდინარე პერიოდში შინამეურნეობების დაკრედიტების მაღალი ტემპი ნარჩუნდება, არის საფრთხე, რომ პროცესის დასრულებამდე კიდევ უფრო გაიზარდოს ჭარბვალიანი მსესხებლების რაოდენობა და დაკავშირებულმა რისკებმა ფინანსური სექტორის მდგრად განვითარებას ზიანი მიაყენოს.

ეროვნული ბანკის შესახებ ორგანულ კანონში შესული ცვლილებები, რომლის მიხედვითაც საქართველოს ეროვნულ ბანკს მიენიჭა უფლებამოსილება სრული ზედამხედველობა გაუწიოს არასაბანკო ფინანსური ორგანიზაციების საქმიანობას შედეგად, თანაბარი რეგულირება და ზედამხედველობა განხორციელდება მთელ საფინანსო სექტორზე, იმისათვის რომ ფიზიკური პირების თანხები მაქსიმალურად იყოს დაცული არამართლზომიერი ქმედებებისაგან. ხოლო, საგანმანათლებლო და საინფორმაციო აქტივობებით მოსახლეობის მაქსიმალური ინფორმირება და ამ გზით მომხმარებელთა უფლებების უკეთ დაცვა სებ-ის ერთ-ერთი პრიორიტეტულ ამოცანაა და გაცილებით ინტენსიური უნდა გახდეს. სებ-მა შექმნა ფინანსური პირამიდების[4] შესახებ ვიდეორგოლი, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში ფინანსური განათლების ამაღლებას, თაღლითური სქემების და ფინანსური რისკების შესახებ უფრო ინფორმირებულს გახდის საზოგადოებას.

23 თებერვალს, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო ,,Fitch Ratings''-მა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი ერთი ნიშნულით, „BB-"-დან „BB"-მდე გააუმჯობესა და პერსპექტივა სტაბილურად შეაფასა. სწორედ ეს რეგულაცია გახდა საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესების ერთ-ერთი ფაქტორი. რეიტინგში წინსვლა პოზიტიურად აისახება ქვეყნის ბიზნესგარემოზე, იგი ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვასა და ეკონომიკურ ზრდას, რაც არის გასაღები ევროკავშირის ეკონომიკურ ზონაში ინტეგრაციისა. ზემოაღნიშნული, პოზიტიურად აისახება ქვეყნის ბიზნესგარემოზე და კიდევ უფრო აძლიერებს საქართველოს მიმართ საერთაშორისო ინსტიტუტების და ინვესტორების ნდობას, ასევე წინგადადგმული ნაბიჯია ქვეყნის მთავარ გამოწვევაზე - სიღარიბის დაძლევაზე. ,,Fitch'' -ის ანგარიშში ხაზგასმულია

[3] პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპები სისტემური პრობლემის პრევენციაა და სრულიად ჯდება ბაზელის საერთაშორისო კომიტეტის სტანდარტებსა და მოთხოვნებში.

[4] https://www.youtube.com/watch?v=vNmWQFHbgyE

ქვეყნის მიერ მიაღწეულ წარმატება - მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების სიმარტივის“ რეიტინგში.

ეროვნული ბანკის, მთავრობისა და პარლამენტის ძირითადი ფუნქცია, როლი და მანდატია ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა, რომ არ დაელოდონ ვითარების რადიკალურად გაუარესებას და სამომავლო პრობლემების ასარიდებლად დროულად მიიღოს პრევენციული ზომები.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებულ წარმატებულ მონეტარულ თუ ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკას ცხადყოფს ის რომ დღეს უკვე აღარ გვყავს ე.წ. ,,იპოთეკარების კლასი'' მსოფლიოს 90 ცენტრალური ბანკირიდან 16 საუკეთესოში და სავალუტო ფონდის აღიარებით, 6 რეგიონულ საუკეთესო ბანკირში მოხვედრა.

საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად განაგრძობს ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის მუდმივ მონიტორინგს, საშინაო და საგარეო რისკების შეფასებას და საჭიროებისამებრ გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა ინსტრუმენტს შესაძლო რისკების მინიმიზაციისთვის.

პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ფილოსოფია ყველა წარმატებულ ეკონომიკაში აპრობირებული მეთოდია, საქართველოს მთავრობას აქვს გარანტია იმისა, რომ საფინანსო ინსტიტუტები პასუხისმგებლობას ბოლომდე გაიაზრებენ. თუ ამ დრომდე, სესხის გაცემის დროს პასუხისმგებლიანი დამოკიდებულების დეფიციტი ჰქონდათ და მსესხებლის შემოსავლების სრულყოფილ შესწავლას არ ახდენდნენ, ეროვნული ბანკის რეგულაცია[5] კრძალავს სესხების გაცემას შემოსავლის ანალიზის გარეშე, ბანკებს, თავიანთი კაპიტალის 25%-ზე მეტი სესხის გაცემა აეკრძალათ[6].

დასკვნა

ანალიზმა ცხადყო, რომ ჭარბვალიანობის იმ დონის შენარჩუნება, რაც დღეს გვაქვს და მისი გაზრდა მომავალში სერიოზული სისტემური რისკების გაჩენის ალბათობას გამოიწვევს, რასაც ფინანსური სექტორიც აცნობიერებს. მაღალმა კონკურენციამ ბანკებსა და სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებს შორის, წარმოშვა ის პრობლემა, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არის სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტის სხვადასხვა პროდუქტის მომხმარებელი, რომლის გაცემის წესი ხშირ შემთხვევაში, ეწინააღმდეგება პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპებს. შედეგად, ვღებულობთ გადახდისუუნარო მოსახლეობის დიდ რაოდენობას, კრიზისში მყოფ ბიზნეს კომპანიებს და ზოგადი ეკონომიკური ფონის გაუარესებას. აღნიშნული და სხვა ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით, ზემოაღნიშნულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკის შეუფერხებელ განვითარებას.

პასუხისმგებლიანი დაკრედიტება მაქსიმალურად უნდა იყოს კონტროლირებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, და ასევე, ცალკეულიმა ფინანსურმა ინსტიტუტებმა უნდა დამკვიდრონ სოციალური პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტები, რაც უპირველესად, პასუხისმგებლიან დაკრედიტებას და მომხმარებელთა კეთილსინდისიერ მომსახურებას უზრუნველყოფს.

---

[5] 2019 წლის 1-ლი იანვრიდან ქვეყანაში ყველა სესხის გამცემი, რომელსაც აქვს ასეთი ბიზნესი და მოსახლეობას აკრედიტებს, ვალდებული იქნება დარეგისტრირდეს ეროვნულ ბანკში. ანუ, ყველა, ვინც ამ საქმიანობითაა დაკავებული, მოექცევა ეროვნული ბანკის თვალთახედვის არეში

6 საქართველოს კომერციული ბანკების დიდი ნაწილი აღნიშნულ კოეფიციენტს აკმაყოფილებს რეგულაციის თარიღისთვის.

საკანონმდებლო მთავრობა და მარეგულრებელი განახოციელებს ბიზნესთან მჭიდრო და ინტესნიურ კონსულტაციებს, განსაკუთრებით იმ მეწარმეებთან, რომლებსაც ეს რეგულაცია უშუალოდ შეეხება, თუმცა რეფორმის აღსრულების თვალსაზრისით მარეგულირებელი ძალიან პრინციპული იქნება და დაწყებულ რეფორმას ბოლომდე მიიყვანს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. imedi, 05 აპრილი 2019, 13:30, სანდო წყარო; https://imedinews.ge/ge/ekonomika/101810/parlamentshi-koba-gvenetadzes-usmenen.

2. რა ახალი რეგულაციები ამოქმედდა ფინანსურ სექტორში მომხმარებლების დასაცავად; მ. კიკორია - ინტერვიუ ეროვნული ბანკის ვიცე -პრეზიდენტი. https://imedinews.ge/ge/interview/145/ra-akhali-regulatsiebi-amoqmedda-pinansur-seqtorshi-momkhmareblebis-dasatsavad

3. საქართველოს ეროვნული ბანკი - **https://www.nbg.gov.ge**

4. http://forbes.ge/news/4530/Warbvalianobis-winaaRmdeg

5. www.asocireba.ge

6.https://1tv.ge/news/mamuka-bakhtadze-pasukhismgebliani-dakreditebis-filosofia-yvela-warmatebul-ekonomikashi-aprobirebulia-ase-rom-araferi-ganskhvavebuli-ar-shemogvaqvs/

რეზიუმე
პასუხისმგებლიანი დაკრედიტება
ირმა ლომაძე

სტატიაში განხილულია, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ახალი რეგულაციები საქართველოში. ანალიზმა მოიცვა ეროვნული ბანკის მიერ ფინანსური ინსტიტუტების დაკრედიტების პოლიტიკა და მექანიზმები, რასაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ასევე, ფიზიკური პირების საცალო დაკრედიტების რეგულაციების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები და პასუხისმგებლიანი დაკრედიტების მიმართულებით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების დროულობა და ეფექტურობა.

საკრედიტო ორგანიზაციები შისწავლიან მსესხებლის კრედიტუნარიანობას, მის შემოსავლებს და რაც მთავარია, გადახდის უნარს, რამდენად შეუძლიათ მათ მოემსახურონ აღებულ სესხს. საბოლოო ჯამში ეს გამოიწვევს რისკების შემცირებას, როგორც მთლიანად საფინანსო სექტორში, ასევე პირველ რიგში, მოსახლეობისთვის.

ასევე, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპების დამკვიდრებით ქვეყანაში, ხელი შეეწყო სესხების გადამისამართებას უფრო პროდუქტიულ სექტორებში, როგორებიცაა მცირე და საშუალო მეწარმეობა და სხვა ბიზნეს სესხები . შესაბამისად, ბიზნეს დაკრედიტების ხარჯზე სესხების ზრდას ეკონომიკის ზრდასა და დასაქმებაზე გაცილებით მაღალი ეფექტი ექნება, ვიდრე სამომხმარებლო სესხებისას.

ჭარბვალიანობის იმ დონის შენარჩუნება, რაც დღეს გვაქვს და მისი გაზრდა მომავალში სერიოზული სისტემური რისკების გაჩენის ალბათობას გამოიწვევს, რასაც საქართველოს ფინანსური სექტორიც აცნობიერებს. საკანონმდებლო მთავრობა და მარეგულრებელი განახოციელებს ბიზნესთან მჭიდრო და ინტესნიურ კონსულტაციებს, განსაკუთრებით იმ მეწარმეებთან, რომლებსაც ეს რეგულაცია უშუალოდ შეეხება, თუმცა რეფორმის აღსრულების თვალსაზრისით მარეგულირებელი ძალიან პრინციპული იქნება და დაწყებულ რეფორმას ბოლომდე მიიყვანს.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური ინსტიტუტები, დაკრედიტების პოლიტიკა, ეკონომიკური განვითარება, ბანკები, მიკროსაფინანსო ინსტიტუტები, პასუხისმგებლიანი დაკრედიტება.

Summary
Responsible Lending
Irma Lomadze

The article reviews new, responsible lending regulations in Georgia. The analysis covers the policies and mechanisms on lending for financial institutions mandated from the National Bank. These regulations have a significant impact on the economic development of our country.

The article also includes the decisions made on regulating retail lending, as well as the timeline and efficiency of the legislative changes related to responsible lending. In the end, lending organizations will need to study the creditworthiness of each borrower, their income, and most importantly, their ability to honour debt obligations. This will lead to risk reduction for the financial sector, but most importantly for the general public and population.

Furthermore, promoting responsible lending across the country will facilitate the redirection of loans to more productive sectors such as business loans, including small and medium enterprises. Consequently, the growth of business loans at the expense of personal landings (consumer loans) will have a much higher effect on economic growth and employment of the country.

Maintaining or raising current high rates of debts will increase the probability of systemic risk of the country, and the Georgian financial sector is well aware of it. The legislative government and regulator will intensively consult the business sector, especially the ones with a high likelihood to be impacted by the upcoming regulations. However, in regards to the implementation of this reform, the regulatory body will be very determined and vigorous to bring it to end.

Key words: financial institution, credit policy, economic development, banks, microfinance institute, responsible lending.

Р е з ю м е

Ответственное Кредитование

Ирма Ломадзе

В статье рассмотренны новые регуляции, введенные в Грузии относительно ответственного кредитования. Анализ коснулся политики и механизмов кредитования, проводимых Национальным Банком Они имеют значительное влияние на экономическое развитие нашей страны, а также, рассмотренны решения, относительно регуляции кредитования физических лиц, законодательные меры, принятые в направлении ответственного кредитования,их своевременность и эффективность.

В кредитных учереждениях изучают кредитоспособность заемщика, его доходы и что главное – его платежеспособность, насколько он сможет обслужить/покрыть взятый им кредит. В итоге это уменьшает риски, как для финансового сектора вцелом, а также , в первую очередь для населения.

Также, благодаря принципам ответственного кредитования в стране создались условия для перенаправления кредитования в более продуктивные сектора, такие как малое и среднее производство и другие виды бизнесс кредитов. В результате - рост в бизнесс кредитовании имеет большее влияние на развитие экономики , чем рост потребительских кредитов.

Сохранение сегоняшнего уровеня просроченных кредитов и его увеличение приведет к серьезным системным рискам, это понимают и в финансовом секторе Грузии. Законодательное Правительство и Регулятивный Орган проводят тесные, интенсивные консультации с бизнесс-сектором, особенно с теми , которых конкретно коснулась эта регуляция. Но в рамках исполнения этих регуляции Регулятор будет принципиальным и Реформа будет доведена до конца.

Ключевые слова: финансовые институты, кредитная политика, экономическое развитие, банки, микрофинансовые институты, ответственное кредитование.

სპორტული კარიერა და სპორტსმენის სოციალური ადაპტაციის პრობლემები

ლელა აფციაური, პროფესორი

საქართველო, თბილისი, სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი

შესავალი

ტერმინი „კარიერა“ თანამედროვე ქართული სპორტული მეცნიერებისათვის შედარებით ახალია. საბჭოურ პერიოდში ის განეკუთვნებოდა კაპიტალისტური საზოგადოების სოციალურ ფენომენს. აქედან მოდის „კარიერის“ ცნებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება: კარიერის შექმნა - ნიშნავდა კარიერისტობას, ანუ პატივმოყვარეობას, დიდების მოყვარეობას, საკუთარი მიზნების მიღწევას ნებისმიერი საშუალებების გამოყენებით. მაგრამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია სხვა გზითაც - დაძაბული შრომისა და სისტემატიური თვითსრულყოფის გზით, რითაც ამავდროულად კმაყოფილდება პატივმოყვარეობაც და სწრაფვაც თვითდამკვიდრებისა და თვითრეალიზაციისაკენ.

ნ. სტამბულოვა ნებისმიერ კარიერაში გამოყოფს სამ მნიშვნელოვან ნიშანს: ა) მრავალწლიანი საქმიანობა (მოღვაწეობა) იმ სფეროში რომელსაც ადამიანი ირჩევს; ბ) მაღალი მიღწევები; გ)სუბიექტის თვითსრულყოფა მოცემულ (არჩეულ) საქმიანობაში.

გამომდინარე აქედან, სპორტული კარიერა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც მრავალწლიანი სპორტული საქმიანობა მიმართული მაღალი სპორტული მიღწევებისაკენ და დაკავშირებული ადამიანის მუდმივ თვითსრულყოფასთან ერთ ან რამოდენიმე სპორტის სახეობაში.

ნებისმიერი კარიერას და მათ შორის სპორტულ კარიერას ახასიათებს განვითარებისა და კრიხზისის ეტაპები რომლებიც გარკვეულ წილად ემთხვევიან ერთმანეთს, გარკვეულ წილად კი ავსებენ ერთმანეთს. ისინი საშუალებას იძლევიან გამოვყოთ სპორტული კარიერის თავისებური „კრიტიკული წერტილები“ - ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლის (გარდამავალი) ფაზები.

ძირითადი ტექსტი:

ნებისმიერ კრიზისს გააჩნია ორი მნიშვნელოვანი ნიშნი, რომლებიც ოქსფორდის ლექსიკონში შემდეგნაირად ხასიათდება:შემობრუნების წერტილი, გადამწყვეტი მომენტი რაღაცის განვითარებაში; დრო, რომელიც ხასიათდება დიდი საშიშროებით ან სიძნელით.

სპორტული კარიერის ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვყოთ სპორტული კარიერის შვიდი კრიზის-გადასვლა:

1. სპორტული სპეციალიზაციის დაწყების კრიზისი.
2. გაღრმავებულ სპორტულ სპეციალიზაციაზე გადასვლის კრიზისი.
3. მასობრივი სპორტიდან უმაღლესი მიღწევების სპორტში გადასვლის კრიზისი.
4. ახალგაზრდული სპორტიდან დიდ სპორტში გადასვლის კრიზისი.
5. სამოყვარულოდან პროფესიულ სპორტში გადასვლის კრიზისი.
6. სპორტული კარიერის კულმინაციიდან დასასრულისაკენ გადასვლის კრიზისი.

7. სპორტული კარიერის დასრულების და სხვა საქმიანობის კარიერაზე გადასვლის კრიზისი.

მოვახდინოთ **სპორტული კარიერის კრიზისის განმსაზღვრელი** ძირითადი წინააღმდეგობების ანალიზი, რომელიც სპორტული კარიერის თვითოეული ეტაპის განვითარებისათვის არის დამახასიათებელი.

სპორტული სპეციალიზაციის დაწყების კრიზისი დაკავშირებულია სპორტულ სკოლაში ან სპეციალიზაციის ჯგუფში პროფესიონალ მწვრთნელთან მეცადინეობების დაწყებასთან. ამ კრიზისის არსს შეადგენს არჩეული სპორტის სახეობის მოთხოვნებთან, მწვრთნელთან, ჯგუფთან ადაპტირება.

მოზარდი სპორტსმენების წინაშე საკმაოდ რთული ამოცანები დგება. პირველად დგება საკითხი მათი მომავალი სპორტული პერსპექტივების შესახებ, ხდება მათი სპორტული ნიჭიერების, მოტივაციური ძალებისა და მდგრადობის შემოწმება. ვინც ამ კრიზის გადალახავს გადადის არჩეულ სპორტის საზეობაში გაღრმავებულ წვრთნაზე, დანარჩენები კი როგორც წესი იცვლიან სპორტის სახეობას ან გადადიან საქმიანობის სხვა სფეროში.

არჩეულ სპორტის სახეობაში გაღრმავებულ წვრთნაზე გადასვლის კრიზისი იწყება ახალი მიზნის დასახვით - „შედეგზე“ მუშაობით. სპორტსმენის წინაშე დგება ახალი, უფრო მაღალი მიზნები, განუხრელად იზრდება სპეციალური მომზადების ხვედრითი წონა საერთო ფიზიკური დატვირთვების მნიშვნელოვნად გაზრდილ ფონზე, მაღლდება შეჯიბრებების რანგი, მაშასადამე მათში კონკურენციის დონეც.

არსებული კრიზისიდან გამოსვლას მოწმობს შეჯიბრებებში პირველი მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევა, რასაც არსობრივად სპორტსმენი გადაყავს მაღალი მიღწევების სპორტის დონეზე. სპორტსმენები, რომლებმაც ვერ გადალახეს კრიზისი, მაგრამ შეინარჩუნეს მაღალი მოტივაცია, ან რჩებიან მასობრივ სპორტში (აგრძელებენ „თავისთვის“ ვარჯიშს, ან ირჩევენ სპორტთან დაკავშირებულ პროფესიას და ემზადებიან მისთვის. ამ ეტაპზე, სპორტსმენების მნიშვნელოვანი ნაწილი კი საერთოდ მიდის სპორტიდან.

მასობრივი სპორტიდან უმაღლესი მიღწევების სპორტში და ახალგაზრდულიდან უფროს სპორტში გადასვლის კრიზისი მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რამდენადაც მაღალი შედეგების სპორტის დონეზე გასული სპორტსმენები, როგორც წესი, ავტომატურად იღებენ მონაწილეობას უფროსების შეჯიბრებებში, საპასპორტო მონაცემების მიუხედავათ. სპორტული კარიერის კულმინაციის მოცემულ ეტაპზე, სპორტული მიზნები იძენს ცხოვრების მთავარი მიზნის სახეს, რაც განსაზღვრავს მთლიანად ცხოვრების წესის გარდაქმნის აუცილებლობას.

მოცემული კრიზისები სპორტსმენის უმეტესობისათვის მძიმე ტვირთს წარმოადგენენ. სწორედ აქ ხდება „საშუალო დონისა“ და „ სპორტული ელიტის“ გამიჯვნა. არსებულიდან გამოსვლა შესაძლებელია არა მარტო სპორტული, არამედ პიროვნული მომწიფებულობის საშუალებით.

მაღალი მიღწევების სამოყვარულო სპორტიდან პროფესიულ სპორტში გადასვლის კრიზისი შედარებით ახალი მოვლენაა პოსტსაბჭოური ქვეყნების სპორტსმენებისათვის.

აღნიშნული კრიზისიდან გამოსვლა უზრუნველყოფს პროფესიონალურ ტურნირებში სტაბილურად მაღალ შედეგებს, სოციალურ აღიარებას და მაღალ ჰონორარებს.

კულმინაციიდან სპორტული კარიერის დასასრულზე გადასვლის კრიზისი დგება გარკვეული პერიოდის შემდეგ, მაღალი შედეგების და პროფესიონალურ სპორტში შედეგების სტაბილიზაციისა ან დაქვეითების კანონზომიერებების შესაბამისად. ამ დროს ადგილი აქვს მიზეზთა კომპლექსს, რომლებიც აიძულებენ სპორტსმენს დაფიქრდეს სპორტული კარიერის დასრულებაზე. თუმცა მათი (სპორტსმენების) უმეტესობა ცდილობს გაახანგრძლიოს „ფინიშის“ ეტაპი და რაც შეიძლება გადაწიოს სპორტიდან წასვლის მომენტი.

სპორტული კარიერის დასრულების და სხვა კარიერაზე გადასვლის კრიზისი დაკავშირებულია ადამიანის ცხოვრებაში სპორტის ადგილიმონაცვლეობასთან, რაც იწვევს პიროვნული „მეს“ გარდაქმნის აუცილებლობას და საკუთარი პიროვნების ფასეულობათა შეცნობას სპორტსმენის სოციალური როლის გარეთ.
საუბედუროდ, ყველა სპორტსმენს არ ძალუძს წარმატებით გადალახოს სპორტული კარიერის დასრულების კრიზისი. არნიშნული კრიზისის მიმდინარეობის სიმძაფრე, როგორც წესი ძლიერდება შემდეგ პირობებში: სპორტიდან უეცარი წასვლისას სათანადო მომზადების გარეშე, სპორტსმენის პასიური პოზიციის, ფსიქოლოგიური და მატერიალური უზრუნველყოფის არ ქონის. ასევე, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სპორტსმენის სპორტში არსებულ სტატუსსა და სპორტული კარიერის დასრულების შემდგომ სტატუსებს შორის. რაც უფრო დიდია მათ შორის სხვაობა, სხვა თანაბარ პირობებში, მით უფრო ფსიქოლოგიურად მძიმედ (რთულად) მიმდინარეობს აღნიშნული კრიზისი.

დასკვნა

და ბოლოს, შეიძლება ავღნიშნით, რომ სპორტული კარიერისათვის დამახასიათებელი თითოეული ტიპიური გარდამავალი კრიზისის წინააღმდეგობრიობათა ცოდნა, საშუალებას იძლევა არამარტო მომზადდეს სპორტსმენი მისთვის, არამედ სათანადო, ეფექტური, ფსიქოლოგიური დახმარებაც გაეწიოს.

სპორტის სახეობებში სპორტული კარიერის თავისებურებების გათვალისწინების აღწერა, წარმოადგენს შესაძლო ნეგატიური სიტუაციების პროგნოზირების საფუძველს. პროგნოზირება დაეხმარება სპორტსმენებსა და მწვრთნელებს თავიდან აიცილონ შეცდომები, რომლებიც როგორც ახალგაზრდა, ისე მომწიფებული სპორტსმენების ცხოვრებისეულ გზაზე წარმოიქმნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Дергач, Е.А. Уход из спорта: причины и особенности / Е.А. Дергач, С.К. Рябинина. - Красноярск : Сибирский федеральный университет, 2012. - 174 с. - ISBN 978-5-7638-2386- 5 ;

2. Павленок, П.Д. Социология : учебное пособие / П.Д. Павленок, Л.И. Савинов, Г.Т. Журавлев. - 3-е изд. - М. : Дашков и Ко, 2013. - 734 с. : ил. - Библиогр. в кн. - ISBN 978-5-394-01971-5;

3. Ермаков, В. А. Психология в индустрии спорта [Электронный ресурс]: хрестоматия / В. А. Ермаков. - М.: Евразийский открытый институт, 2011. - 615 с.

4.Baillie, P.H.F., Danish S.J.: Understanding the career transition of athletes. The Sport Psychologist 6: 77-98, 1994

რეზიუმე
სპორტული კარიერა და სპორტსმენის სოციალური ადაპტაციის პრობლემები
ლელა აფციაური

სპორტული კარიერა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც მრავალწლიანი სპორტული საქმიანობა მიმართული მაღალი სპორტული მიღწევებისაკენ და დაკავშირებული ადამიანის მუდმივ თვითსრულყოფასთან ერთ ან რამოდენიმე სპორტის სახეობაში. ნებისმიერი კარიერის და მათ შორის სპორტულ კარიერას ახასიათებს განვითარებისა და კრიზისის ეტაპები რომლებიც გარკვეულ წილად ემთხვევიან ერთმანეთს, გარკვეულ წილად კი ავსებენ ერთმანეთს.

საკვანძო სიტყვები: სპორტული კარიერა, სოციალური ადაპტაცია, პროგნოზირება, კულმინაცია, კრიზი.

Резюме
Спортивная карьера и проблемы социальной адаптации спортсмена
Лела Апциаури

Спортивную карьеру (СК) можно определить как многолетнюю спортивную деятельность, нацеленную на высокие спортивные достижения и связанную с постоянным самосовершенствованием человека в одном или нескольких видах спортаполные. Потому анализ кризисов-переходов СК, а также описания, учитывающие особенности СК в различных видах спорта, являются основой для прогнозирования возможных негативных ситуаций. Прогнозирование поможет спортсменам и тренерам избежать ошибок, возникающих на жизненном пути молодых и зрелых спортсменов.

Ключевые слова: спортивная карьера, социальная адаптация, прогнозирование, кульминация, кризис.

Summary
Sports career and social adaptation problems of an athlete
Lela Aptsiauri

A sports career (SC) can be defined as a multi-year sports activity aimed at high sports achievements and associated with the constant self-perfection of a person in one or more sports is complete. Therefore, the analysis of crises-transitions of the SC, as well as descriptions that take into account the features of SC in various sports, are the basis for predicting possible negative situations. Forecasting will help athletes and coaches avoid the mistakes that arise on the life path of young and mature athletes.

Keywords: Sports career, social adaptation, forecasting, climax, crisis.

გარემოს გავლენა საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე
კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი

ბენაშვილი ი.,[1] ასოცირებული პროფესორი, ბენაშვილი მ.,[2]

[1] თბილისი, სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი, საქსტატი
[2] თბილისი, საქსტატი

შესავალი

ჯანმრთელობა რთული ფენომენია, რომლის განმაპირობებელი უამრავი გარე თუ შიდა ფაქტორია. თამბაქოს თუ ალკოჰოლის მოხმარება, წამალდამოკიდებულება, ფიზიკური აქტივობა, კვების რეჟიმი, ატმოსფერული ჰაერისა თუ წყალმომარაგების სანიტარული მდგომარეობა, სოციალური თუ ეკონომიკური ფაქტორები (უმუშევრობა/დასაქმება), - ესაა ის არასრული ჩამონათვალი მიზეზებისა, რომლებიც საერთო ჯამში უზრუნველყოფენ ჯანმრთელ საზოგადოებას.

ძირითადი ტექსტი

დღევანდელ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ სიტუაციაში, ნებსით თუ უნებლიედ ვხდებით მსხვერპლნი გარემო ფაქტორების ზეგავლენით. სწორედ ერთ-ერთ მათგანზე - ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მდგომარეობასა და მის გავლენაზე დაავადებათა რაოდენობაზე შევჩერდებით ამჯერად. საანალიზოდ გამოვიყენეთ 1995-2018 წლების სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ეფუძნება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, ასევე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალურ სტატისტიკას.

ცხრილში მოცემულია საქართველოს მოსახლეობის ავადობა 2002-2018 წლებში.
ცხრილი 1: მოსახლეობის ავადობა დაავადებათა ძირითადი ჯგუფების მიხედვით პირველად დადგენილი დიაგნოზით 2002-2018 წლებში, ათასი

დაავადებათა ძირითადი ჯგუფები	**2002**	**2005**	**2010**	**2018**
რეგისტრირებული დაავადებების რიცხოვნობა პირველად დადგენილი დიაგნოზით	511	695	1 170	2 001
მათ შორის:				
ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობები	44.2	54.0	71.6	102.4
სიმსივნეები	7.1	8.4	11.7	9.6
სისხლისა და სისხლმბადი ორგანოების ავადმყოფობები და იმუნური მექანიზმების ჩართვით მიმდინარე დარღვევები	7.7	8.5	17.4	18.4
ენდოკრინული სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული ავადმყოფობები	30.0	31.5	43.5	83.5
ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები	5.8	7.0	4.0	14.3

ნერვული სისტემის და გრძნობათა ორგანოების დაავადებები	42.6	54.9	...	…
ნერვული სისტემის ავადმყოფობები*	...	...	47.7	58.2
თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები*	...	...	49.5	114.7
ყურისა და დვრილისებრი მორჩის ავადმყოფობები*	...	...	27.9	55.2
სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები	56.8	82.5	98.2	150.3
სუნთქვის ორგანოთა ავადმყოფობები	188.2	249.1	439.3	641.7
საჭმლის მომნელებელი სისტემის ავადმყოფობები	36.4	84.9	151.8	349.9
კანისა და კანქვეშა ქსოვილის ავადმყოფობები	17.1	23.3	38.3	66.8
ძვალ-სახსართა სისტემის და შემაერთებელი ქსოვილების ავადმყოფობები	8.5	13.2	30.9	72.9
შარდ-სასქესო სისტემის ავადმყოფობები	25.0	31.6	72.0	129.7
ორსულობა, მშობიარობა და ლოგინობის ხანა	7.6	8.2	7.2	14.6
პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი ცალკეული მდგომარეობა	2.1	2.5	2.2	2.4
თანდაყოლილი ანომალიები	1.3	1.1	2.4	2.5
სიმპტომები, ნიშნები და ნორმიდან გადახრილი კლინიკური და ლაბორატორიული მონაცემები	2.0	2.5	7.1	...
ტრავმები, მოწამვლები და გარეშე მიზეზების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგები	28.7	32.0	47.3	113.4

ცხრილიდან ჩანს, რომ დაავადებათა რაოდენობა მზარდი ტენდენციით ხასიათდება. მატება შეინიშნება როგორც მთლიანად დაავადებებების, ისე მისი ცალკეული სახეების (ინფექციური და პარაზიტული დაავადებების, საჭმლის მომნელებელი სისტემის, სისხლის მიმოქცევის სისტემის, ნერვული სისტემის, სუნთქვის ორგანოების, ფსიქიკური და სხვა) მიხედვით. დაავადებათა შესახებ კიდევ უფრო ნათელ სურათს იძლევა ქვემოთმოტანილი დიაგრამა.



განსაკუთრებით აღსანიშნავია სუნთქვის ორგანოების დაავადებები, რომელთა რაოდენობა 1995-2018 წლებში თითქმის 4-ჯერ გაიზარდა.

რა მიზეზები იწვევენ დაავადებათა მზარდ ტენდენციას საქართველოში? ფაქტორთა ნუსხა მრავალფეროვანია, თუმც ამჯერად მხოლოდ ერთ-ერთ მათგანზე, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე შევჩერდებით. ამ მხრივ მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიელოა. თუ გადავხედავთ უახლოესი წლების მონაცემებს, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მაჩვენებლები იზრდება. ქვემოთმოტანილი სტატისტიკა ამის ნათელი დასტურია:



აქვე შევნიშნავთ, რომ 2018 წლის მაჩვენებელი საპროგნოზოა. გაანგარიშებები ეფუძნება ოფიციალური ადმინისტრაციული ორგანოების რეგისტრირებულ მაჩვენებლებს სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შესახებ. ეს უკანასკნელი მოიცავს ყველა სახის დამაბინძურებელ ნივთიერებას, რომელიც ატმოსფეროში ხვდება როგორც ორგანიზებული დამაბინძურებელი წყაროებიდან მტვერდამჭერი და გაზგამწმენდი დანადგარებიდან არასრული დაჭერისა და წმენდის შედეგად, ისე გაუწმენდავად ორგანიზებული და არაორგანიზებული დამაბინძურებელი წყაროებიდან. არ შედის ატმოსფეროში გამოფრქვეული ის მავნე ნივთიერებები, რომლებიც წარმოიქმნება ნიადაგის ეროზიის, ტყის ხანძრების შედეგად და სხვა. სავალალოა ის ფაქტიც, რომ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითად შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს ავტოტრანსპორტის მიერ გაფრქვეული მავნე ნივთიერებები. ამ უკანასკნელის წილი მთლიან გაბინძურებაში წლების განმავლობაში დაახლოებით 90-95 %-ის ფარგლებში მერყეობს. ბოლო წლებში საგრძნობლად მოიმატა ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობამ (ოფიციალური მონაცემებით, ავტოპარკის მოცულობამ 2018 წლისათვის 1321569 შეადგინა, რომლის დაახლოებით ნახევარი 20 წელზე მეტი ასაკისაა). ამასთან ერთად, აღსანიშნავია უხარისხო საწვავი, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება გარემოზე.

გარემოს დაბინძურების დონესა და დაავადებათა რაოდენობას შორის ურთიერთკავშირის დასადგენად და შესასწავლად გამოვიყენეთ კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეთოდი. აღნიშნული განვახორციელეთ სტატისტიკური პროგრამული პაკეტის SPSS-ის დახმარებით. შედეგები შემდეგნაირია:

Model Summary

R	R Square	Adjusted R Square	Std. Error of the Estimate
.930	.865	.859	246.370

The independent variable is გარემო.

დეტერმინაციის კოეფიციენტი R^2, რომელიც 0.865 უტოლდება, გვიჩვენებს, რომ დამოუკიდებელი ცვლადი, ჩვენს შემთხვევაში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების დონე, დამოკიდებული ცვლადის (დაავადებათა რაოდენობა) 86.5 %-ს ხსნის.

Correlations

		ავადობა	გარემო
ავადობა	Pearson Correlation	1	.930**
	Sig. (2-tailed)		.000
	N	24	24
გარემო	Pearson Correlation	.930**	1
	Sig. (2-tailed)	.000	
	N	24	24

**. Correlation is significant at the 0.01 level (2-tailed).

კორელაციის პირსონის კოეფიციენტი 0.930 უტოლდება, რაც ნიშნავს, რომ დაავადებათა მზარდ რაოდენობასა და გარემოს დაბინძურების დონეს შორის წრფივი პირდაპირპროპორციული დამოკიდებულებაა. კოეფიციენტი 1-თან ახლოსაა. ეს კი მათ შორის მჭიდრო კავშირზე მიგვითითებს. რაც უფრო იზრდება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი, მით მეტად იზრდება დაავადებათა რაოდენობა.

ANOVA

	Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig.
Regression	8567504.335	1	8567504.335	141.150	.000
Residual	1335356.582	22	60698.026		
Total	9902860.917	23			

The independent variable is გარემო.

დისპერსიული ანალიზის ცხრილი ასახავს F სტატისტიკას (141.150) და P (0.000), რაც ნიშნავს, რომ გვაქვს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მოდელი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რადგან $P<0.05$-ზე, შეგვიძლია უარვყოთ ნულოვანი ჰიპოთეზა R^2-ის ნულთან ტოლობის შესახებ.

Coefficients

	Unstandardized Coefficients		Standardized Coefficients		
	B	Std. Error	Beta	t	Sig.
გარემო	2.233	.188	.930	11.881	.000
(Constant)	-14.152	102.402		-.138	.891

b კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს, ფაქტორის 1 ერთეულით ცვლილება რამდენით შეცვლის საშედეგო მოვლენას, ჩვენს გაანგარიშებებში ტოლია 2.233. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების გაზრდა 1 ათასი ტონით გამოიწვევს დაავადება რაოდენობის დაახლოებით 2 ერთეულით გაზრდას. აქედან გამომდინარეობს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს და რაოდენ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ატმოსფერული ჰაერის სისუფთავის დაცვას. შესაბამისმა უწყებებმა სწორი გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ და სწორი პოლიტიკა გაატარონ აღნიშნული მიმართულებით.

ქვემოთმოტანილი დიაგრამა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების დონესა და დაავადებათა რაოდენობას შორის ურთიერთკავშირის ამსახველი თვალსაჩინოებაა:



დასკვნა

და ბოლოს, დასკვნის სახით ავღნიშნავთ, რომ ატმოსფერული ჰაერის სისუფთავის მდგომარეობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ადამიანის ჯანმრთელობის განსაზღვრისთვის. ჯანმრთელობის დაცვის ისეთი მაჩვენებლის ფორმირებაზე, როგორიცაა დავადებათა რაოდენობა ქვეყანაში, დიდწილად განაპირობებს გარემომცველი ჰაერის დაბინძურების დონე. ამდენად ატმოსფეროს სიჯანსაღეს მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს შესაბამისი უწყებების მხრიდან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2010, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი 2011
2. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2004, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი 2004
3. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2000, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი 2000
4. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/54/jandatsva
5. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/565/garemosdatsviti-indikatorebi
6. https://www.moh.gov.ge/ka/567/janmrTelobis-erovnuli-moxseneba
7. http://eprints.iliauni.edu.ge/1187/1/Tengiz%20Verulava%20Health%20Economic%20and%20Insurance.pdf
8. http://vet.ge/wp-content/uploads/2016/03/Environment-var-1.pdf

Summary

Environmental impact on the health of the population of Georgia Correlation-regression analysis

Inga Benashvili, Mamuka Benashvili

Health care is a priority for any community.

One of the most important external factors in determining health is ambient air sanitation. There is a linear direct proportional relationship between the increasing number of diseases and the level of environmental pollution. The more the rate of ambient air pollution increases, the more the number of diseases increases. Among them, the Pearson correlation coefficient is 0.930, the coefficient of determination is 0.865, and the regression *B* coefficient is 2.233, respectively.

Keywords: Health, Environment, Correlational analysis, Regression analysis.

Резюме

Влияние окружающей среды на здоровье населения Грузии
Корреляционно-регрессионный анализ

Инга Бенашвили, Мамука Бенашвили

Здравоохранение является приоритетом для любого сообщества.

Одним из наиболее важных внешних факторов, влияющих на здоровье, является санитария атмосферного воздуха. Существует прямая пропорциональная взаимосвязь между растущим числом заболеваний и уровнем загрязнения окружающей среды. Чем выше уровень загрязнения атмосферного воздуха, тем больше количество заболеваний. Среди них коэффициент корреляции Пирсона составляет 0,930, коэффициент детерминации - 0,865, а коэффициент регрессии b равен 2,233 соответственно.

Ключевые слова: здоровье, окружающая среда, корреляционный анализ, регрессионный анализ.

რეზიუმე

გარემოს გავლენა საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე
კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი

ინგა ბენაშვილი, მამუკა ბენაშვილი

ჯანმრთელობაზე ზრუნვა ნებისმიერი საზოგადოების პრიორიტეტია.

ჯანმრთელობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარე ფაქტორი ატმოსფერული ჰაერის სანიტარული მდგომარეობაა. დაავადებათა მზარდ რაოდენობასა და გარემოს დაბინძურების დონეს შორის წრფივი პირდაპირპროპორციული დამოკიდებულებაა. რაც უფრო იზრდება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი, მით მეტად იზრდება დაავადებათა რაოდენობა. მათ შორის ურთიერთკავშირის მახასიათებელი პირსონის კორელაციის კოეფიციენტი 0.930, დეტერმინაციის კოეფიციენტი 0.865, ხოლო რეგრესიის b კოეფიციენტი 2.233 უტოლდება შესაბამისად.

საკვანძო სიტყვები: ჯანმრთელობა, გარემო, კორელაციური ანალიზი, რეგრესიული ანალიზი.

ჯანდაცვის ობიექტებზე დაგეგმვის მეთოდების სრულყოფისათვის

ლორთქიფანიძე რ., ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საქართველო, თბილისი, შ.პ.ს. სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი, revazlordkipanidze@gmail.com

შესავალი

„მთავარი ექიმის“ ე.წ. ყოფილი საბჭოთა ინსტიტუტის მენტალური და ორგანიზაციული რეფორმირების პროცესში, მენეჯმენტის ეფექტიანი მექანიზმების სწრაფი ამოქმედების ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობას დაგეგმვის მეთოდების სრულყოფილი გააზრება-პრაქტიკული რეალიზება წარმოადგენს.

საბჭოთა კავშირის დამსახურებულ დაშლასთან ერთად, ზოგმა „სპეციალისტმა“ ნაადრევად ჩამოწერა ყოფილი ხსენებული კავშირის ქვეყნებში დაგროვილი კოლოსალური გამოცდილებაც დაგეგმვის მრავალფეროვანი მექანიზმების შესახებ, რაც უდიდესი ინტერესის საგანს წარმოადგენდა და წარმოადგენს ეკონომიკურად სუპერ-განვითარებულ ქვეყნებსა და ნობელიანტ ეკონომისტთა წრეებშიც კი.

უფრო მეტიც, გონივრული დაგეგმვის გარეშე, წარმოუდგენელია წარმატება მოულოდნელად მოვლენილი საყოველთაო გლობალიზების ეპოქაში.

საბჭოთა კავშირი რომ დაინგრეოდა, ყველა ლოგიკურად მოაზროვნე ხედავდა, მაგრამ ეს თუ ასე სწრაფად განხორციელდებოდა, ბევრს ნამდვილად ვერ წარმოედგინა, ვინაიდან, ქვეყანა საკმაოდ წარმატებული იყო ეკონომიკურად და „უფასო“ ჯანდაცვის სისტემაც საკმაოდ განვითარებული იყო, თუმცა „მთავარი ექიმის“ ინსტიტუტი მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაკლოვანება იყო.

როგორც ყოველი ქვეყნის მაკროეკონიკური სივრცე საჭიროებს რაციონალურ დაცვასა და რეგულირებას, კაცობრიობის ახალი ფენომენი - მსოფლიო ეკონომიკაც და გლობალური ჯანდაცვაც საჭიროებს რაციონალურ - გეგმაზომიერ ორგანიზებასა და მართვას. გლობალიზება კაცობრიობისა და ზოგადად ტექნიკური პროგრესის უდიდესი მონაპოვარია, რაც გლობალური სტრუქტურების გაქტიურებისა და არნახული ეკონომიკური დაწინაურების გააზრებულ (გეგმაზომიერ) შესაძლებლობებს იძლევა.

ძირითადი ტექსტი

ელემენტარულად, თუ ოჯახისათვის საჭირო 2-3 დღის ჯანსაღი სასურსათო პროდუქტებისათვის მარკეტებს წინასწარ მომზადებული გეგმის მარტივი ნუსხითა და რაციონალური სატრანსპორტო მარშრუტებით ვეწვევით, 5 აშშ დოლარზე მეტს დავზოგავთ კვირაში, რაც წელიწადში, დაახლოებით, მინიმუმ 260 დოლარს შეადგენს. თუ აღნიშნულ ეკონომიას, მსოფლიოში ოჯახების საშუალო რაოდანობაზე გავამრავლებთ, მარტო ამ გზით, დაგეგმვის მექანიზმების გამოყენება ნახევარი ტრილიონი დოლარის ეკონომიას მისცემს მსოფლიოს.

სტრატეგიული მეთოდებით დაგეგმვის მასშტაბური (საყოველთაო) ამოქმედების და ფარული საერთაშორისო მონოპოლიებისაგან ადგილობრივი სამედიცინო ბაზრების დაცვის გარეშე, გარკვეული ეკონომიკები პრაქტიკულად ვეღარ ვითარდება [1] და გლობალიზების გამოწვევების დაძლევა მნიშვნელოვნად რთულდება, როგორც ახალი

დამოუკიდებლობის გამოწვევებით დამატებით დამძიმებული ჩვენი ქვეყნის პირობებში, არანაკლებ - უკვე ინდუსტრიულ-ინფორმაციულ ოაზისებში [2, 3, 4, 5]. სასიხარულოა, რომ დაგეგმვის მეთოდების საუკეთესო მაგალითებს სულ უფრო მეტად ავლენენ თანამედროვე აშშ, ჩინეთი, იაპონია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, სამხრეთ კორეა, მეტ-ნაკლებად ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები და მ.შ. საქართველო და მისი სამაგალითოდ - შესაძლოდ არსებითად რეფორმირებადი ჯანდაცვის სფერო.

ზოგიერთისათვის რაგინდ უცნაურიც არ უნდა იყოს, ცხოვრების დონის მაჩვენებლით (სხვადახვა მეთოდით გაანგარიშებული მსყიდველობითი უნარის პარიტეტის გათვალისწინებით), საქართველო საშუალო მსოფლიო დონის 10 000 დოლარიან დონეს გაუტოლდა, რაც განვითარებული ქვეყნების რიგში შესვლას ნიშნავს, თუ მეცნიერებატევადი (განსაკუთრებით ინოვაციური ტექნიკის და მ.შ. სამედიცინო ტექნიკის მწარმოებელი) დარგებიც ადეკვატურად განვითარდება.

რეალური დაგეგმვის რაციონალური მეთოდების ჩვენეული პრიორიტეტები, ვფიქრობთ, მიზანშეწონილია, შემდეგი თანმიმდევრობით წარმოჩინდეს:

1) პროგნოზულ-გრაფიკული ექსტრაპოლირება;

2) მეცნიერულად დასაბუთებული ნორმატივებისა და ნორმების მომზადება;

3) მატერიალური ბალანსების შედგენა;

4) სტრატეგიული განვითარების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება;

5) კომპლექსური გეგმების მიზნობრივი პროგრამებით შევსება და კორექტირება.

დაგეგმვა და ორგანიზება რომ მენეჯმენტის ფუძემდებლური ფუნციებია, ჯერ კიდევ ფრედერიკ ტეილორი და ანრი ფაიოლი ხედავდნენ, თუმცა, ცალკეული ბიზნეს „აქტივისტები“ მიიჩნევენ, რომ ეკონომიკური მეცნიერების მკვლევართა შედეგების გაცნობა ზოგადად და კონკრეტულად სტრატეგიული განვითარების სამსახურების არსებობა ბიზნეს-ორგანიზაციებში, მ.შ. კლინიკებსა და პოლიკლინიკებში, დროისა და ფინანსების ფუჭი ხარჯვაა და მეტი არაფერი. სწორედ ასეთი ხედვები იწვევს მსგავსი ბიზნესმენების ჩამორჩენას ჯანსაღ კონკურენტულ პაექრობაში, რაც აიძულებს მათ ფარულ შეთანხმებებში შევიდნენ მსგავს პარტნიორებთან და გაერთიანებული ძალისხმევით დაამარცხონ ნაკლებდაცული მეტწილად წესიერი მეწარმე.

პროგნოზულ-გრაფიკული ექსტრაპოლირება და მეცნიერულად დასაბუთებული ნორმატივები საშუალებას მოგვცემს გეგმები რეალურ საფუძველზე შევიმუშაოთ, შესაბამისად, ადგილობრივი მეწარმის დასაცავად, სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქციასა და მომსახურებაზე აუცილებლად უნდა შემუშავდეს სრულფასოვანი მატერიალური ბალანსებიც.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ტექნიკური დონისა და ფონდშეიარაღების ზრდამ არ უნდა გაუსწროს სამედიცინო პერსონალის მწარმოებლურობას, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში, ახალი ტექნიკის ეფექტიანობა უკვე ჩამოწერილი ტექნიკის უკუგებასაც კი ვერ გადაამეტებს.

დასკვნა

თუ გლობალური ეფექტიანობა დაინტერესებულია ყველა ქვეყანამ თავისი აბსოლუტური უპირატესობა განავითაროს, ეკონომიკური დამოუკიდებლობის ინტერესები დივერსიფიცირებულ მიდგომებსა და მეცნიერებატევადი დარგების (მ.შ.

მედიცინისა და სამედიცინო ტექნიკის წარმოების) პროგრამულ-მიზნობრივ განვითარებას საჭიროებს.

ზემოაღნიშნული შეუძლებელია კომპლექსური სტრატეგიების შემუშავების გარეშე - ადგილობრივი ხელისუფლების, უნივერსიტეტებისა და ბანკების ჩართულობითა და, საჭიროების შემთხვევაში, საყოველთაო განხილვადობით (მ.შ. რეფერენდუმის გზით), რაც, ხშირი პოლიტიკური ცვლილებების ე.წ. „საყმაწვილო სენის“ გამოცდილებით, გამორიცხავს დასახული სტრატეგიების „ჩამოწერასა“ ან პირად ინტერესებზე მორგებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ივანიშვილი ბ. ეკონომიკა პრაქტიკულად არ მუშაობს. - https://www.ipn.ge : 04/09/13 http://babajana.org/index.php?newsid=22757
2. ფრანგიშვილი ა. ქუთათელაძე რ. ბარათაშვილი ე. აბრალავა ა. გრიგალაშვილი ლ. და სხვ. გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები (საერთაშორისო კონფერენციის პროგრამა). - თბ.: 2019.
3. ბარათაშვილი ე. თაკალანძე ლ. მენეჯმენტის საფუძვლები. - თბ.: 2016.
4. პაიჭაძე ნ. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. - თბ.: 2019.
5. ამსტრონგი მ. ადამიანური რესურსების მართვა, მეშვიდე გამოცემა (თარგმანი ინგლისურიდან). - თბ.: 2007.

რეზიუმე

ჯანდაცვის ობიექტებზე დაგეგმვის მეთოდების სრულყოფისათვის

რევაზ ლორთქიფანიძე

„მთავარი ექიმის“ ე.წ. ყოფილი საბჭოთა ინსტიტუტის მენტალური და ორგანიზაციული რეფორმირების პროცესში, მენეჯმენტის ეფექტიანი მექანიზმების სწრაფი ამოქმედების ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობას დაგეგმვის მეთოდების სრულყოფილი გააზრება-პრაქტიკული რეალიზება წარმოადგენს.

რეალური დაგეგმვის რაციონალური მეთოდების ჩვენეული პრიორიტეტები, ვფიქრობთ, მიზანშეწონილია, შემდეგი თანმიმდევრობით წარმოჩინდეს:

1) პროგნოზულ-გრაფიკული ექსტრაპოლირება;
2) მეცნიერულად დასაბუთებული ნორმატივებისა და ნორმების მომზადება;
3) მატერიალური ბალანსების შედგენა;
4) სტრატეგიული განვითარების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება;
5) კომპლექსური გეგმების მიზნობრივი პროგრამებით შევსება და კორექტირება.

საკვანძო სიტყვები: სტრატეგიული დაგეგმვა. დაგეგმვის მეთოდები. გლობალური ეფექტიანობა. კომპლექსური სტრატეგიები.

Summary

For Planning Methods Improving on Healthcare Objects

Revaz Lordkipanidze

In the process of mental and organizational reform of the so-called a former Soviet institute of the "chief physician", one of the key prerequisites for the effective implementation of effective management mechanisms is a deep understanding with practical implementation of planning methods.

The priorities of rational methods of real planning, in our opinion, are relevant in the following order:

1) forecast-graphic extrapolation;
2) preparation of scientifically based standards and norms;
3) drawing up material balances;
4) a feasibility study of strategic development;
5) addition and adjustment of integrated plans by targeted programs.

Key words: Strategic planning and management. Planning methods. Global effectiveness. Complex strategies.

Резюме

Для улучшения методов планирования на объектах здравоохранения

Реваз Лордкипанидзе

В процессе ментальной и организационной реформы т.н. бывшего советского института "главного врача", одним из ключевых предварительных условий эффективного внедрения эффективных механизмов управления, является глубокое понимание-практическая реализация методов планирования.

Приоритеты рациональных методов реального планирования, на наш взгляд, уместны в следующем порядке:

1) прогнозно-графическая экстраполяция;
2) подготовка научно обоснованных нормативов и норм;
3) составление материальных балансов;
4) технико-экономическое обоснование стратегического развития;
5) дополнение и корректировка комплексных планов целевыми программами.

Ключевые слова: Стратегическое планирование и управление. Методы планирования. Глобальная эффективность. Комплексные стратегии.

სამუშაო ძალა და შრომის ბაზრის რეგულირება

ლომსაძე-კუჭავა მ., აკადემიური დოქტორი, პროფესორი,
წერეთელი თ., აკად. დოქტორი, ასოც. პროფესორი,
გიორგაძე ხ., აკადემიური დოქტორი, უფ. მასწ.

საქართველო, თბილისი, სპი

შესავალი

შრომის ბაზარი საბაზრო ეკონომიკის ერთერთი ყველაზე რთული ელემენტია. აქ შრომის ფასისა და მისი ფუნქციონირების განსაზღვრისას არა მარტო ერთმანეთშია გადახლართული მომუშავისა და დამქირავებლის ინტერესები, არამედ მასში ნათლადაა გამოხატული საზოგადოებაში მიმდინარე ყველა სოციალურ-ეკონომიური მოვლენა. სამუშაო ძალაზე მოთხოვნა და შესაბამისად უმუშევრობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ფუნქციონირებს ეკონომიური ციკლი.



ნახ 1

შრომის ბაზრის მთავარი შემადგენელი ნაწილებია:

- ერთობლივი მიწოდება, რომელიც მოიცავს ეკონომიურად აქტიური მოსახლეობის მთელ სამუშაო ძალას;
- ერთობლივი მოთხოვნა, რომელშიც იგულისხმება დაქირავებულ სამუშაო ძალაზე ეკონომიკის მთლიანი მოთხოვნა.

ძირითადი ნაწილი

საშუალო პროფესიული განათლების სისტემის განვითარება, კვალიფიციური მუშახელის მომზადება ეკონომიკის მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს. თუ საგანმანათლებლო სისტემა ეკონომიკასთან შეუსაბამობაშია, მაშინ შრომის ბაზარზე გვეყოლება გარკვეული სპეციალობების მქონე ნამეტი უმუშევარი, ხოლო რაღაც

პროფესიებზე კი გვექნება დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა. მაგალითად, საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შედეგად მთელი რიგი პროფესიების მქონე ადამიანები შესაბამისი სპეციალობით ვერ საქმდებიან, ეკონომიკაში მიმდინარე კრიზისული პროცესების გამო მრეწველობის დარგების უმეტესობა გაჩერდა, შესაბამისი სპეციალობების დაუფლების მსურველთა რაოდენობაც შემცირდა თუმცა, ეს პროცესი ინერციულობისა და უმართაობის გამო დროში გაიწელა, რის გამოც დიდი ხნის განმავლობაში არასაჭირო სპეციალისტების მომზადება გრძელდებოდა, ანუ პოტენციური უმუშევრები მზადდებოდა.

სახელმწიფო, ასევე, უნდა ხელს უწყობდეს პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის ჩამოყალიბებას, რაც, ასევე, დასაქმების პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია.

შრომის ბაზრის მარეგულირებელ ინფრასტრუქტურაში შედის:

1) შრომის ბირჟები;

2) კვალიფიკაციის ამაღლების და პროფესიული გადამზადების ცენტრები;

3) პროფესიული სასწავლებლები;

4) დროებით უმუშევართა აღრიცხვისა და დასაქმების ხელშემწყობი ორგანიზაციები (სააგენტოები).

როგორ იმართება შრომის ბაზარი? როგორც სასაქონლო ბაზრის შემთხვევაში აქაც შრომის ფასსა და სამუშაო ძალის მოთხოვნა-მიწოდების კანონი მოქმედებს (ნახ. 2).



ნახ. 2

როგორც ნახაზიდან ჩანს, რაც უფრო დიდია საშუალო ხელფასი, მით მეტი მოთხოვნა ჩნდება საწარმოო ძალებზე. ვინაიდან დამქირავებელი ცდილობს რაც შეიძლება დაბალი საფასური გადაუხადოს შრომაში დაქირავებულს, ხოლო სამუშაოს მაძიებელი კი პირიქით, ცდილობს თავისი შრომა უფრო ძვირად შეაფასოს, ამიტომ თუ სამუშაო ძალის რაოდენობა მცირეა (მიწოდება მცირეა N_{min}) მოთხოვნის კანონი

დამქირავებელს აიძულებს მეტი ხელფასი - $\mathbf{W}_{max}$ გადაუხადოს მუშას (მოსამსახურეს). ხოლო თუ სამუშაო ძალის რაოდენობა დიდია (მიწოდება დიდია $N>N_{max}$) მოთხოვნის კანონი დაქირავებულს აიძულებს მცირე $\mathbf{W}_{min}$ ხელფასს დასჯერდეს.

ამ ორი უკიდურესი სიტუაციიდან ორივე მხარე (დამქირავებელი და დაქირავებული) ურთიერთ საწინააღმდეგო მიმართულებისკენ მიისწრაფ-ვის: დამქირავებელი ცდილობს $\mathbf{W}_{max}$-დან $\mathbf{W}_{min}$-სკენ დასწიოს ხელფასი, ხოლო დაქირავებული კი პირიქით $\mathbf{W}_{min}$-დან $\mathbf{W}_{max}$-სკენ. გაეზარდოს ხელფასი. ამ პროცესს არეგულირებს მოთხოვნა-მიწოდება და მყარდება წონასწორობა ($\mathbf{W}_{ო}$, $\mathbf{N}_{ო}$).

შრომის ბაზრის მდგომარეობა პირდაპირ დამოკიდებულებაშია ქვეყნის ეკონომიურ და სოციალურ მდომარეობასთან:



ნახ. 3

თუ ქვეყანაში ეკონომიური კრიზისია, ანუ არასათანადო ბიზნეს გარემოს გამო დაბალია ეკონომიური აქტივობა (მწარმოებელ-მიმწოდებლები არ ფუნქციონირებენ), არ არის მოთხოვნა საწარმოო ძალაზე, შესაბამისად დაუსაქმებელია მოსახლეობა და მაშასადამე, იგი არა მსყიდველუნარიანია, რაც საბოლოო ჯამში საქონელზე მოთხოვნის შემცირებას იწვევს, ეს კი ბუმერანგივით მწარმოებლებს უბრუნდებათ. იქმნება ჩაკეტილი წრე, რომელიც მხოლოდ გარე ჩარევით (სამთავრობო ანტიკრიზისული ღონისძიებები, საერთაშორისო ფინანსური დახმარებები) ირღვევა.

თუ პირიქით ქვეყანაში ეკონომიური აღმავლობაა, ანუ მწარმოებელთა საქმიანი აქტივობისთვის კარგი გარემოა (გადასახადები დაბალია!), პოლიტიკური სიტუაცია სტაბილურია, დემოკრატიზაციის დონე მაღალია, სასამართლო სისტემა დამოუკიდებელი და სამართლიანია), მაშინ იზრდება საწარმოო ძალებზე მოთხოვნა (დასაქმება და ხელფასი), უმჯობესდება მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა, იზრდება საქონელზე მოთხოვნა და შესაბამისად მწარმოებელთა საქმიანი აქტივობის სტიმული. ამ ციკლის ზედა ზღვარს (მაქსიმალურ წარმოებას და შესაბამისად დასაქმებას) გადასახადები ფარგლავენ. ამის ნათელი მაგალითია ე.წ. ოფშორული ზონები (იქ გადასახადები თითქმის არ არის).

დასკვნა

მიმდინარე ბაზრის (შრომის ბაზარი ვიწრო გაგებით) ძირითადი ფუნქციაა უზრუნველყოს სამუშაო ძალის განაწილება ეკონომიკის დარგებსა და წარმოების სფეროებს შორის, მოცემულ მომენტში დაუსაქმებელი მოსახლეობის დასაქმება.

მიმდინარე ბაზარზე სამუშაო ძალის მიწოდება სამი ნაწილისგან შედგება:

1) დაუსაქმებელი პირები, რომლებიც ეძებენ სამუშაოს;

2) პირები, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ სამუშაოს შეცვლა;

3) პირები, რომელთაც სურთ იმუშაონ ძირითად სამუშაოსგან თავისუფალ დროს ან სწავლასთან ერთად.

მიმდინარე ბაზარზე სამუშაო ძალაზე მოთხოვნა გამოიხატება ვაკანტური სამუშაო ადგილების მომუშავეებით შევსების მოთხოვნილებით.

შრომის მიმდინარე ბაზარი არის მრავალ სექტორული, რომელიც შედგება ორი ურთიერთ დაკავშირებული ნაწილისაგან (ღია და ფარული შრომის ბაზრები), რომლების ერთმანეთისგან განსხვავდებიან სამუშაო ძალის რეზერვების აკუმულაციის საშუალებებითა და ფორმებით, წარმოებაზე, დასაქმებასა და მათ მონაწილეებზე ზეგავლენის ხასიათით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. ლომსაძე-კუჭავა, ხ. გიორგაძე. „ეკონომიკა და მარკეტინგი“, სტუ. თბილისი, 2016 წ.

2. Tom Copeland, Tim Koller and Jack Murrin. Valuation: Measuring and Managing the Value of Companies, Third Edition. John Wiley & Sons © 2013, 490 pages.

3. Чернов В.Б. Оценка финансовой реализуемости и коммерческой эффективности комплексного инвестиционного проекта //Экономика и математические методы//. 2015, Т.41, Вып.2, С.29-37.

რეზიუმე

სამუშაო ძალა და შრომის ბაზრის რეგულირება

მაია ლომსაძე-კუჭავა, თამარ წერეთელი, ხათუნა გიორგაძე

ნაშრომში განხილულია შრომის ბაზრის სტრუქტურა, შრომის ბაზარი – როგორც საბაზრო ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი, დამქირავებელთა და დასაქირავებელი სამუშაო ძალის ინტერესების შემათანხმებელი მექანიზმია. ავტორები აღნიშნავენ, რომ იგი უზრუნველყოფს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებას სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მიწოდების კანონის მოქმედების საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: საბაზრო ეკონომიკა, შრომის ბაზარი, სამუშაო ძალა ,ღია და ფარული შრომის ბაზრები, დამქირავებელი.

Summary

Labor Force and Labor Market Regulation

Maia Lomsadze-Kuchava, Tamar Tsereteli, acad. Doctor, Khatuna Giorgadze

The paper discusses the structure of the labor market. The labor market, as an integral part of a market economy, is a coordinating mechanism for the interests of employers and workers. The authors note that it ensures the functioning of a market economy based on the law of the supply and demand of labor.

Key words: market economy, labor market, labor force, open and hidden labor markets, employer, hired. Key words: market economy, labor market, labor market, labor force, open and hidden labor market, employer, hired.

Резюме

Рабочая сила и регулирование рынка труда

Майя Ломсадзе-Кучава, Тамара Церетели, Хатуна Гиоргадзе

В работе рассматривается структура рынка труда. Рынок труда, как составная часть рыночной экономики, является согласующим механизмом интересов работодателей и работников. Авторы отмечают, что оно обеспечивает функционирование рыночной экономики на основе закона спроса и предложения рабочей силы.

Ключевые слова: рыночная экономика, рынок труда, рабочая сила, открытые и скрытые рынки труда, работодатель, наемный.

Social responsibility of an athlete

Vasil Bakashvili – Doctor of pedagogical Sciences, associate Professor
Tbilisi, Georgia, Georgian State teaching university of physical education and sports

Introduction: Modern sport performs numerous functions, becomes multifunctional and multidimensional. It has to solve a wide range of tasks: strengthening the health of the population, the removal of youth from the harmful influence of the street the satisfaction of maturing needs, economic situation, protection of the honor of the variety of social functions formed the following areas: mass sport, sports of great achievements (Olympic sports, big sports): professional (commercial) sports.

Main text: Everyone who connects his life with sports solves individual problems within the framework of the opportunities, that a particular sport contains. For example mass sport gives a person the opportunity, regardless of age, to maintain health, it is interesting to use free time. At the same time when engaging in mass sport it is necessary to remember about social responsibility combine educational, labor and sports activities. This is especially true for teenage athletes/ It is necessary to find the best option for combining school and sports training. Coaches need to think not only about fitness but also worry about educating athletes in social responsibility in their future lives. The famous athlete is formed not only by the process (study, reading, literature, visiting museums and performances). The help of parents is a necessary condition in the formation of personality. On the athlete who has reached great professional heights, the social responsibility falls, mainly on the participants of the national team. Victory at the national (championship, Europe, the world and the Olympic games bring the athlete deserved fame, recognition, greatness. He becomes a “hero” and idol of youth worship).The life of an athlete becomes a model of the social responsibility of the athlete. It should be remembered that if he takes doping, advertises low-quality goods, smokes cigarettes, takes alcohol, drugs, this is “replicates” deviation (deviation). Teenagers tend to blindly copy the actions and life experiences of their idols. Therefore, in children’s and adolescent sport often has the same social properties as a big sport. The second side of responsibility of the athlete is related to the mutual resistance which is due to personal and public interests in the field of sports, the athlete is always faced with a dilemma: somehow not to lose sight of commercial starts and at the same time to keep fit to participate in the national team. Some athletes because of the benefits refuse to participate in the Olympic games (Yevgeny Kafelnikov from the Olympic games in Atlanta). Personal interests of an athlete do not always coincide with the interests of the club. The transition from one club to another, the transition to a foreign club requires the athlete's social responsibility for the choice to make. On the one hand, the athlete is “in dept” to the sports club, with which he was held as an athlete of extra class on the other hand – a foreign club opens up the opportunities for the athlete in his future career.

Conclusion: Social responsibility in sport should be formed not only through educational processes but also be regulated by legal documents (including the law on the sport). For example, it is mandatory, at the legal level, to provide appropriate material to the members of the national team. Athletes who bring glory to the sport of their country should be guaranteed higher education, health insurance, pension, etc. The creation of appropriate social guarantees for athletes raises the possibility of increasing the social responsibility of the athlete to society.

References:

1. Allan Kennet, 2006. Contemporary Social and Sociological Theory: Visualizing Social Worlds. Thousand Oaks, CA: Pine Forge Press.
2. 2001, " Sport, Nation and Identity " In press Heinemann and Manfred Schubert Handbook of sport sociology Schorondorf Hofmann.
3. Visitei N. Sociology of sport: course of lectures – Kiev: Olympic literature 2005
4. Lubisheva L. Development of the value potential of physical culture and sports at the turn of the XXI century. Olympic movement and social processes Krasnodar 1996
5. Rodichenko V. Olympic movement of the eve of the third thousandth anniversary: Krasnodar 1996
6. Saraf M. Sport and culture of the XX century (Formation and development tends) Theory and practice of physical culture 1997 N 7
7. Stoliarov V. Sport and modern cultural theory and practice of physical culture 1997 N7

Summary

Social responsibility of an athlete

Vasil Bakashvili

Modern sport is one of the significant social phenomena in society, performs numerous social functions and can encourage people to make very important decisions. If athletes have social responsibility to society then the society is obliged to create appropriate social guarantees for the athlete and thereby future increase their social responsibility to society.

Key words: sports field, sports functions, sports for children and adults, social responsibility, guarantees for athletes.

რეზიუმე

სპორტსმენის სოციალური პასუხისმგებლობა
ვასილ ბაკაშვილი

თანამედროვე სპორტი ერთ – ერთი მნიშვნელოვანი სოციალური ფენომენია საზოგადოებაში, ის ასრულებს უამრავ სოციალურ ფუნქციას და შეუძლია ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება. თუ სპორტსმენებს აქვთ საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობა, მაშინ საზოგადოებაც ვალდებულია სპორტსმენისთვის შექმნას შესაბამისი სოციალური გარანტიები და ამით, მომავალში გაზარდოს მათი სოციალური პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე.

საკვანძო სიტყვები: სპორტი სფერო, სპორტის ფუნქციები, ბავშვთა და მოზარდთა სპორტი, სოციალური პასუხისმგებლობა, გარანტიები სპორტსმენებისათვის.

Резюме

Социальная ответственность спортсмена
Василь Бакашвили

Современный спорт является одним из значительных социальных явлений в обществею Он выполняет множество социальных функций и может принимать очень важные решения. Если спортсмены несут социальную ответственность перед обществом, то общество обязано создать соответствующие социальные гарантии для спортсмена и тем самым в будущем повысить свою социальную ответственность перед обществом.

Ключевые слова: спортивная площадка, спортивные функции, спорт для детей и взрослых, социальная ответственность, гарантии для спортсменов.

სწავლა-განათლება საქართველოში 1918-1921 წლებში

პ. ჩიქოვანი, პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი, საქართველო, შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი

შესავალი

სტატიაში წარმოდგენილია რამდენიმე ისტორიულ წყაროზე დაყრდნობით, 1918-1921 წლების საქართველოში არსებული საგანმანათლებლო სისტემის ზოგადი მიმოხილვა .

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ რუსეთის სახელმწიფოს განაპირა რეგიონებში კიდევ უფრო გაფართოვდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა. გაცილებით აქტუალური გახდა ეროვნული თვითგამორკვევის პრობლემა, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი იყო მშობლიური ენისა და კულტურისათვის არსებობა-განვითარების ნორმალური პირობების შექმნა.

ძირითადი ტექსტი

თბილისში მოწვეულ იქნა ქართველი ხალხის ეროვნული ყრილობა, რომელმაც აირჩია ეროვნული საბჭო. 1917 წლის 20 ნოემბერს ეროვნულმა ყრილობამ განიხილა სკოლების გაეროვნულების საკითხი, შექმნა სკოლებისა და უნივერსიტეტის სექცია, რომლის ხელმძღვანელად აირჩია ივანე ჯავახიშვილი. ამ სექციას უნდა შეემუშავებინა და ეროვნული საბჭოსთვის განსახილველ-დასამტკიცებლად გადაეცა არსებული სკოლების გაქართულებისა და ეროვნული უნივერსიტეტის შექმნის პროექტი.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღესვე შეიქმნა სახალხო განათლების სამინისტრო, რომელშიც შეიყვანეს ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები - გიორგი ლასხიშვილი, კიტა აბაშიძე, ვუკოლ ბერიძე, ალექსანდრე მდივანი, მაქსიმე ბერძენიშვილი, სერგი დანელია და სხვა. სამინისტრომ გააგრძელა უკვე დაწყებული საქმე და პრაქტიკულად განახორციელა სწავლა-განათლების სისტემის რეორგანიზაცია ეროვნული და მეცნიერული პრინციპების საფუძელზე.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის პარლამენტი და მთავრობა (რომელშიც უმრავლესობა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნოდა) ყოველთვის როდი უწყობდა ფეხს დროის მოთხოვნილებას, რამდენადმე ჩამორჩებოდა მოვლენების განვითარებას. არც თუ იშვიათად იგი ფართო საზოგადოების ზეწოლით მოქმედებდა. 1918 წლის 1 ივნისს ჩატარდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებების მოსამსახურეთა კავშირის კრება, რომელმაც მთავრობას მოსთხოვა ყველა დაწესებულებათა გაეროვნება 1918 წლის პირველ აგვისტომდე დაემთავრებია და ქართული ენის არმცოდნე მოხელეები თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა.

დაწესებულებათა გაეროვნების საქმეში განსაკუთრებით აქტიურობდა იუსტიციის სამინისტრო (მინისტრი შალვა ალექსი-მესხიშვილი). ამ უწყებაში რუსულ ენაზე დაწერილ განცახდებებს აღარ იღბდნენ. სამინისტრომ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც მოსამართლეებად ქართული ენის მცოდნენი უნდა აერჩიათ, ხოლო მართლმსაჯულება ქართულ ენაზე ეწარმოებინათ. ამავე გზით წავიდა სამხედრო

სამინისტრო და სახელმწიფოს სხვა უწყებები. რკინიგზის ქსელში საქმის წარმოება ქართულ ენაზე გადავიდა 1919 წლის დამდეგს.

1918 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი სახელმწიფო ენის შესახებ და ეს ფუნქცია ქართულ ენას მიენიჭა. შეიქმნა საკანონმდებლო ბაზა პოლიტიკურ, სამეურნეო და საწავლო-კულტურულ სფეროში ქართული ენის დამკვიდრებისათვის. გაეროვნების პოლიტიკამ სხვა ეროვნებათა უკმაყოფილება გამოიწვია. ამიტომ მთავრობამ დაადგინა სამინისტროებსა და უწყებებში შექმნილიყო ქართული ენის შემსწავლელი უფასო კურსები, სხვა ეროვნების მოხელეთათვის საშუალება მიეცათ სახელმწიფო ენის შესწავლით დაეღწიათ თავი სამსახურის დაკარგვის საშიშროებისათვის.

მართვა-გამგეობის სისტემის ნაციონალიზაციის, გაქართულების წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებით აქტიურობდნენ საქართველოშ მცხოვრები რუსები და სომხები. ბევრ დაწესებულებაში ისინი კარგახანს ახერხებდნენ თავისი პოზიციების დაცვა-შენარჩუნებას. იყო შემთხვევები, როცა ამ ეროვნებათა წარმომადგენლები ახლად შექმნილ დაწესებულებებშიც კი იკავებდნენ თანამდებობებს, რასაც გაზეთ ,,საქართველო''-ს პუბლიცისტები პროტესტით ხვდებოდნენ. მთავრობის მისამართით აცხადებდნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მტრების სახელმწიფო აპარატში დატოვება სამშობლოს ღალატის ტოლფასიაო.

მთავრობამ ეროვნული დემოკრატები ნაციონალიზმში დაადანაშაულა, ხოლო სხვაეროვნებათა მიმართ გარკვეულ დათმობაზე წავიდა; კორექტივი შეიტანა სახელმწიფო ენის კანონში, მის დამატებაში ჩაიწერა, რომ არაქართველ დეპუტატებს უფლება ჰქონდათ პარლამენტის სხდომებზე რუსულად წარმოეთქვათ სიტყვა.

რუსულ-სომხური პრესის ანტიქართულ განწყობილებაში დისონანსი შეიტანა რუსულმა გაზეთმა (,,დონსკაია ვესტ''-ის 1919 წ. 30 სექტემბრის ნომერი), რომლის თანამშრომელი პ. აგაევი საქართველოში მიმდინარე ,,ნაციონალიზაციის პროცესს'', დაწესებულებათა გაქართულებას, ნორმალურ მოვლენად აცხადებდა და რუსების მიერ სამსახურის დაკარგვაში საქართველოს მთავრობას არ ადანაშაულებდა. მას მიაჩნდა, რომ ქართული ენის არ მცოდნე მოხელეები ვერ იმუშავედნენ რუსული ენის არმცოდნე ხალხთან.

სახალხო განათლების სამინისტრომ საქმიანობა თვითორგანიზაციით დაიწყო: გამარტივდა და შეიკვეცა ძველი აპარატი, გაუქმდა კავკასიის სასწავლო კომისარიატი, გუბერნიებში არსებული სახალხო სკოლების დირექტორთა თანამდებობები, შემცირდა შტატები, გათავისუფლდა 80-მდე თანამშრომელი, სამინისტროში შეიქმნა სამი განყოფილება. მთავარი გამგეები ჩაუყენეს სათავეში უმაღლეს და საშუალო სკოლებს, სახალხო სკოლებსა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებებს. სამინისტროსთან შეიქმნა სათათბირო ორგანო-საბჭო, რომელიც სისტემატურად მართავდა სხდომებსა და ღებულებდა მნიშვნელოვან დადგენილებებს.

განათლების მინისტრმა გიორგი ლასხიშვილმა 1918 წლის 2 აგვისტოს მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ძველი სკოლის ძირითადი მანკი იყო რუსული ენის მონოპოლია, ახლა კი აღმოსაფხვრელია რუსიფიკაციის შედეგები და გადასაწყვეტია ორი საკითხი:

1. ქართველ მოქალაქეთა შვილებისათვის სწავლების ენად დამკვიდრდეს ქართული ენა;
2. ეროვნულ უმცირესობათა მოქალაქეებსაც უნდა მიეცეთ საშუალება განათლება მიიღონ საკუთარ ენაზე.

მინისტრსა და მის თანამშრომლებს რუსეთის იმპერიის სწავლა-განათლების სისტემის დიდ ნაკლად მიაჩნდათ, მისი წოდებრივი ხასიათი; დაწყებითი სკოლები იქნებოდა მოსახლეობის ქვედა ფენებისათვის, ხოლო საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები მაღალი ფენებისათვის. საშუალო სკოლების დირექტორთათვის დაგზავნილ ერთ-ერთ ცირკულარში ნათქვამი იყო: ,,უთანასწორობაზე დამყარებულ წესწყობილებასთან ერთად ჩვენი სწავლა-განათლების სისტემაც ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს. ყოველგვარი დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის დაწყებითი სკოლის მოწაფეებს განაგრძონ სწავლა საშუალო სკოლის უმაღლეს კლასებში, უნდა მოისპოს, რათა სკოლა გაერთიანდეს სოციალურად“. შედგენილი გეგმის თანახმად ისპობოდა წოდებრივი გრადაცია სხვადასხვა ტიპის სკოლებს შორის; ყალიბდებოდა დაწყებითი და საშუალო განათლების მჭიდროდ შეკრული სისტემა, რომლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო ახალი თაობის მომზადება უმაღლესი სასწავლებლისათვის.

ძველი სისტემის ნაშთი იყო ის, რომ 1917-1918 სასწავლო წელს ყველა ეროვნების ბავშვები ერთად სწავლობდნენ. მაგალითად, თბილისის ვაჟთა გიმნაზიაში სწავლობდა 1736 ქართველი, 1624 რუსი და 1477 სომეხი მოსწავლე. სხვა ეროვნებათა რიცხვი მცირე იყო. განათლების მინისტრმა მთავრობისაგან მოითხოვა დაეკანონებინა ქართული, რუსული და სომხური გიმნაზიების ცალ-ცალკე არსებობა. მომდევნო სასწავლო წლისათვის თბილისში უნდა შემქნილიყო სამი ქართული, ერთი სომხური, ერთი რუსული და ერთიც შერეული რუსულ-სომხური გიმნაზია. ასევე, რეორგანიზაცია ხდებოდა ქალთა გიმნაზიებშიც,

1918 წლის სექტემბრისათვის მთელ საქართველოში არსებობდა ვაჟთა 24 და ქალთა 21 გიმნაზია, ერთი სამასწავლებლო ინსტიტუტი, 4 საოსტატო სემინარია, სამი რეალური და სამი კომერციული სასწავლებელი. საქართველოს ხელისუფლებას და კერძოდ, განათლების სამინისტროს თავის მოვალეობად მიაჩნდა ამ სკოლების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება. მაგრამ ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის გამო ამას მხოლოდ ნაწილობრივ ახერხებდა. ამიტომ საშუალო სკოლებში დაწესდა სწავლის გადასახადი 500 მანეთი წლიურად, რომლის ჯამი ფარავდა გიმნაზიების, რეალური და კომერციული სასწავლებელთა ხარჯის ნახევარზე ოდნავ მეტს. 1918 წელს ბიუჯეტიდან დაფინანსებამ შეადგინა 9,1 მლნ მანეთი. პედაგოგიური სასწავლებლებისა და დაწყებითი სკოლების ხარჯები 3,3 მლნ მანეთი მთლიანად სახელმწიფომ გაიღო.

ზემოთ დასახელებულ, სახალხო განათლების უწყებაში არსებულ საშუალო სკოლების გვერდით საქართველოში საკმაოდ ბევრი იყო კერძო გიმნაზიები, რეალური და კომერციული სასწავლებლები. 1919 წელს დაფიქსირებული სტატისტიკური ცნობის მიხედვით საქართველოში მოქმედებდა ვაჟთა და ქალთა კერძო გიმნაზიები - 26, რეალური სასწავლებელი - 3, საკომერციო სასწავლებელი - 2, საბუღალტრო კურსები - 6 და სავაჭრო სკოლა - 8.

1919 წელს დასავლეთ საქაღრთველოში ერთი სკოლა მოდიოდა დაახლოებით 1000 მცხოვრებზე, აღმოსავლეთ საქართველოში კი 2500 მცხოვრებზე. ამ დისპროპორციის აღმოფხვრის მიზნით მთავრობამ შეადგინა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ახალი სკოლების გახსნას 37 სოფელში.

საშუალო სკოლებში მოღვაწეობდნენ ისეთი ნიჭიერი ორგანიზატორები და პედაგოგები, როგორებიც იყვნენ: კიტა აბაშიძე, ვუკოლ ბერიძე, ალექსანდრე მიქაბერიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, ვასილ ბარნოვი, სილოვან ხუნდაძე, ილია ფერაძე, იაკობ ცინცაძე, თედო სახოკია, მიხეილ ზაალიშვილი, ალექსანდრე გარსევანიშვილი, პეტრა ჭარაია, იოსებ ოცხელი, გრიგოლ ნათაძე, ალექსანდრე გერსამია, ნიკოლოზ შარაბიძე, ალექსანდრე ჯანელიძე, ბესარიონ ნიჟარაძე, აკ. შანიძე, მალაქია ჯაფარიძე, ივანე მესხი, გიორგი ბახტაძე, ანა ცაგარეიშვილი და სხვები.

საერთოდ, სწავლა განათლების სისტემა საქართველოს პირველი რესპუბლიკის არსებობის წლებში საგრძნობლად გაფართოვდა. თუ 1914 წელს საქართველოში არსებობდა ყველა ტიპის 864 სკოლა 80 ათასი მოსწავლით, 1920 წლისათვის სკოლების რიცხვი 1924-მდე, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობა 162 ათასამდე გაიზარდა.

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ გაფართოვდა ქართველი ინტელიგენციის მოძრაობა უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისათვის: შეიქმნა ქართული უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოება, ქართულ პრესაში გაძლიერდა სათანადო აგიტაცია-პროპაგანდა. 1917 წლის 11 მაისს გაზეთში ,,სახალხო ფურცელი'' კ. გამსახურდია წერდა, რომ ,,არასაკმარისია ქვეყნის უნივერსიტეტებში ქართველოლოგიური კათედრების შექმნა. საჭიროა ეროვნული უმაღლესი სასწავლებელი. დადგა დრო რუსეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებში გაბნეულმა ქართველმა პროფესორებმა ეხლავე იზრუნონ ამაზე''.

სათანადო საქმიანობა უკვე დაწყებული იყო ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი გეგმის თანახმად გაიშალა უნივერსიტეტის შექმნის იდეის პროპაგანდა და გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯებიც. ჩამოყალიბდა ეროვნული უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოება, რომელშიც თანდათან მზარდი რაოდენობით გაერთიანდნენ ინტელიგენციის წარმომადგენლები. 1917 წლის 3 ოქტომბერს გამართულ საუნივერსიტეტო საზოგადოების კრებაში მონაწილეობდნენ: ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, გ. ყაზბეგი, კ. კეკელიძე, გ. მაღალაშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, მ. ქურდიანი, პ. მელიქიშვილი, ლ. ბოცვაძე, კ. მაყაშვილი, ი. იმედაშვილი, ა. შანიძე, გრ. ვეშაპიძე და სხვები. ივ. ჯავახიშვილმა წაიკითხა ვრცელი მოხსენება ეროვნული უნივერსიტეტის მნიშვნელობაზე და საზოგადოებას მოუწოდა აქტიური მხარდაჭერა გაეწიათ ამ საშვილიშვილო იდეის რეალიზაციისათვის.

უნივერსიტეტის ძირითადი დებულება 1917 წლის 2 დეკემბერს დაამტკიცა რუსეთისაგან ფაქტიურად გამოყოფილმა ამიერკავკასიის კომისარიატმა. ძალიან გააქტიურდა საზოგადოებაც. კერძოდ, საუნივერსიტეტო ფონდში ჩარიცხულმა კერძო შემოწირულებათა თანხამ 100 ათას მანეთს გადააჭარბა. უნივერსიტეტის გახსნის დღედ დაინიშნა 1918 წლის 26 იანვარი. უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოებამ რუსეთიდან პროფესორებისა და სხვა სწავლულთა გამოწვევა დაავალა ივ. ჯავახიშვილის, პ. მელიქიშვილს და ა. რაზმაძეს.

1918 წლის 26 იანვარს, დილით კათოლიკოს პატრიარქმა კირიონმა 13 საათსა და 20 წუთზე უნივერსიტეტი აკურთხა ქართული გიმნაზიის შენობაში (რომელიც ცოტა მოგვიანებით ქართულ უნივერსიტეტს გადაეცა). გაიმართა უნივერსიტეტის გახსნისადმი მიძღვნილი ზეიმი. სიტყვით გამოვიდა პირველი რექტორი პ. მელიქიშვილი. უნივერსიტეტის გახსნის ისტორიაზე საზოგადოებას ესაუბრა ი. ყიფშიძე, რომელიც თავის გამოსვლა დაამთავრა უნივერსიტეტის ფაქტიური ფუძემდებლის ივ. ჯავახიშვილისადმი მადლობის გადახდით. 30 იანვარს უნივერსიტეტის აუდიტორიაში, რომელიც სტუდენტებითა და დამსწრე საზოგადოებით პირთამდე იყო სავსე, პირველი ლექცია წაიკითხა ივანე ჯავახიშვილმა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ დაისვა ეროვნული უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოცხადების საკითხი. განათლების მინისტრმა გ. ლასხიშვილმა თავის მოხსენებაში აღნიშნა: ,,ქართულ უნივერსიტეტს იგივე სამეცნიერო მიზანი აქვს დასახული, როგორც საზოგადოდ ყველა ხალხისა და ქვეყნის უმაღლეს სკოლას. მაგრამ, ამასთანავე, იგი თავის განსაკუთრებულ, უპირატეს ყურადღებას საქართველოს, კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთის წარსულსა და აწმყოს, ადამიანისა და ბუნების ყოველმხრივ შესწავლას აპყრობს. ჩვენ უნივერსიტეტს, საქართველოს ობიექტური პირობებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული როლი მიეკუთვნება, განსაკუთრებული ღირებულება ექნება''. მომხსენებელმა ისიც თქვა, რომ ქართულ უნივერსიტეტს ავტონომია აქვს, მაგრამ თავისუფალ უნივერსიტეტად ვერ ჩაითვლება, რადგან საკუთარი სახსრებით ვერ იარსებებს, სახელმწიფოსაგან მატერიალური დახმარება უნდა მიიღოს. ამიტომ სამინისტრო მხარს უჭერს პროფესორთა საბჭოს შუამდგომლობას და მთავრობას სთხოვს:

1. ქართულ უნივერსიტეტს მიენიჭოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსი;
2. ყოველწლიურად წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, უნივერსიტეტს გაეწიოს მატერიალური დახმარება;
3. ავტონომიურ უნივერსიტეტზე უზენაესი მეთვლყურეობა განახორციელოს განათლების მინისტრმა;
4. განათლების მინისტრს დაევალოს უახლოეს ხანს მთავრობაში დასამტკიცებლად წარმოადგინოს უნივერსიტეტის წესდება.

1918 წლის 3 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი ,,ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოცხადებისა''. რექტორად დაინიშნა ივ. ჯავახიშვილი. იმავე დღეს დამტკიცდა სახელმწიფო უნივერსიტეტის დროებითი ძირითადი დებულება. მისი ზოგიერთი მუხლი ასეთია:

1. თბილისის უნივერსიტეტი როგორც სამეცნიერო-სასწავლო ისე შინაური მეურნეობის სფეროში ,,სრულებით ავტონომიურია'', ყველა საქმეებს დამოუკიდებლად განაგებს;

2. უნივერსიტეტის მთავარ ორგანოთა მოქმედების საზოგადო მეთვალყურეობა სახალხო განათლების მინისტრის ფუნქციას შეადგენს;

6. თბილისის უნივერსიტეტი სრული უნივერსიტეტია, შეიცავს სიბრძნის მეტყველების, სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო, იურიდიულ და სამკურნალო ფაკულტეტებს;

8. უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობენ პროფესორები და დოცენტები. ასისტენტები და ლაბორანტები ეხმარებიან პროფესორებს, ატარებენ პრაქტიკულ მეცადინეობებს;

9. პროფესორად მეცნიერს ჯერ სათანადო ფაკულტეტის საბჭო ირჩევს, შემდეგ კი ამტკიცებს საუნივერსიტეტო (პროფესორთა) საბჭო;

12. თბილისის უნივერსიტეტს უფლება აქვს მიანიჭოს მოძღვართ-მოძღვრის ანუ დოქტორის სამეცნიერო ხარისხი;

19. ნიჭიერ და სამეცნიერო-კვლევა-ძიების უნარის პატრონ სწავლა დამთავრებულ სტუდენტს სათანადო ფაკულტეტის პროფესორთა საბჭო უნივერსიტეტში სტოვებს სამეცნიერო კვლევა-ძიებაში დასაწინაურებლად, პროფესორობისათვის მოსამზადებლად''

დასკვნა

ქართული ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებით გვირგვინი დაედგა პირველი რესპუბლიკის სწავლა-განათლების სისტემას და იმავდროულად შეიქმნა ქართული მეცნიერების განვითარების მძლავრი კერა. განსაკუთრებით მაღალ საფეხურზე დადგა საქართველოს ისტორია, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული კვლევა, გამრავლდა და გაუმჯობესდა ქართული ენისა და ლიტერატურისადმი მიძღვნილი ნაშრომები, წინ წავიდა იურისპრუდენცია, სოციოლოგია, ფილოსოფია. ქართველებმა მეცნიერებმა დაიწყეს თავისი წვლილის შეტანა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, მათემატიკაში. ამ სამწლეულში უნივერსიტეტთან ერთად მეცნიერების განვითარებაში თავისი წვლილი შეჰქონდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოებას, თბილისის მუზეუმს, დარგობრივ სამეცნიერო საზოგადოებებს, რომელნიც ადრე შეიქმნენ და ამ პერიოდშიც აგრძელებენ საქმიანობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალ. ბენდინიშვილი. „საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ)“, თბილისი, 2001.
2. ვ.სილოგავა, კ.შენგელია. ,,საქართველოს ისტორია“. კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2007.
3. დ. ჭუმბერიძე. „სწავლა განათლება საქართველოში 1918-1921 წლებში“.
4. ს. ჯორბენაძე. ,,ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილის. თბილისი, 1984.

რეზიუმე

სწავლა-განათლება საქართველოში 1918-1921 წლებში

პაატა ჩიქოვანი

სტატიაში განხილულია 1918-1921 წლების საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის პარლამენტისა და მთავრობის საგანმანათლებლო მუშაობა. მნიშვნელოვანია, რომ სკოლებისა და უნივერსიტეტის გაეროვნებულების საკითხის სტატიაში კარგად ჩანს საზოგადოების განწყობა მართვა-გამგეობის ნაციონალიზაციასთან დაკავშირებით. სტატიაში განხილულია ის დიდი შრომა და მიღწევები, რაც მოკლე დროში 1918-1919 წლებში შესრულებული იყო განათლების დარგში.

ქართული ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებით გვირგვინი დაედგა პირველი რესპუბლიკის სწავლა-განათლების სისტემას და იმავდროულად შეიქმნა ქართული მეცნიერების განვითარების მძლავრი კერა. განსაკუთრებით მაღალ საფეხურზე დადგა საქართველოს ისტორია, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული კვლევა, გამრავლდა და გაუმჯობესდა ქართული ენისა და ლიტერატურისადმი მიძღვნილი ნაშრომები, წინ წავიდა იურისპრუდენცია, სოციოლოგია, ფილოსოფია.

სტატია დღესაც აქტუალურია, რამდენადაც საქართველოს მთავრობა ატარებს რეფორმებს განათლების დარგში.

საკვანძო სიტყვები: რეფორმები, ეროვნული და მეცნიერული სწავლა-განათლების გაეროვნულება, რეორგანიზაცია, უნივერსიტეტი, სკოლები, გიმნაზიები.

Summary

Teaching and education in Georgia from 1918-1921

Paata Chikovani

The article discusses the educational work of the Parliament and Government of the 1918-1921 Independent Republic of Georgia. It is important that the article on the issue of school and university nationalism shows the public's attitude towards the nationalization of the board. The article discusses the great efforts and achievements that were made in the field of education in a short period of 1918-1919.

The founding of the Georgian National University was the crown of the First Republic's teaching and learning the system and at the same time a powerful hub for the development of Georgian science. Georgia's history, archeological and ethnographic research has been at a particularly high level, the works dedicated to the Georgian language and literature have multiplied and improved, and jurisprudence, sociology, and philosophy have advanced.

The article is still relevant today as the Georgian government is implementing reforms in the field of education.

Keywords: reforms, nationalization of national and scientific education, reorganization, university, schools, gymnasiums.

Резюме

Преподавание и воспитание в Грузии с 1918-1921 гг.

Паата Чиковани

В статье рассматривается просветительская работа парламента и правительства Независимой Республики Грузия 1918-1921 гг. Важно, что статья о проблеме школьного и университетского национализма показывает отношение общественности к национализации правления. В статье рассматриваются большие усилия и достижения, которые были сделаны в области образования за короткий период 1918-1919 гг.

Основание Грузинского национального Университета является короной в систему преподавания и образования Первой Республики и в тоже время Университет был мощным центром развития Грузинской науки.

История Грузии, археологические и этнографические исследования были на особенно высоком уровне, работы, посвященные грузинскому языку и литературе, умножились и улучшились, а юриспруденция, социология и философия продвинулись вперед.

Статья актуальна и сегодня, так как правительство Грузии проводит реформы в сфере образования.

Ключевые слова: реформы, национальность, национальное и научное образование и воспитание, реорганизация, университет, школы, гимназии.

მართვის თანამედროვე მოდელები

ლომსაძე-კუჭავა მ., აკად. დოქტორი, პროფესორი, გიორგიშვილი ნ., აკად. დოქტორი, ასოც. პროფესორი, გიორგაძე ხ., უფ. მასწავლებელი

საქართველო, თბილისი, სპი

შესავალი

აშშ-ში მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან ქოუჩინგი აღნიშნავს პერსონალზე და განვითარებაზე ორიენტირებული მართვის სტილს, რომლის მეშვეობითაც თანამშრომლები პიროვნულად ვითარდებიან და შრომის უნარს იუმჯობესებენ. აღნიშნული მიმართულება გერმანიაში 80-იანი წლებიდან დამკვიდრდა ტერმინით ხელმძღვანელი, როგორც ქოუჩი.

მოთხოვნა, რომ ხელმძღვანელი საკუთარი თანამშრომლების ქოუჩი იყოს, თავიდან გასაღების სფეროში ჩამოყალიბდა და შემდგომ სხვა სფეროებზეც გავრცელდა. ამის პარალელურად, 80-იანი წლების შუა პერიოდიდან, ქოუჩინგის ცნებამ ხელმძღვანელთა ორგანიზაციის გარეთა კონსულტირების მნიშვნელობა შეიძინა. თავიდან ქოუჩინგი უკავშირდებოდა მხოლოდ უმაღლესი დონის ხელმძღვანელების კონსულტირებას. დღესდღეობით კი ბევრ კომპანიაში ქოუჩინგი პერსონალის განვითარების ღონისძიებების შემადგენელი ორგანული ნაწილია. ბევრ კომპანიაში პრესტიჟულადაც კი არის მიჩნეული პირადი ქოუჩის ყოლა.

ძირითადი ნაწილი

თუ ქოუჩინგი თავიდან ცალკეული ხელმძღვანელების სოციალური კომპეტენციების განვითარებას ეხებოდა, ბოლო ათწლეულში მისი გამოყენების სფერო მნიშვნელოვნად გაფართოვდა სტრუქტურული და სტრატეგიული ცვლილებების ფარგლებში ქოუჩინგი დღეს ბევრ კომპანიაში ჩამოყალიბდა, როგორც საკვანძო პირებისა და ხელმძღვანელთა გუნდის სისტემატური განვითარების გეგმა.

მართვის ბევრი სოლიდური ტექნოლოგია არსებობს, მაგრამ შემოვიფარგლოთ რამდენიმე შემაჯამებელი და განზოგადებული მოსაზრებით, რათა ნათელი გახდეს, თუ როგორ უკავშირდება ერთმანეთს მართვა და ქოუჩინგი.

ხელმძღვანელინ არ აქვს მნიშვნელობა, ეს საწარმოს ეხება, პოლიტიკურ გაერთიანებას, პროექტს თუ მნიშვნელოვან შეხვედრასნ ყოველთვის ორი საქმით არის დაკავებული, მართვით და მენეჯმენტით. ორივე ეს ტერმინი ხელმძღვანელის ორ ძირითად ფუნქციას ასახავს:

• მართვის ფუნქციას, როგორიცაა კომუნიკაცია, მოდერაცია, მხარდაჭერა, გამოწვევა, შთაგონება;

• მენეჯმენტის ფუნქციას, როგორიცაა დაგეგმვა, ორგანიზება, განხორციელება, კონტროლი, შეფასება.

აქედან გამომდინარე, როგორც მართვის ნიჭი, ასევე მენეჯმენტში გაწაფულობა კომპეტენტური ხელმძღვანელობის დედაბოძია.

მართვა აღნიშნავს დინამიკურ პროცესს, რომლის დროსაც მიზნების მისაღწევად მენეჯერი ახერხებს თანამშრომელთა მიმართვას ენერგიის მობილიზაციისაკენ, პოტენციის გამოყენებისაკენ და მიზანსწრაფულობის გამოვლენისკენ. მართვა არის გამოწვევა, რისკი, ამოძრავება, შთაგონება, მხარდაჭერა და ხედვა. ჭეშმარიტი მართვის შედეგია ნდობა, აღიარება და ლოიალურობა.

მენეჯმენტი, ამის საპირისპიროდ, აღნიშნავს სამუშაოს ორგანიზებისა და შესრულების შემოქმედებით პროცესს. მენეჯმენტი მოიცავს დაგეგმვას, ორგანიზებას, განხორციელებას, კომუნიკაციას, კონტროლს და შეფასებას. მენეჯერის პასუხისმგებლობა ეხება ყველაფერს, რაც ხდება. მენეჯერის პროდუქცია შედეგებია.

ხელმძღვანელობის კომპეტენცია ყოველთვის მოიცავს: სოციალურ კომპონენტს (მართვა) და ტექნიკურ კომპონენტს (მენეჯმენტი).

მენეჯმენტი ეხება სამუშაოს, მართვა ეხება ადამიანებს.

მენეჯმენტი საჭიროებს სპეციალურ ტექნიკას და ზემოქმედების მექანიზმებს, ხოლო მართვა ეფუძნება ფსიქოლოგიური, სოციალური და სოციოკულტურული ზემოქმედების მიზეზების ცოდნასა და ფლობას.

შესაბამისად, მართვის კომპეტენცია მენეჯმენტის კომპეტენციისაგან განსხვავებულად ყალიბდება. მენეჯმენტში კომპეტენციის მიღება სწავლითა და კონსულტირებით ხდება, ხოლო მართვაში კომპეტენციისა პროფესიულ კონტექსტში პიროვნების განუწყვეტელი განვითარებით.

სწორედ მართვის კონტექსტში დგება ქოუჩინგის საჭიროება. ხანდახან მართვის კომპეტენცია ბუნებრივ ტალანტს ან ქარიზმას ეფუძნება. თუმცა, უმეტეს შემთხვევებში, ის საკუთარ თავზე დაძაბული მუშაობით მიიღწევა. სწორედ საკუთარ თავზე მუშაობას ეხმარება და მხარს უჭერს ქოუჩინგი.

მართვის კომპეტენცია არ შეიძლება დარიგებით იყოს მიღებული. სწავლება დარიგებასა და ქოუჩინგს შორის არსებითი განსხვავებაა:

- სწავლება მიმართულია შინაარსობრივ დონეზე;
- ქოუჩინგი მიმართულია დამოკიდებულების დონეზე.

უდავოა, რომ არსებობს ორგანიზაციები, სადაც ითმენენ, ან იგნორირებას უკეთებენ ცუდ მართვას. თუმცა, კარგად ფუნქციონირებად და წარმატებულ ორგანიზაციებში, სადაც ადამიანები თავს კარგად გრძნობენ, მართვის ხარისხს უყურადღებოდ არ ტოვებენ. ვინც კარგად ვერ მართავს, თავის პოზიციას დიდხანს ვერ შეინარჩუნებს.

კარგი მართვა რას ნიშნავს?

დამოკიდებულებასა და მართვას შორის მჭიდრო კავშირია. მართვა ყოველთვის განწყობისა და დამოკიდებულების საკითხია. ამ მიმართულებით სამი შეკითხვა შეიძლება დაისვას:

- როგორ მოითხოვს ხელმძღვანელი თავისი თანამშრომლებისგან, რომ მათ მეტი ხალისით მიიღონ მონაწილეობა ცვლილებების პროცესებში, როდესაც თავად მას არანაირი ხალისი არ გააჩნია?
- როგორ მოსთხოვს ხელმძღვანელი თავის თანამშრომლებს, რომ განვითარდნენ, როდესაც თავად არ არის მზად განვითარებისათვის?
- როგორ მოსთხოვს ხელმძღვანელი თანამშრომლებს პასუხისმგებლობის გაღრმავებას, როდესაც თავად არ იძლევა პასუხისმგებლობის მაგალითს?

განვითარების პროცესები აჩვენებს, რომ მენეჯერების მთავარი მახასიათებლები მომავალში ნაკლებად შეეხება სპეციალობის კომპეტენციებსა და ექსპერტულობას, სამაგიეროდ, მეტი კავშირი ექნება ქვემოთ ჩამოთვლილ 5 ფაქტორთან:

- მრავალფეროვნების მიმართ შემწყნარებლობა;
- ეფექტიანი სწავლის ტექნიკის ფლობა;
- ახალი მეთოდების მიმართ ინტერესი;
- ადამიანების მართვა და კომუნიკაციის უნარები;
- ლოიალურობა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქოუჩინგი უმეტესად მართვას ეხება, მის სოციალურსა და ფსიქოლოგიურ მხარეს. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ქოუჩინგი არ ეხება ფუნქციური/საწარმოო, ორგანიზაციული და ეკონომიკური მიზნების მიღწევას. როდესაც ტექნოლოგიური მიზნები (მენეჯმენტის მიზნები) დგას, ქოუჩინგის დროს წინა პლანზე ფსიქოლოგიური და კომუნიკაციური ფაქტორები გამოდის. საკითხი შემდეგნაირად დაისმის: რამდენად უწყობს ან უშლის ხელს ეს ფაქტორები დასახული მიზნის მიღწევას?

ქოუჩინგი, როგორც მართვის კომპეტენციის მხარდაჭერა!

ყველას ვისაც მართვის პასუხისმგებლობა აქვს, ან კლიენტებთან მუშაობს შეუძლია ქოუჩინგი თავისი პროფესიული საქმიანობის შემდგომი განვითარებისათვის გამოიყენოს.

ქოუჩინგი ორგანიზაციებისა და მენეჯმენტის განახლების თანამედროვე საშუალებაა; ის ხელს უწყობს ორგანიზაციებისა და საწარმოების კულტურის ცვლილებებს, რადგან ეფექტურობასა და ჰუმანურობაზეა მიმართული.

ქოუჩინგი ორიენტირებულია მიზანსა და მოთხოვნაზე; ის პროცესისა და შედეგის ხარისხის ამაღლებას ემსახურება.

ქოუჩინგი წარმატების სტრატეგიებს ავარჯიშებს, არსებულ უნარებს ამყარებს და ხელს უწყობს პიროვნების პოტენციური შესაძლებლობების მაქსიმალურად გააქტიურებას.

ქოუჩინგი კი არ ასწავლის, არამედ, სწავლაში ეხმარება.

ქოუჩინგი არის პერსონალის განვითარების ღონისძიება, რომელიც იდეალურად შეიძლება მოერგოს თითოეულს.

ქოუჩინგი არის მხარდაჭერა და დახმარება პროფესიული „სიხარულისა თუ მწუხარების“ დროს.

პროფესიული ქოუჩის როლები!

ეფექტური ქოუჩი ხან გარკვეული დროით ორგანიზაციული სისტემის წევრი ხდება, ხან კი გარედან აანალიზებს მას. ხატოვნად რომ ვთქვათ, იგი მუდმივად გადადის და გადმოდის საზღვრის ერთი მხრიდან მეორეზე. აქედან გამომდინარე, ქოუჩი შესაძლოა, შემდეგ მნიშვნელოვან როლებს ასრულებდეს:

- პიროვნებისა და სისტემის სარკე;
- მცოდნე შუამავალი და არა ცოდნის გადამცემი;
- განვითარებაში დამხმარე და არა მასწავლებელი;
- სპარინგ პარტნიორი;
- კონფლიქტის ანალიტიკოსი;
- პოზიტიური ორიგინალი, არასტანდარტულად მოაზროვნე;
- გამამხნევებელი;

ვინ არ არის ქოუჩი?

- ქოუჩი არ არის მასწავლებელი. ჭკუის სწავლება აქტიურობას აფერხებს.
- ქოუჩი არ არის გურუ. იგი არც ყოვლისმცოდნეა და არც მაშველი.
- ქოუჩი არ არის საუკეთესო ხელმძღვანელი. ის ქოუჩინგის პროცესის უფროსია და არა ორგანიზაციის.
- ქოუჩი ასევე არ არის ხელმძღვანელის ხელის გაგრძელება. მას არ აქვს უფლება, შემკვეთის ინტერესების საპირისპიროდ იმოქმედოს, მაგრამ იგი არ არის არც ხელმძღვანელის სურვილების შემსრულებელი და არც უკიდურესი საშუალება მართვის შეცდომების გამოსასწორებლად.

• ქოუჩი არ არის ორგანიზაციის შიგნით უმოქმედობისა და დაუდევრობის ალიბი.

ქოუჩინგის განხორციელების მიზეზები!

უმეტესად, ქოუჩინგი შემდეგ სიტუაციაში ხორციელდება: მაგალითად, საჭიროა სამსახურებრივი გადაწყვეტილების მიღება, ან ახალი როლისა და ქცევების ათვისება. ხელმძღვანელი (ქოუჩინგის კლიენტი), როგორც წესი, დამოუკიდებლად ცდილობს საკუთარი პრობლემის გადაჭრას ან შეკითხვაზე პასუხის გაცემას. თუ იგი დამაკმაყოფილებელ პასუხებს ვერ მოიპოვებს წიგნებიდან, საკუთარი ანალიზიდან, მეგობრებთან და კოლეგებთან გასაუბრებიდან, ან სემინარებიდან და თუ მოთხოვნა გადაწყვეტილების მიღების შესახებ მკაცრია ქოუჩის მოძიების მზაობაც იზრდება.

მიზეზები, შესაძლოა, შემდეგ სფეროებში არსებობდეს:

• როლური და ღირებულებითი კონფლიქტები ცვლილებების განხორციელებისას;

• სტრუქტურის ცვლილებები, ახალი სამართლებრივი ფორმები, კომპანიების შერწყმა, კომპანიის გაყიდვა, ორიენტაციის შეცვლა არამომგებიანიდან მომგებიანი ორგანიზაციის მიმართულებით;

• წარმოების ახალი ტექნოლოგიები, ახალი პროდუქტები, შეცვლილი შიდა ორგანიზაციული პოლიტიკა;

• დაწინაურება, პირველი მმართველობითი დავალებები, ახალ სამუშაოზე გადასვლა, დათხოვნა, პოზიციის ცვლილება.

ორგანიზაციების შერწყმა და რეორგანიზაციები წლების განმავლობაში გათავისებული მმართველობითი როლების და ჩვეული დავალებების ცვლილებებს იწვევს. მენეჯერები მაგალითს უნდა აძლევდნენ თანამშრომლებს და ორიენტაციას უნდა უწევდნენ მათ იმის მიუხედავად, რომ ხშირად თავადაც დაბნეულები არიან. როგორც წესი, ამ განცდების უარყოფა ან დაკნინება ხდება. ქოუჩინგის დროს ამ გრძნობებს აცნობიერებენ და აღიარებენ, რათა ისინი მართვის პროცესში იქნას გამოყენებული. ემოციურად მგრძნობიარე ხელმძღვანელებს უკეთ შეუძლიათ თავისი თანამშრომლების საფრთხის განცდა, გაგება და მოტივირება.

კრიტიკული სიტუაციები და კონფლიქტები თანამშრომლობისას!

• კომუნიკაციისა და კოოპერაციის პრობლემები გუნდში, ან ცალკეულ თანამშრომლებს შორის, ან კლიენტებთან;

• მწვავე ან ქრონიკული კონფლიქტები ხელმძღვანელებს შორის, ან ორგანიზაციის განყოფილებებს შორის;

• კომუნიკაციისა და კოოპერაციის პრობლემები საკუთარ ხელმძღვანელთან ან სხვადასხვა იერარქიასთან.

მაგალითისთვის გამოდგება შემდეგი სიტუაცია. ვთქვათ, პირობითად ბატონი ნიკოლოზი, ელექტრონიკის კონცერნის წარმოების ხელმძღვანელი, თავისი უფროსისგან იღებს მინიშნებას, რომ იგი თავისი თანამშრომლებისა და კოლეგა მენეჯერების მიმართ არ არის საკმარისად დაჟინებული და მომთხოვნი. ბატონმა ნიკამ 10 წელი წარმატებით იმუშავა საზღვარგარეთ ფაბრიკის ხელმძღვანელად. იგი გაღიზიანებული და გაბრაზებულია ამგვარი უკუკავშირის გამო. უფროსმა მას ურჩია, ქოუჩინგის მეშვეობით განსაზღვროს, თუ როგორ შეიძლება საკუთარი ქცევის შეცვლა. ბატონი ნიკა მიმართავს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაზე პასუხისმგებელ პირს და სთხოვს, ურჩიოს, რომელ ქოუჩს მიმართოს, ოღონდ, პრობლემას არ აკონკრეტებს.

პერსონალის განვითარების საკითხები!

აქ იგულისხმება ხელმძღვანელის (ქოუჩინგის კლიენტის) სურვილი, შეისწავლოს ახალი ქცევა, ან შეიცვალოს განწყობა, დამოკიდებულება. ამოსავალი მიზეზი აქაც

შეიძლება შეცვლილი პირობები ან კონფლიქტები იყოს, თუმცა, აქცენტი ცნობიერად პიროვნულ განვითარებაზე კეთდება. დამწყები მენეჯერის განვითარებისას ქოუჩინგის პროცესი მინიმუმ ერთ წელს მაინც უნდა გრძელდებოდეს:

- დაწინაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საჭიროება, პროფესიული ორიენტაციის შეცვლა, ან პენსიაზე გასვლისათვის მომზადება;
- უკიდურესად გაზრდილი მოთხოვნების გამო გადაღლის სულიერი და სხეულებრივი სიმპტომები, მოტივაციის დაკარგვა.

მაგალითისთვის გამოდგება შემდეგი სიტუაცია. ვთქვათ, ქალბატონი სალომე არის ორგანიზაციისა და პერსონალის განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი საყოფაცხოვრებო მომსახურების კომპანიაში, სადაც თანამშრომელთა უმეტესობა მამაკაცია. ქალბატონი სალომეს აზრით, მიუხედავად იმისა, რომ მისი შრომა მატერიალურად კარგად არის ანაზღაურებული, მის მიერ წარდგენილი პროექტები ყოველთვის არასათანადოდ ფასდება და ტოპმენეჯმენტი მხარს არ უჭერს. რამდენიმე წლის წინ მას შეეძლო ამ სიტუაციის იგნორირება, რადგან კოლეგებისა და თანამშრომლებისგან ყოველთვის დადებით შეფასებებს იღებდა. ახლა კი სიტუაცია ნერვებს უშლის და მოტივაციას უკარგავს. მას სურს, გაარკვიოს, არსებობს თუ არა რაიმე სტრატეგია ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისთვის და როგორ აიმაღლოს კვლავ მოტივაცია. ქოუჩინგის დროს ის მალევე ამჩნევს, რომ საქმე პრინციპულ საკითხს ეხება კვლავ შეესატყვისება თუ არა არსებული ვითარება მის სურვილებსა და უნარებს და რომ მან უნდა განივითაროს ახალი კომპეტენციები და დამოკიდებულებები, რათა თავისი მიღწევის მოტივაცია კვლავ აღიდგინოს.

ეს მაგალითები აჩვენებს, რომ ქოუჩინგში მონაწილეობის სურვილი ერთდროულად ბევრ ასპექტს შეიძლება ეყრდნობოდეს. ქოუჩინგი ხშირად პერსონალისა და ორგანიზაციის განვითარების ღონისძიებების დამატებას უნდა წარმოადგენდეს და მათთან თანხმობაში უნდა იყოს მოყვანილი.

მეტი ინფორმაცია რეალური სიტუაციის შესახებ!

რაც უფრო ზემოთ ადის იერარქიულ კიბეზე მენეჯერი, მით ხშირად აწყდება სტრატეგიულ და ტაქტიკურ თამაშებს. ამ მიზეზით კარგავს ჭეშმარიტი უკუკავშირის მიმცემ თანამშრომლებს, რომლებიც შეატყობინებენ, თუ როგორ აღიქვამენ მას და რა გავლენას ახდენს თავად სხვებზე. ასეთი მენეჯერები გარკვეულ კაფსულაში ექცევიან და რეალობის საკუთარ კონსტრუქციას ქმნიან. ხშირად ეს არის კიდეც არასწორი გადაწყვეტილებების მიღების მიზეზი. ქოუჩინგის დროს ხდება რეალობის სრულყოფილი, რაციონალური და ემოციური სურათის მიღება, რის საფუძველზეც ყოველთვის შესაძლებელია ქცევის ახალი ალტერნატივების განვითარება.

სტრესის კონსტრუქციული დაძლევა!

ბევრი ხელმძღვანელი შეჩვეულია ძალზე ბევრ მუშაობას და სულ უფრო ზრდის მოთხოვნებს საკუთარი თავის მიმართ. ქოუჩინგის შედეგად შესაძლებელია სამსახურებრივი და პირადი ცხოვრების დაბალანსება. ქოუჩი ფლობს საკუთარი თავის მენეჯმენტის მეთოდებს, მუშაობისა და დროის მართვის ტექნიკებს და შეუძლია მათი ეფექტიანად გამოყენება ქოუჩინგის პროცესში.

კრიზისი და გარდატეხა!

გათავისუფლებამ და სხვა სახის გაუთვალისწინებელმა უარყოფითმა ცვლილებებმა, შესაძლოა, პიროვნებაზე ღრმა კვალი დატოვოს. ხშირად ეს სიტუაცია ეჭვის ქვეშ აყენებს საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენას. ქოუჩინგი ამგვარ სიტუაციებშიც გაუწევს დახმარებას მენეჯერს.

ქოუჩინგის პროცესის მიმდინარეობის მოკლე მიმოხილვა!

ქოუჩინგის პროცესი სამ ფაზად შეიძლება დაიყოს: 1. ამოცანის წინასწარ განსაზღვრა; 2. ქოუჩინგის საუბარი; 3. პროცესის შეფასება.

ამოცანის წინასწარი განსაზღვრის მიზანია გადამოწმება, რამდენად არის შესაძლებელი მიზნის ქოუჩინგის მეშვეობით მიღწევა ან, შესაბამისად, რა დამატებითი შეთანხმებები ან სხვა სახის ღონისძიებებია საჭირო.

ამის შემდეგ, უშუალოდ ქოუჩინგის საუბარი იწყება. კონსულტაციისა და ტრენინგის პროცესი ყოველთვის დროით ჩარჩოებში მიმდინარეობს და შეთანხმებული ვადის შემდეგ ფასდება. როგორც წესი, ქოუჩინგის საუბარი 4 ფაზისგან შედგება. პირველ ფაზაში მყარდება კონტაქტი და ორიენტაცია იქმნება, მეორე ფაზაში სიტუაცია და მიზნები მუშავდება, მესამე ფაზა გადაწყვეტების შემუშავებას ემსახურება და ბოლო, მეოთხე ფაზაში ხდება მიღებული გადაწყვეტილების პრაქტიკაში გადატანის უზრუნველყოფა.

მას შემდეგ, რაც საუბარი დასრულებულია, ქოუჩი და კლიენტი მოილაპარაკებენ, რა დროის შემდეგ მოხდება ყოველდღიურ საქმიანობაში მიღებული დასკვნების, გადაწყვეტის იდეების, ღონისძიებებისა და ცვლილებების გადატანა და ინტეგრირება. მოგვიანებით, ქოუჩინგის შეფასებისას გადამოწმდება, რამდენად შესაძლებელია დასახული მიზნის რეალურად მიღწევა.

დასკვნა

როდესაც კომპანიის თანამშრომელი ამოწურავს საკუთარ შესაძლებლობებს შეუძლია, მიმართოს საკუთარ ხელმძღვანელს, ორგანიზაციის შიდა ქოუჩს ან მოწვეულ გარე ქოუჩს. ყველა ამ ვარიანტს თავისი ნაკლი და უპირატესობა აქვს.

ორგანიზაციის მიერ გარედან მოწვეული ქოუჩი საკუთარი საქმის ექსპერტია. მას ძალუძს განსაკუთრებით რთული პრობლემების მოგვარება როგორც ცალკეული პირებისთვის, ასევე ჯგუფებისათვის.

რაც შეეხება მენეჯერ-ქოუჩს, მართალია, იგი არ არის ამ საქმის სპეციალისტი, მაგრამ, სამაგიეროდ, კარგად იცნობს კონტექსტს. იმისათვის, რომ ხელმძღვანელმა საკუთარი თანამშრომლების ქოუჩინგი შეძლოს, აუცილებელია, რომ მას ენდობოდნენ. ნდობის ჩამოყალიბება კი მარტივი არ არის. განსაკუთრებით მაშინ არის რთული ქოუჩინგის კონსტრუქციულად განხორციელება, როდესაც თანამშრომელს პრობლემა სწორედ საკუთარ ხელმძღვანელთან აქვს. თეორიულად ეს შესაძლებელია, თუმცა, პრაქტიკულად ძალზე ძნელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ.ლომსაძე-კუჭავა, გ. ამყოლაძე. მენეჯმენტის თანამედროვე სტილის სახეები. თბ., 2019.
2. ლ. ჩიქავა. ინოვაციური ეკონომიკა. თბილისი, 2011 წ.
3. ე. ბარათაშვილი, ლ.თაკალანძე, ა.აბრალავა. მენეჯმენტი და ადმინისტრირება. თბილისი, 2007 წ.
4. Друкер П. Задачи менеджмента в XXI веке. Учебное пособие. М., 2010.
5. Друкер П. Энциклопедия менеджмента, Питер, 2004.
6. გ. მერლანი, ხ .მენაბდიშვილი. თანამედროვე მენეჯმენტი. თბილისი, 2009.

რეზიუმე

მაია ლომსაძე-კუჭავა, გიორგიშვილი ნ., ხათუნა გიორგაძე

მართვის თანამედროვე მოდელები

ნაშრომში განხილულია ნებისმიერი ფირმის, ორგანიზაციის, საწარმოს მართვის თანამედროვე მეთოდები, კერძოდ, ქოუჩინგის მართვის სისტემა, მისი არსი და განვითარების ტენდენციები. სტატიაში ასახულია, თუ რას წარმოადგენს ქოუჩი და რა რით განსხვავდება ქოუჩი მენეჯერისაგან. დღესდღეობით კი ბევრ კომპანიაში ქოუჩინგი პერსონალის განვითარების ღონისძიებების შემადგენელი ორგანული ნაწილია. ბევრ კომპანიაში პრესტიჟულადაც კი არის მიჩნეული პირადი ქოუჩის ყოლა.

საკვანძო სიტყვები: მენეჯმენტი, მართვის სისტემა, ქოუჩინგი, ქოუჩინგის მართვის სისტემა,

Summary

Maia Lomsadze-Kuchava, Nino Giorgishvili, Khatuna Giorgadze

Modern management models

The paper discusses modern methods of management of any firm, organization, enterprise, in particular, coaching management system, its essence and development trends. The article describes what a coach is and how it differs from a manager. Currently, in many companies, coaching is an integral part of staff development activities. In many companies, it is even prestigious to have a personal coach.

Key words: Management, Management System, Coaching, Coaching Management System.

Резюме

Майя Ломсадзе-Кучава, Нино Гиоргишвили, Хатуна Гиоргадзе

Современные модели управления

В статье рассматриваются современные методы управления любой фирмой, организацией, предприятием, в частности, система управления коучинга, ее сущность и тенденции развития. В статье описывается, что из себя представляет коуч и чем он отличается от менеджера. В настоящее время во многих компаниях коучинг является неотъемлемой частью деятельности по развитию персонала. Во многих компаниях даже престижно считается иметь личного коуча.

Ключевые слова: менеджмент, система управления, коучинг, коучинг системы управления,

ლომსაძე-კუჭავა მ., აკად. დოქტორი, პროფესორი, წერეთელი თ., აკად. დოქტორი, ასოც .პროფესორი, ფილიპიდისი თ., აკად. დოქტორი, ასისტ. პროფესორი

შესავალი

სტატისტიკური მონაცემებით, Trace International-ის TRACE Matrix ინდექსში საქართველოს შედეგი დასტურია იმის, რომ ქვეყანაში ბიზნესის კეთება ძალიან მიმზიდველია. Trace International-ის TRACE Matrix ინდექსში, რომელიც ქვეყანაში ბიზნესთან დაკავშირებული კორუფციის რისკებს აფასებს, საქართველო მსოფლიოს 197 ქვეყანას შორის მე-11 ადგილზეა. საქართველოს წინ მხოლოდ ისეთი ქვეყნები უსწრებენ, როგორებიც არიან, ირლანდია, კანადა, ახალი ზელანდია, ჰონგ-კონგი, შვედეთი, ფინეთი, სინგაპური, იაპონია, გერმანია და ამერიკის შეერთებული შტატები. ამასთანავე, კორუფციის რისკის მიხედვით საქართველო, გერმანია და აშშ ერთი და იგივე - 27 ქულით არის შეფასებული.

ძირითადი ნაწილი

TRACE Matrix ინდექსში ქვეყნების შეფასება ოთხ კატეგორიაში ხდება: ბიზნეს ურთიერთობები ხელისუფლებასთან, ანტიკორუფციული კანონები და აღსრულება, ხელისუფლების და საჯარო სამსახურის გამჭვირვალობა, სამოქალაქო საზოგადოების კონტროლის შესაძლებლობები. "ხელისუფლებასთან ბიზნეს ურთიერთობების ნაწილში 17 ქულა გვაქვს, რაც ძალიან კარგია.

რაც შეეხება სხვა კატეგორიებს, ანტიკორუფციული კანონებისა და აღსრულების ნაწილში საქართველოსთვის მინიჭებულია რისკების საკმაოდ დაბალი - 24 ქულა. ხელისუფლებისა და საჯარო სამსახურის გამჭვირვალობის კატეგორიაში - 19 ქულა, მართვა-ადმინისტრირებისა და ხელისუფლების გამჭვირვალობის კარგ ხარისხს, სამოქალაქო საზოგადოების კონტროლის შესაძლებლობების კატეგორიაში კი საქართველოს მინიჭებული აქვს 39 ქულა, რაც რისკების, ასევე დაბალ დონეზე მიუთითებს. "ყველაფერი ეს გვაძლევს იმის რწმუნების საშუალებას, რომ საქართველოში ბიზნესის მხრიდან კორუფციის მოლოდინი ძალიან დაბალია. დაბალია ეს მოლოდინი საერთაშორისო ორგანიზაციების გადმოსახედიდანაც. შესაბამისად, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ ქვეყანაში ბიზნესის კეთება ძალიან მიმზიდველია და ამ მიმართულებით ბიზნესს არ აქვს არანაირი დაბრკოლება'', ამ ტიპის რეიტინგებს დიდი მნიშვნელობა აქვს თავად ინვესტორებისთვისაც.

TRACE Matrix ინდექსში პირველ ადგილს ირლანდია, ხოლო ბოლო - 197-ე ადგილს ნიგერია იკავებს. კვლევაში ქვეყნების პოზიციები შეფასებულია აგრეგირებული ქულებით 1-დან 100-მდე, სადაც 1 ქულა ყველაზე დაბალი რისკის, ხოლო 100 - ყველაზე მაღალი რისკის მაჩვენებელია.

ქვეყანაში წარმატებული ბიზნესგარემოს ფორმირებისათვის გრძელი გზაა გასავლელი. აუცილებლია ძლიერი ინსტიტუტების, სტაბილური საკანონმდებლო რეგულირებისა და, რაც, ალბათ, ყველაზე მთავარია, ბიზნესის ოპერირების ძლიერი კულტურისა და ტრადიციების არსებობა.

საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი ექპერტებისა და ქართველი მეწარმეების პოზიცია საერთოა იმასთან დაკავშირებით, რომ უკანასკნელი წლების

განმავლობაში ბიზნესგარემო მნიშვნელოვნად უმჯობესდება. ზოგადად, ბიზნესის კეთება საქართველოში შედარებით გამარტივებულია. ბიზნეს-გარემოს შეფასებისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მიმზიდველობა უცხოელი ინვესტორებისათვის. მსხვილი ფინანსური რესურსების მოზიდვისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია სტაბილურობის უზრუნველყოფა. რამდენად დაბალიც არ უნდა იყოს გადასახადების განაკვეთი, თუ ქვეყანაში არ იქნება სტაბილური საკანონმდებლო და პოლიტიკური გარემო, შეუძლებელი იქნება ვისაუბროთ განვითარებულ და მიმზიდველ გარემოზე.

საქართველოს ბიზნესგარემოს განვითარება დადებითი ტენდენციით ხასიათდება, რაც ძირითადად გამოწვეულია საკანონმდებლო რეფორმებით (საგადასახადო, საბაჟო, ლიცენზიები და ნებართვები და სხვა). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია საკანონმდებლო სფეროს პროცედურული ნაწილების მეტი დახვეწა/გამარტივება და შესაბამისი ინფორმირებულობის დონის გაზრდა.

ქვეყნის ეკონომიკის წარმატების უზრუნველყოფისათვის, განსაკუთრებული როლი, ბუნებრივია სახელმწიფოს აკისრია, თუმცა წარმატების მისაღწევად მნიშვნელოვანია გარემოს გაუმჯობესებაში წვლილი შეიტანოს და ძალისხმევა გასწიოს საზოგადოების სხვა სექტორებმაც - მასმედიამ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და უშუალოდ კერძო სექტორმა.

მიუხედავად ბიზნესგარემოს გაუმჯობესების ტენდენციებისა, საქართველოს ბიზნეს კლიმატი კვლავაც მრავალი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას, რომელთა წარმატებით მიღწევისათვის აუცილებლია გამართული დიალოგის პრაქტიკის დანერგვა სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის. აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და მისი მარტივად აღქმის უზრუნველყოფა. ასევე, საკმაოდ დაბალია მეწარმეობრივი უნარები, რაც ბუნებრივიცაა თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის პრინციპების არსებობას არც თუ ისე ხანგრძლივი ისტორია აქვს. პრობლემატურია შრომის ბაზარი - ერთი მხრივ, მაღალია უმუშევრობის დონე, მეორე მხრივ კი, დამქირავებელს ძალიან უჭირს სასურველი კადრის მოძიება და დაქირავება. ისევ გამოცდილების, ტექნოლოგიის, საჭირო ბიზნეს უნარების ან/და უბრალოდ ინფორმაციის არქონის გამო მრავალი კომპანია ვერ ახერხებს ვერც ადგილობრივ ბაზრებზე ადგილის დამკვიდრებას და, მით უმეტეს, ვერც საერთაშორისო ბაზრებზე გასვლას.

ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ცვლილებების ასეთი სიხშირის შედეგი მეწარმეთა ინფორმირებულობის დაბალი დონეა. კომპანიები განხორციელებულ ცვლილებში გარკვევას ვერ ასწრებენ, როდესაც შესაბამისი საკანონმდებლო აქტი კვლავ იცვლება. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მძიმე ტვირთია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის. საგულისხმოა, რომ ბიზნესისათვის 10 ყველაზე აქტუალურ პრობლემებს შორის, რთულად აღსაქმელი კანონმდებლობა, ორაზროვანი ჩანაწერები და კანონების ხშირი ცვალებადობა - ყველაზე აქტუალური საკითხებია.

ნათელია, რომ კანონები ძალიან მარტივ და ყველასათვის გასაგებ ენაზე ვერ დაიწერება და ქვენორმატიული აქტებიც აუცილებელია პროცედურული საკითხების რეგულირებისათვის, რაც ისევ კერძო სექტორის ოპერირებას უწყობს ხელს. თუმცა, აუცილებლია პერმანენტული ღონისძიებების გატარება, რათა მოხდეს კერძო სექტორის

ინფორმირება მიმდინარე საკანონმდებლო რეფორმებზე და, რაც ყველაზე მთავარია, უზრუნველყოფილი იქნეს შესაბამისი განმარტებების გაცემა, რათა არ მოხდეს კანონების ინტერპრეტაცია. (მაგალითად, საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის და განმარტებების მოპოვება ძალიან პრობლემატური იყო 35%-სთავის).

ინფორმირებულობის დონის ამაღლების მიმართულებით მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია მასმედიას და არასამთავრობო სექტორს. სახელმწიფომ კი უნდა განაგრძოს ინტენ-სიური მუშაობა კანონმდებლობის დახვეწის კუთხით. მნიშვნელოვანია, მეწარმეებს მიეწოდოს ისეთი განმარტებები და ინსტრუქციები, რომლებიც გამორიცხავს ინტერპრეტაციის შესაძლებლობას როგორც კერძო სექტორის, ასევე სახელმწიფო მოხელეების მხრიდან.

ინფორმაციის უზრუნველყოფის ფორმებზე საუბრისას აუცილებლია იმის გათვალისწინებაც, რომ ძალიან ბევრი საწარმოსათვის, განსაკუთრებით კი რეგიონებში, ინტერნეტ კავშირი არ არის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, ყველაზე ინფორმატიკული ვებ-გვერდიც კი არ არის საკმარისი კანონის ცნობადობის გაზრდისათვის.

კვლევის გაანალიზების შედეგად გამოვლინდა, რომ ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ კანონი კერძო სექტორისათვის საკმაოდ კარგადაა ცნობილი. რესპოდენტთა მხოლოდ 3%-მა არ იცოდა ექვემდებარებოდა თუ არა მათი საქმიანობა ლიცენზირებას. აღნიშნულ კანონთან მიმართებაში უნდა ითქვას, რომ სფეროს სრულფასოვანი რეგულირებისათვის აუცილებელია დარგობრივი კანონების შემუშავება. ამასთანავე, რეკომენდირებულია მოხდეს სარგებლობის ლიცენზიის გაცემის წესის რეგულირების გადახედვა, რათა მიღწეული იყოს გამჭვირვალეობისა და რესურსების ეფექტიანად გამოყენების მაღალი ხარისხი.

საგადასახადო კოდექსთან მიმართებაში აუცილებელია ზოგადი ინსტრუქციებისა და განმარტებების მომზადება, რაც ყველაზე მეტად მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს შეუწყობდა ხელს. ასევე, მცირე ზომის კომპანიებისათვის პრობლემატურია ჯარიმების მოცულობა. მათი აზრით, უკეთესი იქნებოდა ჯარიმის ოდენობა დარღვევის მასშტაბზე იყოს დამოკიდებული. სხვა შემთხვევაში, ჯარიმა მსგავსი ტიპის დარღვევისათვის მცირე ზომის ბიზნესისათვის შესაძლოა დამანგრეველიც კი იყოს, ხოლო მსხვილი კომპანიისათვის - მხოლოდ მცირე დამატებითი ხარჯი.

აუცილებელია მეწარმეების ინფორმირებულობის დონის გაზრდა საგადასახადო კონტროლთან მიმართებაში მათი უფლე-ბებისა და მოვალეობების შესახებ. მით უმეტეს, რომ საგადასახადო კოდექსით განისაზღვრა 11 სახის კონტროლის პროცედურა. ამასთანავე, არ არის გამჭვირვალე, თუ რა პრინციპით ხდება კონტროლის სახის შერჩევა და რის საფუძველზე დგინდება ერთი რომელიმე მეთოდის უპირატესობა მეორესთან შედარებით.

იმისათვის, რომ საკანონმდებლო ბაზა გახდეს ადეკვატური და რეალურად ადმინისტრირებადი, უშუალოდ კანონების დამუშავებისა და დახვეწის გარდა აუცილებელია სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის პრაქტიკის დანერგვა. იმ პირთა აზრის გონივრული გაზიარება და გათვალისწინება, ვისი საქმიანობაც უნდა დაარეგულიროს ამა თუ იმ კანონმა, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს

როგორც კანონის მიმართ კეთილ-განწყობის ფორმირებას, ასევე კანონის მაღალ ქმედითუნარიანობას.

ბიზნესის დაწყება და დაფინანსება

ბიზნესის დაწყება საქართველოში, საკანონმდებლო კუთხით თუ განვიხილავთ, ძალიან მარტივია. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ფინანსური ან პროცედურული ბარიერები საწარმოს დარეგისტრირებისათვის თითქმის არ არსებობს, რაც თავის მხრივ ნამდვილად წარმატებული რეფორმის შედეგია.

ბიზნესის გაფართოებისათვის და, მით უმეტეს, ბიზნესის დაწყებისათვის ფინანსურ რესურსებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. რაც არ უნდა მარტივი იყოს კომპანიის დარეგისტრირება, თუ ფინანსები არ არის ხელმისაწვდომი, ყველაზე პერსპექტიული ბიზნეს იდეაც კი განწირული იქნება.

ზოგადად, სესხის აღება მარტივი და იაფი უნდა იყოს. დღესდღეობით კრედიტის აღებისათვის ძირითადად უძრავი ქონების გარანტიაა საჭირო. მცირე და საშუალო ბიზნესისათვის სესხის აღების პირობები მნიშვნელოვნად უნდა გამარტივდეს. ამასთანავე, თითქმის არ არის დამწყები კომპანიის დაფინანსების პრეცედენტები.

გამოკითხული 1000 რესპოდენტიდან, მხოლოდ 344-მა შეძლო დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა. შესწავლილ საწარმოთა 58% გაყიდვების ზრდის ძირითად შესაძლებლობად ფინანსური რესურსების მოზიდვას ასახელებს.

შრომის ბაზრის განვითარება

არავინ დაობს, რომ უმუშევრობა ქართული ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, თუმცა, იმავდროულად ხელმისაწვდომობა ადამიანურ რესურსებზე კერძო სექტორის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხია.

როგორც ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, პროფესიონალიზმი პრობლემაა, როგორც ტექნიკურ ასევე მენეჯერულ დონეზე. დღეს თითქმის შეუძლებელია საჭირო კვალიფიკაციისა და უნარების კადრის მოძიება.

რეალურად, არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი სასწავლო პროცესის დაგეგმვისას არ შეისწავლის, თუ რა სპეციალობის სამუშაო ძალაზეა მოთხოვა. ბევრ ქვეყანაში ასეთი ტიპის კვლევას პერიოდულად ატარებენ უნივერსიტეტები ან/და სახელმწიფო. შედეგად კი საგანმანათლებლო ორგანიზაციები შრომის ბაზარს აწვდიან სწორედ იმ კვალიფიკაციისა და იმ რაოდენობის პოტენციურ კადრებს, როგორიცაა მოთხოვნა.

მენეჯერული კვალიფიკაციის მქონე კადრები მეტ-ნაკლებად წარმოდგენილია ბაზარზე, თუმცა სრული კრიზისია ტექნიკური უნარების პერსონალის კუთხით, რაც ნაწილობრივ გამოწვეულია პროფესიული ტექნიკური სასწავლებლების არარსებობით. მაგალითისთვის, სამშენებლო ბიზნესი განვითარების მაღალი ტემპით გამოირჩევა. კვლევებმა კი აჩვენა, რომ ამ სექტორის კომპანიებს სერიოზული პრობლემები აქვთ ისეთი ხელობების კადრების მოძიებაში როგორებიცაა: ელექტრიკოსი, შემდუღებელი, მლესავი და ა.შ. როგორც წესი, ბაზარზე წარმოდგენილი ამ პროფესიის სამუშაო ძალას ცოდნა და უნარები ტრადიციული მეთოდებით აქვთ მიღებული და არ ფლობენ არანაირ ინფორმაციას თანამედროვე მეთოდების, ტექნოლოგიებისა თუ მასალების შესახებ.

შრომის ბაზრის სათანადოდ განვითარებას, ასევე უმუშევართა რეალური რაოდენობის განსაზღვრას ხელს შეუწყობდა დასაქმების ერთიანი სააგენტოს ჩამოყალიბება. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ხშირ შემთხვევაში დამსაქმებელს არ გააჩნია უნარები და

რესურსები, გამოაცხადოს ვაკანსია. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია რეგიონებში. სამუშაოს მაძიებლისათვისაც რთულია ინფორმაციის მოძიება არსებული შესაძლებლობების შესახებ. დღეს, როგორც წესი, ინფორმაციის ძირითადი წყაროებია ინტერნეტი და მასმედია (ეს უკანასკნელი კი ძირითადად სახელწმიფო სექტორში არსებული ვაკანსიების შესახებ) და, ბუნებრივია, რომ რთულია დამქირავებლისა და სამუშაოს მაძიებლის ერთმანეთთან დაკავშირება.

შეიძლება ითქვას, რომ შრომის ბაზარი საქართველოში ნაკლებად განვითარებულია და აუცილებელია ისეთი ინსტიტუტებისა და მექანიზმების შექმნა, რომელიც საბოლოო ჯამში კერძო სექტორს უზრუნველყოფს კვალიფიციური სამუშაო ძალით და იმავდროულად შეამცირებს უმუშევრობას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ბაზრის განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემებზე. ამდენად, აუცილებელია, რომ საგანანმანათლებლო ორგანიზაციებმა გადაწყვეტილება სასწავლო კურსებისა და სპეციალობების შესახებ შრომის ბაზრის მოთხოვნის გათვალისწინებით მიიღონ.

ექსპორტის ხელშეწყობა

შესწავლილ საწარმოთა მხოლოდ 13% ახორციელებს ექსპორტის ა/ნდა იმპორტის ღონისძიებებს. დამატებით არგუმენტებს არ საჭიროებს ის დებულება, რომ ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია არსებული საექსპორტო პოტენციალის სრულიად ათვისება, შემდგომ კი, მისი გაზრდა. დამატებით კი უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამომხმარებლო ბაზარი ნამდვილად ძალიან მცირეა, შედეგად კი კომპანიების განვითარებისათვის აუცილებელი საერთა-შორისო ბაზრებზე გასვლა. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ გაიზარდოს მზა პროდუქციის ექსპორტის წილი.

ერთი შეხედვით, საქართველოში შექმნილია მრავალი პირობა იმისათვის, რომ მეწარმემ წარმატებით განახორციელოს ექსპორტი -შეიცვალა საბაჟო კანონმდებლობა და შესაბამისად ადმინისტრირება. საქართველო სარგებლობს პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით, რომელიც მართალთაც რომ მნიშვნელოვანი შეღავათების შესაძლებლობას აძლევს ქართულ ბიზნესს. შედეგად საწარმოებს შესაძლებლობა აქვთ, მოახდინონ ჯამში 9000-მდე სახის პროდუქტის შეღავათიანი პირობებით (მათ შორის 7200 პროდუქტზე ნულოვანი განაკვეთით) ექსპორტირება 35-მდე ქვეყანაში.

თუმცა, საწარმოების უმრავლესობა არათუ საერთაშორისო, ადგილობრივ ბაზრებზეც კი ვერ ახერხებენ თავის დამკვიდრებასა და კონკურირებას. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ისევ და ისევ, ინფორმირებულობის ძალიან დაბალი დონეა. შესწავლილ რესპოდენტთა 92%-სთვის საბაჟო კანონმდებლობა რთულად აღსაქმელია და ხშირ შემთხვევებში ვერ ახერხებენ საჭირო ინფორმაციისა და განმარტებების მოძიებას. გარდა საკანონმდებლო ინფორმირებულობის პრობლემისა, მეწარმეებისათვის არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია საერთაშორისო გასაღების ბაზრებისა და ბაზრებზე შეღწევის მითოლოგიის შესახებ.

ხშირად ტარდება საერთაშორისო გამოფენები, ასევე არსებობს მრავალი სადილერო ვებ-გვერდი. ამგვარი და სხვა ხელშემწყობი ინფორმაციის ერთიანი ბაზის მომზადება მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ქართველ მეწარმეებს, განსაკუთრებით კი აგრარულ სექტორში, სავაჭრო პარტნიორების მოძიებაში. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ

აუცილებელია კერძო სექტორის პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის შესახებ მეწარმეთა დეტალური ინფორმირებულობის უზრუნველყოფა.

მეწარმეობრივი ცოდნა და უნარები

ბიზნესგარემოს მიმზიდველობას მრავალი ფაქტორი განაპირობებს და სწორედ მასზეა დამოკიდებული ბიზნესის განვითარების შესაძლებლობები. თუმცა, რაც არ უნდა მიმზიდველი იყოს გარემო, თუ კომპანიის მენეჯერს არ გააჩნია არსებული შესაძლებლობების გამოყენების უნარები, ბიზნესი მაინც ვერ მიაღწევს წარმატებას. მით უმეტეს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ბაზარზე მუდმივად იზრდება კონკურენციის ხარისხი.

ინფორმირებულობის, საკანონმდებლო გარემოსა და სხვა პრობლემებთან ერთად ქართული ბიზნესსექტორის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი დაბალი მეწარმეობრივი უნარებია. ძალიან უჭირთ განვითარება მიკრო და მცირე ბიზნესს, ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ამონაგები თანხის რეინვესტირების პრაქტიკის თითქმის არარსებობა.

საგულისხმოა შემდეგი მონაცემები: შესწავლილ საწარმოთა 68%-ის მუშაობის გამოცდილება არ აღემატება 5 წელს, 28% მიიჩნევს, რომ კონკურენტები საფრთხეს არ წარმოადგენენ, მხოლოდ 18% ფიქრობს, რომ გაყიდვების გაზრდისთვის საჭიროა ბაზრის შესწავლა, 9% საერთოდ ვერ ხედავს ახალი მომხმარებლის მოზიდვის საჭიროებას. 72% კი კომპანიის არასაკმარისი შემოსავ-ლების მთავარ მიზეზად მომხმარებელთა შემოსავლების დაბალ დონეს ასახელებს და ა.შ.

ობიექტურად რომ შევაფასოთ, ქართველ მეწარმეებს არ გააჩნიათ საბაზრო ურთიერთობებისა და მომხმარებელზე ორიენტირებული წარმოების გამოცდილება, ასევე რთულია შესაბამისი ცოდნისა და, მით უმეტეს, უნარების მიღება. ნაკლებადაა განვითარებული ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურების ბაზარიც. საქართველოში წარმოდგენილია კონსალტინგური სერვისის მიმწოდებელი კომპანიები, თუმცა მათი მომსახურება საკმაოდ ძვირადღირებულია და არაა ხელმისაწვდომი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისათვის.

მეწარმეობრივი უნარების გაზრდის მიმართულებით დიდი წვლილის შეტანა შეუძლია არასამთავრობო სექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს. ქართულ ბიზნესს დღეს ესაჭიროება პრაქტიკული ტრენინგები, ხელმისაწვდომი ბიზნეს კონსულტაციები და ინფორმაცია საბაზრო შესაძლებლობების შესახებ.

გრძელვადიან პერიოდში აუცილებელია ჩამოყალიბდეს ბიზნესის ოპერირებისა და მართვის ტრადიციები, როდესაც პირები საკუთარ ბიზნესს იმიტომ კი არ მოკიდებენ ხელს, რომ სხვა სამსახური ვერ იშოვეს, არამედ იმიტომ, რომ მათ აქვთ იდეა, უნარი და შესაძლებლობა, დაიწყონ და მართონ საკუთარი ბიზნესი.

მასმედია და არასამთავრობო სექტორი ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისათვის მედიას, როგორც საზოგადოებრივი დაკვეთის შემსრულებელს, განსაკუთრებით დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. ის უნდა იყოს ობიექტური მოვლენების გაშუქებისას და აშუქებდეს იმ ინფორმაციას, რომელიც ბიზნესისათვის საინტერესო და ხშირ შემთხვევაში აუცილებელიცაა. მნიშვნელოვანია ჟურნალისტების პროფესიონალიზმის გაზრდა ეკონომიკური კუთხით, რათა მათ შეძლონ მეტი ანალიტიკური სახის

ინფორმაციის მიწოდება ბიზნესისთვის. მედიას, ასევე მნიშვნელოვანი როლი აკისრია იყოს შუამავალი ბიზნესსა და სახელმწიფო სექტორს შორის.
მედიის როლის მნიშვნელობას თვით კერძო სექტორიც აღიარებს, მით უმეტეს, რომ სწორედ მასმედიაში ხედავენ რიგი პრობლემების გადაჭრის გზებს. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ბიზნესს მასმედიის მიმართ 3 ძირითადი მოთხოვნა აქვს:
1. მიაწოდოს მეტი ინფორმაცია ბიზნეს საკანონმდებლო სიახ-ლეების შესახებ;
2. გააშუქოს ბიზნესისათვის სხვადასხვა აქტუალურ საკით-ხები და შესთავაზოს ანალიზი;
3.შეასრულოს მედიატორის როლი და ხელი შეუწყოს სახელმწიფო ორგანოებსა და კერძო სექტორს შორის დიალოგის პრაქტიკის დამკვიდრებას.
როგორც ეს არაერთგზის, აღინიშნა, ბიზნესგარემოს განვითარება შეუძლებელია, თუ საზოგადოების ყველა სექტორმა არ გაწია ძალისხმევა ამ მიმართულებით. ნიშანდობლივია, რომ ხშირად არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობა მხოლოდ სახელმწიფო პოლიტიკისა თუ პროგრამების მონიტორინგთან ასოცირდება. საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გარკვეულწილად უნიკალური როლის შესრულება შეუძლია კერძო სექტორის განვითარების კუთხით. ამისთვის არასამთავრობო ორგანიზაციების ფოკუსირდება უნდა მოხდეს ორი ძირითადი მიმართულებით: 1) მეწარმეობრივი უნარების ზრდის ხელშეწყობა (ტრენინგები, ბიზნეს კონსულტაციები, ინფორმირებულობის უზრუნველყოფა და აშ.); 2) კვლევითი და ანალიტიკური სამუშაოების შესრულება და კერძო სექტორის შესაბამისი პრობლემების ადვოკატირება.
როგორც ჩვენთვის არის ცნობილი ფირმა საქმიანობს გარკვეულ ბიზნეს-გარემოში. ბიზნეს-გარემო არის იმ პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა რომლებიც ზემოქმედებენ ფირმაზე, ან შეძლებისდაგვარად ფირმა ზემოქმედებს მათზე. სწორედ ამიტომ, საწარმომ სისტემატურად უნდა ჩაატაროს ანალიზი-შეფასება, რათა დაადგინოს ის საშუალებანი, რომელსაც გარე-სამყარო სთავაზობს. უნდა აღვნიშნოთ რომ თუ ეს ანალიზი უგულებელყოფილი იქნება მაშინ ნაკლები შანსი აქვს ბიზნესს რომ წარმატებით განვითარდეს, ამიტომ ფირმის, როგორც საქმიანი ორგანიზაციის სიღრმისეული და ყოველმხრივი შემეცნების კარგი საშუალებაა სისტემური მიდგომა. ასეთი მიდგომით, ფირმა ურთიერთდაკავშირებული ელემენტებისგან შემდგარი მთლიანი ორგანიზმია, რომელიც გარემოსთან მრავალმხრივ კავშირში იმყოფება.
აუცილებელია დავაკონკრეტოთ, რომ გამოყოფენ ბიზნესის შიდა და გარე გარემოს. ელემენტები რომლებიც ორგანულად ეკუთვნის მოცემულ ფირმას და ექვემდებარებიან შიდა კონტროლს, წარმოადგენენ სისტემის შიდა გარემოს. ხოლო ის ელემენტები რომლების ორგანულად არ ეკუთვნიან მოცემულ ფირმას, არ ექვემდებარებიან მისი მხრიდან რეგულირებას, მაგრამ საკმაოდ დიდი ზეგავლენას ახდენენ ბიზნესის ფუნქციონირებაზე და ამის გამო მათი გათვალისწინება ბიზნესის ფუნქციონირებაში აუცილებლად გასათვალისწინებელია, ამიტომ ისინი აყალიბებენ სისტემის გარე გარემოს.
ფირმის ძირითადი მიზანი გარე გარემოს ზემოქმედებაზე არის ის, რომ გაარკვიოს რომელ საქონელზე და მომსახურებაზეა მოთხოვნა და მოძებნონ მისი წარმოებისათვის საჭირო რესურსები. ასევე საყურადღებოა რომ განასხვავებენ დახურულ და ღია სისტემას. დახურული სისტემის მოქმედება არ არის დამოკიდებული სისტემის გარეთ მყოფ

გარემოზე. ხოლო ღია სისტემის ფუნქციონირება მჭიდრო ურთიერთკავშირშია გარემოსთან.

ურთიერთ გაცვლის შედეგად, ფირმა და გარემო მუდმივ ურთიერთკავშირში და ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფებიან. ბიზნესის თავისებურებანი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არის განვითარებული გარემო. ნებისმიერი ფირმის საქმიანობის რეგლამენტაციას ახდენს სამართალი, რომელიც აისახება საკანონმდებლო ბაზაში.

ამდენად ბიზნესსა და სამართალს შორის მყარდება ორმხრივი ურთიერთობა, ერთის მხრივ, სამართალი აწესრიგებს ბიზნესს, და მეორეს მხრივ კი ბიზნესი ახდენს სამართლებრივი ნორმების სრულყოფასა და განვითარებას.

პოლიტიკა ბიზნეს გარემოს ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანია ისეთ განვითარებად ქვეყანაში, როგორიც არის საქართველო. ერთი მხრივ, ბიზნესი მოქმედებს პოლიტიკაზე, განსაკუთრებით ეკონომიკურ პოლიტიკაზე, ხოლო მეორეს მხრივ, პოლიტიკა განსაზღვრავს ბიზნესის ქცევის წესებს. დღეისთვის მთელი რიგი განვითარებულ ქვეყნებში პოლიტიკური მოღვაწეობა ქმნის ბიზნესის წარმატებული გაძღოლის ადმინისტრაციულ გარანტიებს.

ახლა რაც შეეხება საქართველოს ბიზნეს გარემოს. როგორც დავინახეთ ბიზნესი მუდმივ კავშირშია გარემოსთან, ამიტომ ბიზნესმენი მუდმივად უნდა ითვალისწინებდეს გარე სამყაროში მიმდინარე ცვლილებებს და ცდილობდეს მათდამი ადაპტირებას.

ჩვენ კარგად გვესმის რომ ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობისთვის საჭიროა ინვესტიციების მოზიდვა, მას კი სჭირდება შესაბამისი, ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნა. ბიზნეს-გარემოს ფორმირება საქართველოს უხდება იმ დროს როცა მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრება მეტად არასტაბილურია.

ბიზნეს გარემოს გამართული ფუნქციონირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს: ქვეყანაში სრულყოფილი კონკურენციის არსებობას, მოტივაციის სისტემის სრულყოფას, სამეურნეო საქმიანობის თავისუფლებას, სამეწარმეო პოტენციალის გამოვლენას, სამართლებრივი გარანტიების, პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობას.

ჩვენი ქვეყნის ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისათვის უნდა გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

1) უნდა შემუშავდეს საინვესტიციო პოლიტიკა, უფრო ეფექტურად უნდა იყოს გამოყენებული ჩვენი ქვეყნის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდგომარეობა და ა.შ.

2) ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის სახელმწიფოებრივი რეგულირება უნდა მოხდეს საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.

3) სახელმწიფო უნდა ასტიმულირებდეს საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობას, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას, ასევე ხელს უნდა უწყობდეს რესურსების რაციონალურად გამოყენებას, ინფლაციის შემცირებას და სხვა მაკრო ეკონომიკური პროცესების სტაბილიზაციას.

საქართველოში ბიზნეს გარემოს კვლევის შედეგები

- გამოკითხულ საწარმოთა 68%-ის გამოცდილება 5 წელს არ აღემატება, რაც მიუთითებს, რომ საქართველოში ბიზნესის მართვის კულტურა და ტრადიციები ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული. ამას ისიც ემატება, რომ საქართველოში არსებული

ბიზნესგარემო და შესაბამისად კანონმდებლობა არასტაბილურია და კვლავაც განვითარების გზაზე იმყოფება;

- გამოკითხული კომპანიების 61%-ის ზოგადი შეფასებით საქართველოში არსებული ბიზნესგარემო მეტ-ნაკლებად ნორმალურია, ხოლო 26% კი მიიჩნევს, რომ არსებული გარემო აფერხებს ბიზნესის განვითარებას;
- ბიზნესის მფლობელთა და მენეჯერთა მხოლოდ 77%-მა დაასახელა საგადასახადო კოდექსი მათი საქმიანობის მარეგულირებელ კანონად. 14%-მა კი საერთოდ ვერ გაიხსენა ვერც ერთი კანონი. საგადასახადო კოდექსის შემდეგ მოდის კანონი მეწარმეთა შესახებ, რომელიც რესპოდენტთა 17%-მა დაასახელა. ყველა სხვა დანარჩენი კანონის ცნობადობა არ აღემატება 8%-ს; აღნიშნული მაჩვენებლები ნათლად წარმოაჩენს კერძო სექტორის ცნობიერების დონეს საკანონმდებლო ბაზასთან მიმართებაში;
- რესპოდენტთა 77%-მა საწარმოს რეგისტრაცია უპრობლემოდ გაიარა. აღნიშნული მაჩვენებელი განპირობებულია ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმებით, რომლის მიხედვითაც მნიშვნელოვნად შემცირდა რეგისტრაციისათვის წარსადგენი დოკუმენტების რაოდენობა და დადგენილი დრო, გამარტივდა პროცედურა. ამასთანავე, იმ მეწარმეებმა, რომლებსაც გაუჭირდათ ბიზნესის დარეგისტრირება (23%) მიუთითეს, რომ მათთვის პრობლემატური იყო წარსადგენი დოკუმენტაცია და პროცესის ხანგრძლივობა;
- გამოკითხულთა მხოლოდ 8% აღნიშნავს, რომ საგადასახადო კოდექსი სავსებით გამართული და გასაგებია. რამდენადაც საგადასახადო კოდექსი ადგენს ბიზნესგარემოში ოპერირების თამაშის ძირითად წესებს, იგი შედარებით ადვილად აღსაქმელი უნდა იყოს ყველა მოთამაშისათვის და არა მხოლოდ მეწარმეთა მცირე ნაწილისათვის;
- კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მეწარმეთა 96% იხდის საშემოსავლო გადასახადს, საგულისხმოა ის მონაცემი, რომ საწარმოთა მხოლოდ 61% იხდის მოგების გადასახადს. დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელს კი _ გამოკითხულ რესპოდენტთა 27%;
- საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ ინფორმაციას გამოკითხულთა უმრავლესობა იღებს უშუალოდ საგადასახადო ორგანოებისა და მასმედიის მეშვეობით, თუმცა რესპოდენტთა 35%-სთვის საჭირო ინფორმაცია თითქმის არაა ხელმისაწვდომი;
- საგულისხმოა, რომ რესპოდენტთა საქმიანობის 77% არ საჭიროებს ლიცენზიას ან/და ნებართვას და მხოლოდ 3% არ იყო ინფორმირებული ექვემდებარებოდა თუ არა ლიცენზირებას. შესაბამისად, ახალმა კანონმა ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ დადებითი ზეგავლენა მოახდინა ბიზნესგარემოზე და ინფორმირებულობის დონეც საკმაოდ მაღალია ამ მიმართულებით;
- გამოკითხულ მეწარმეთა მხოლოდ 13% ახორციელებს ექსპორტის ან/და იმპორტის ღონისძიებებს. ეს მაჩვენებელი, ალბათ, იმაზეც მიუთითებს, რომ საერთაშორისო ბაზრებზე გასვლას ძირითადად მსხვილი კომპანიები ახერხებენ;
- მეწარმეების 9%, რომლებიც ახორციელებენ ექსპორტს ან/და იმპორტს მიიჩნევს, რომ ახალი საბაჟო კოდექსი სავსებით გამართული და გასაგებია, ხოლო დანარჩენი კომპანიები კი გარკვეულ პრობლემებს აწყდებიან კოდექსის აღქმასთან დაკავშირებით;
- კვლევაში მონაწილე ბიზნესმენთა 40%-მა ბოლო ერთი წლის განმავლობაში დამატებითი ფინანსური სახსრების მოზიდვისათვის მიმართა სხვა პირს ან/და

ორგანიზაციას. მათმა 92%-მა დაფინანსებისათვის საბანკო სექტორს მიმართა, დანარჩენი 8% კი მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და სამეგობრო/სანათესაო წრეზე მოდის. იმ მეწარმეთა უმრავლესობა, რომელმაც ბანკს მიმართა, პრობლემად მიიჩნევს სესხის საპროცენტო განაკვეთს; აქვე, დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ რესპოდენტთა 58% გაყიდვების ზრდის ძირითად შესაძლებლობად დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვას ასახელებს;

- რესპოდენტთა 62%-ს უჭირს კონკურენციის გაწევა, ხოლო 28%-ს მიაჩნია, რომ მისი ბიზნესისთვის უახლოესი 1 წლის განმავლობაში კონკურენტები საფრთხეს არ წარმოადგენენ. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს დაბალ სამეწარმეო უნარებზე. ყველაზე „თავდაჯერებული“ დარგი მშენებლობაა, ხოლო ყველაზე „ფრთხილი“ ვაჭრობა (64%) და სოფლის მეურნეობა (67%), რომლებიც თვლიან, რომ უჭირთ კონკურენციის გაწევა;
- მეწარმეების 38%-ის შეფასებით კონკურენტული უპირატესობის მიღწევისთვის აუცილებელია პროდუქტის / მომსახურების ფასის შემცირება. ასევე მნიშვნელოვან ღონისძიებებად დასახელდა პროდუქციის/მომსახურების ხარისხის გაზრდა (28%) და ბაზრისა და კონკურენციის შესწავლა (18%);
- ახალი მომხმარებლის მოზიდვის საკითხის შეფასებისას რესპოდენტთა 51%-მა აღნიშნა, რომ მათთვის მომხმარებლის მოზიდვა რთულია, ხოლო 9%-ს ამ ეტაპზე არ სჭირდება დამატებითი მომხმარებელი. გამოკითხულთა 72%-მა ახალი მყიდველის მოზიდვის სირთულის ძირითად გამომწვევ მიზეზად შემოსავლების დაბალი დონე დაასახელა;
- შრომის ბაზრის ფუნქციონირებას ბიზნესმენები არადამაკმაყოფილებლად აფასებენ. რესპოდენტთა 55%-ს უჭირს ან საერთოდ ვერ ახერხებს სასურველი კადრის მოძიებასა და დაქირავებას;

კვლევის შედეგად გამოვლინდა ქართული ბიზნესისთვის ყველაზე აქტუალური 10 პრობლემა. ძირითადად მეწარმეთა ყურადღება კონცენტრირებულია კანონების ირგვლივ, თუმცა გამოვლენილ პრობლემებში ასევე არის შრომის ბაზრის, ინფორმირებულობის, ფინანსების ხელმისაწვდომობის და სხვა პრობლემები;

- რესპოდენტთა აზრით, ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისათვის სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობის გამარტივება (67%) და დააწესოს შეღავათები გარკვეული დარგებისა და მცირე ზომის საწარმოებისათვის (63%);
- რესპოდენტთა 39%-ის აზრით, მასმედიამ მეწარმეებს უნდა მიაწოდოს მეტი ინფორმაცია ბიზნეს საკანონმდებლო სიახლეების შესახებ. 31% კი თვლის, რომ ბიზნესისთვის ზოგადი შეფასებები საქართველოში ბიზნეს გარემოზე შემდეგია:

დიაგრამა 1 **შესწავლილი საწარმოების ფუნქციონირების პერიოდები**



ჩატარებულ კვლევაში შესწავლილია მეწარმეთა დამოკიდებულებები და ხედვები ბიზნესგარემოს სხვადასხვა ასპექტების მიმართ. რესპოდენტებმა ასევე მოახდინეს ბიზნესგარემოს ზოგადი შეფასება. გამოკითხულთა უმრავლესობის (61%) აზრით, ბიზნესგარემო საქართველოში მეტნაკლებად ჩატარებულ კვლევაში შესწავლილია მეწარმეთა დამოკიდებულებები და ხედვები ბიზნესგარემოს სხვადასხვა ასპექტების მიმართ. რესპოდენტებმა ასევე მოახდინეს ბიზნესგარემოს ზოგადი შეფასება. გამოკითხულთა უმრავლესობის (61%) აზრით, ბიზნესგარემო საქართველოში მეტ-ნაკლებად ნორმალურია.

დიაგრამა 2. **ბიზნესგარემოს ზოგადი**



შეფასება

ბიზნესის ოპერირების ძირითად წესებს აწესებს სახელმწიფო შესაბამისი საკანონმდებლო ბაზით. სწორედ კანონმდებლობაზეა დამოკიდებული რამდენად გამჭვირვალე, სამართლიანი და მოქნილია ბიზნესგარემო. თუმცა ეს მედლის მხოლოდ ერთი მხარეა. არანაკლებ მნიშვნელოვანია რამდენად ფლობენ მეწარმეები ინფორმაციას მათი საქმიანობის მარეგულირებელი კანონისა თუ ნორმატიული აქტის შესახებ. კვლევის

შემდეგი ბლოკი მიზნად სწორედ კანონმდებლობასთან მიმართებაში კერძო სექტორის ცნობიერების დონისა და დამოკიდებულების გამოვლენას.
ასევე გამოიკითხა მეწარმეები, რომლებმაც საწარმო დაარეგისტრირეს:
გამოკითხულ რესპოდენტთა 77%-მა საწარმო უპრობლემოდ დაარეგისტრირა, 16%-სთვის აღნიშნული პროცესი მეტ-ნაკლებად რთული იყო, ხოლო თითქმის 7%-მა განაცხადა, რომ დარეგისტრირების პროცესი რთული იყო. საორიენტაციოდ, ეს მაჩვენებელი ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმების შედეგია, რომლის მიხედვითაც მნიშვნელოვნად შემცირდა რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტების რაოდენობა და დადგენილი დრო, ამასთან გამარტივდა პროცედურა. უმრავლესობის აზრით, რეგისტრაციის პროცესი გამართულია და არ საჭიროებს გაუმჯობესებას, 11%-ს კი სურს წარსადგენი დოკუმენტაციის რაოდენობის კვლავაც შემცირება, 10%-სთვის კი პროცესი მაინც დიდ დროს საჭიროებს. ზოგადად, 221 რესპოდენტისათვის საწარმოს დარეგისტრირება რთული პროცესი არ აღმოჩნდა. (დიაგრამა 3).

დიაგრამა 3 **საწარმოს დარეგისტრირების პროცესის შეფასება (იმ მეწარმეების, ვისთვისაც დარეგისტრირების პროცესი რთული იყო)**



დასკვნა

შესწავლილი საწარმოების 42%-ს მხოლოდ 1-დან 5 წლამდე ოპერირების გამოცდილება აქვს. თითქმის ყოველთვიურად იზრდება რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა, თუმცა ბევრი მათგანი ვერ ახერხებს ბიზნესის წარმატებულ მართვას და საკმაოდ მოკლე პერიოდში ტოვებს ბაზარს.
ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ბიზნესის მართვისა და დაგეგმვის კულტურა საშუალოა. ამ მიმართულებით საკმაოდ ბევრია გასაკეთებელი, განსაკუთრებულ ხელშეწყობას კი მიკრო და მცირე ბიზნესი საჭიროებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლომსაძე-კუჭავა, გიორგაძე ხ. „მცირე ბიზნესი“ თბილისი, სტუ, 2016.
2. მუმლაძე ა. უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და გამოყენების პრობლემები საქართველოში [რედ.: გ. ხელაია]. თსუ-ს გამომცემლობა, 2010.
3. The Essays of Warren Buffett: Lessons for Corporate America. Fourth Edition. 2015.
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2015.
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მრავალდონიანი საინოვაციო
   პოლიტიკა და ევროინტეგრაცია, გზამკვლევი. თბილისი, 2010.

მაია ლომსაძე-კუჭავა, თამარ წერეთელი,თათა ფილიპიდისი

საქართველოში ბიზნესგარემოს განვითარება და მისი ხელშემწყობი ფაქტორები, ბიზნეს აქტივობის ინდექსი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია საქართველოში არსებული ბიზნესგარემო და ამ გარემოში ბიზნესმენთა მდგომარეობა. სტატიაში არის მონაცემები ბიზნეს აქტივობის ინდექსზე, ასევე განხილულია საქართველოში საგადასახადო კოდექსის ცვლილებები, ბიზნესის მდგომარეობა შრომის ბაზარზე და ბიზნესის დაფინანსების პირობები. გამოკითხულ იქნა გარკვეული კომპანიები და მოხდა მათი ბიზნესის წარმართვის პირობების შეფასება.
საკვანძო სიტყვები: მეწარმეები, საკანონმდებლო ბაზა, შრომის ბაზარი, ბიზნესგარემო, ბიზნეს აქტივობის ინდექსი.

Summary

Maia Lomsadze-Kutchava, Tamar Tsereteli, Tata Philipidis

Business Environment Development in Georgia and its Contributing Factors, Business Activity Index

The article discusses the business environment in Georgia and the situation of businessmen in this environment. The article contains data on the Business Activity Index, as well as changes to the Tax Code in Georgia, the state of business in the labor market, and the terms of business financing. Some companies were interviewed and conditions for conducting their business were assessed.
Keywords: Businessmen, Legislative Framework, Labor Market, Business Environment, Business Activity Index.

Резюме

Майя Ломсадзе-Кучава, Тамара Церетели, Тата Филипдис

Развитие деловой среды в Грузии и ее содействующие факторы, Индекс деловой активности

В статье рассматривается бизнес-среда в Грузии и положение бизнесменов в этой среде. Статья содержит данные об индексе деловой активности, а также рассмотрены изменения в Налоговом кодексе Грузии, состояние на рынке труда и условия финансирования бизнеса. Были опрошены некоторые компании и оценены условия ведения их бизнеса.
Ключевые слова: предприниматели, законодательная база, рынок труда, бизнес-среда, индекс деловой активности.

ავტორთა საყურადღებოდ!

1. ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენაზე, როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური სახით;

2. სტატიაში დაცული უნდა იყოს შემდეგი მიმდევრობა: სტატიის დასახელება, ავტორის სახელის ინიციალი და გვარი, მონაცემები ავტორზე - სამუშაო ადგილი, ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ელექტრონული ფოსტა, გამოყოფილი - შესავალი, ძირითადი ტექსტი ან კვლევის საგანი და დასკვნა, გამოყენებული ლიტერატურა. ფოტომასალა უნდა იყოს კონტრასტული, ცხრილები, სურათები, ნახაზები, გრაფიკები, სქემები და დიაგრამები - დასათაურებული, დანომრილი და შესრულებული .JPG, .TIFF ფორმატში; ფორმულები - Microsoft Equation - ში;

3. სტატიის მოცულობა არ უნდა იყოს 10 გვერდზე მეტი გამოყენებული ლიტერატურის სიისა და რეზიუმეების (ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე) ჩათვლით.

4. სტატიაში უნდა გაშუქდეს: საკითხის აქტუალობა და სიახლე, კვლევის მიზანი, საკვლევი მასალა, მიღებული შედეგების განსჯა.

5.ნაშრომს უნდა ახლდეს რეზიუმე (მოცულობა - არაუმეტეს 150 სიმბოლო) ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე შემდეგი რიგითობით: სტატიის დასახელება, ავტორის სახელი და გვარი, რეზიუმე, შინაარსი და საკვანძო სიტყვები.

6. ნაშრომი უნდა შესრულდეს Microsoft Word-ში, ქართულენოვანი ტექსტი - Sylfaen, ინგლისურენოვანი და რუსული - Times New Roman შრიფტებით;

7. ფურცლის ზომა A4, ველები: ზედა - 2.0 სმ, ქვედა - 2.0 სმ, მარცხენა - 2.5 სმ, მარჯვენა - 2.0 სმ; შრიფტის ზომა -12, ინტერვალი -1,15;

8. სამეცნიერო ნაშრომში დამოწმებული წყაროებისა და ლიტერატურის მითითების წესი: სტატიაში ბიბლიოგრაფიული სიები ანბანურად უნდა იყოს დალაგებული - ჯერ სამამულო, შემდეგ კი უცხოელი ავტორების (გვარი, ინიციალები, სათაური, წიგნის/ჟურნალის დასახელება, გამოცემის ადგილი, წელი, წიგნის/ჟურნალის №). ტექსტში, კვადრატულ ფრჩხილებში, უნდა მიუთითოთ ავტორის შესაბამისი ნომერი ლიტერატურის სიის მიხედვით.

9. ნაშრომში გამოქვეყნებულ მასალაზე პასუხისმგებელია ავტორი.

დაბეჭდილია შპს „პოლიგრაფია“-ში

მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის ქ. №48